

ადვინისტრაციული ხელშეკრულება ზიანის ანაზღაურება

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე
2018, №11

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)
2018, №11

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)
2018, №11

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)
2018, №11

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 299 04 18; www.supremecourt.ge

**ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

საკიეხელი

1. ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავები	
ამხანაგობის წევრთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნამდვილობა	4
ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება; ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა	37
2. ზიანის ანაზღაურების საფუძვლები	
დელიქტით გამონვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობა	55
ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობა	63
ზიანის ანაზღაურების წარმოშობის წინაპირობები	98; 106
ზიანის ანაზღაურების წარმოშობის საფუძვლები	113
სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება	123
ზიანის ანაზღაურება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ	129
სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის უზრუნველსაყოფად სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული თანხის გადარიცხვა	149
სახელმწიფოს პასუხისმგებლობა საჯარო მოსამსახურეთა მიერ მიყენებული ზიანისათვის	174

1. ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან ბამომდინარე დავები

ამსანაგობის წევრთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნამდვილობა

ბანჩინება საქართველოს სახელით

№ბს-270-268(კ-17)

14 სექტემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 10 აპრილს ზ. ბ-მა სასარჩელო განცხადებით მიმარ-
თა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სა-
აგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 1994 წლის 4 აპრილს ... ატელიეს
შრომითი კოლექტივის ბაზაზე შეიქმნა დროებითი ამხანაგობა, რო-
მელსაც დაევალა ... ქუჩა №55-ში მდებარე ... ატელიეს ბალანსზე
რიცხული 119 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის პრივატიზება. შრო-
მითი კოლექტივის წევრებს შორის გაფორმებული ხელშეკრულე-
ბის შესაბამისად, წილები განაწილდა შემდეგნაირად: 1. ვ. ბ-ი 99,1%;
2. თ. კ-ი 0,1%; 3. ზ. კ-ი 0,1%; 4. ვ. კ-ი 0,1%; 5. ვ. ჩ-ე 0,1%; 6. ს. ა-ი
0,1%; 7. მ. ჯ-ი 0,1%; 8. ქ. ც-ი 0,1%; 9. ზ. მ-ე 0,1%; 10. ა. ვ-ი 0,1%.

აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, სსიპ სახელმწიფო
ქონების პრივატიზების სამსახურთან გაფორმდა ნასყიდობის ხელ-
შეკრულება და გაიცა საკუთრების უფლების დამადასტურებელი
მონშობა №... . 2010 წელს გარდაიცვალა 99,1% წილის მფლობელი
ვ. ბ-ი, რის გამოც ზ. ბ-მა, როგორც კანონიერმა მემკვიდრემ, მი-
მართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარე-
გისტრაციო სამსახურს, რათა გაეფორმებინა წილი თავის სახელ-
ზე, როგორც ვ. ბ-ის კანონიერ მემკვიდრეზე. საჯარო რეესტრის

ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა 2013 წლის 29 იანვარს შეაჩერა სარეგისტრაციო წარმოება, რადგან დაინტერესდა, რით იყო განპირობებული წილების არათანაბარი განაწილება. სარეგისტრაციო სამსახურმა საკითხის უკეთ გასარკვევად მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და მისგან მოითხოვა ინფორმაცია მოცემულ საკითხზე. როგორც სამინისტროს 2013 წლის 13 მარტის №31 წერილით გახდა ცნობილი, არც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და არც სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს არქივებში არ იძებნებოდა არანაირი დოკუმენტი ... ატელიეს შრომითი კოლექტივის ამხანაგობის მიერ ქ. თბილისში, ... ქუჩა №55-ში მდებარე უძრავი ნივთის პრივატიზებასთან დაკავშირებით. ზ. ბ-მა და წილის მფლობელებმა სამინისტროს წარუდგინეს ყველა დოკუმენტი, თუმცა ისინი სამინისტროს მიერ არ იქნა გაზიარებული. სამინისტრომ დააფიქსირა მხოლოდ ის ფაქტი, რომ დოკუმენტაცია მასთან არ ინახებოდა და არ იცნობდა მათ მიერ მიწოდებულ დოკუმენტაციას.

აქედან გამომდინარე, მოსარჩელემ ... ქ. №55-ში მდებარე 119 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის პრივატიზების მიზნით ... ატელიეს შრომითი კოლექტივის მიერ დროებითი ამხანაგობის ჩამოყალიბების ფაქტის, წილების განაწილების, იმ პროპორციულობით, რაც მოცემული იყო ამხანაგობის წევრებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, დადასტურება მოითხოვა.

2013 წლის 24 ივნისს ზ. ბ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელემ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 23 მაისის №... და თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 21 მარტის №... გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 18 ივლისის საოქმო განჩინებით ადმინისტრაციული საქმე №3/1094-13 ზ. ბ-ი – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ და ადმინისტრაციული საქმე №3/2259-13 ზ. ბ-ი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ გაერთიანდა ერთ წარმოებად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 18 ივლისის საოქმო განჩინებით ადმინის-

ტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის შესაბამისად, საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და ... ატელიეს შრომითი კოლექტივის ამხანაგობის წევრები: თ. კ-ი, ზ. კ-ი, ა. ვ-ი, ვ. კ-ი, ვ. ჩ-ე, ს. ჯ-ი, მ. ჯ-ი, ქ. ც-ი, ზ. მ-ე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 25 სექტემბრის განჩინებით ადმინისტრაციულ საქმეზე ზ. ბ-ის სარჩელისა გამო, მოპასუხეების: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ, მესამე პირები: ... ატელიეს შრომითი კოლექტივის ამხანაგობის წევრები: თ. კ-ი, ზ. კ-ი, ა. ვ-ი, ვ. კ-ი, ვ. ჩ-ე, ს. ჯ-ი, მ. ჯ-ი, ქ. ც-ი, ზ. მ-ე, ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობისა და შესაბამისი საპრივატიზაციო ჩანაწერების გაკეთების დავალების თაობაზე, შეჩერდა საქმის წარმოება მესამე პირების – ვ. კ-ისა და მ. ჯ-ის უფლებამონაცვლეების დადგენამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 20 იანვრის განჩინებით გასწორდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 18 ივლისისა და 2013 წლის 25 სექტემბრის განჩინებებში დაშვებული უსწორობა და „ს. ჯ-ის“ ნაცვლად მიეთითა „ს. ა-ი“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 24 სექტემბრის განჩინებით ადმინისტრაციულ საქმეზე ზ. ბ-ის სარჩელისა გამო, მოპასუხეების – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ, მესამე პირები: ... ატელიეს შრომითი კოლექტივის ამხანაგობის წევრები: თ. კ-ი, ზ. კ-ი, ა. ვ-ი, ვ. კ-ი, ვ. ჩ-ე, ს. ჯ-ი, მ. ჯ-ი, ქ. ც-ი, ზ. მ-ე, ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობისა და შესაბამისი საპრივატიზაციო ჩანაწერების გაკეთების დავალების თაობაზე, განახლდა საქმის წარმოება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 აპრილის განჩინებით ადმინისტრაციულ საქმეში №3/2259-13 ზ. ბ-ის სარჩელისა გამო მოპასუხეების – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, მესამე პირე-

ბის – ... ატელიეს შრომითი კოლექტივის ამხანაგობის წევრების: ზ. მ-ის, თ. კ-ის, ზ. კ-ის, ა. ვ-ის, ვ. კ-ის, ვ. ჩ-ის, ს. ჯ-ის, მ. ჯ-ის, ქ. ც-ის მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის, ქმედების განხორციელების დავალების შესახებ, გარდაცვლილი მესამე პირის, ვ. კ-ის უფლებამონაცვლევად ცნობილ იქნენ მისი შვილები – რ. კ-ი და ს. კ-ი, მესამე პირის – გარდაცვლილი მ. ჯ-ის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა მისი შვილი ჯ. ჯ-ი, ხოლო გარდაცვლილი მესამე პირის – ს. ა-ის უფლებამონაცვლევად ცნობილ იქნენ მისი შვილი ს. ა-ი და მეუღლე მ. ო-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 8 მაისის სასამართლო სხდომაზე დაზუსტდა მოპასუხეთა წრე და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ნაცვლად მიეთითა მხოლოდ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით ზ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1995 წლის 3 ივნისის ხელშეკრულებით ... ატელიეს შრომითი კოლექტივის ამხანაგობას პირდაპირი მიყიდვის წესით საკუთრებაში გადაეცა ... ატელიე. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული საკუთრების დამადასტურებელი №... მოწმობით დადასტურებულია, რომ ... ატელიეს შრომითი კოლექტივის ამხანაგობას საკუთრებაში გადაეცა ... ატელიე, მდებარე ქ. თბილისში, ... ქუჩა №55-ში, 119,0 კვ.მ ფართი. 1995 წლის 13 ივნისს კი გაფორმდა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი №45. საქმეში წარმოდგენილია 1995 წლის 14 აპრილის ატელიე ... „დამფუძნებელი ხელშეკრულება“ (რეესტრის №2-837, ნოტ: ო-ე), რომლის თანახმადაც, ირკვეოდა, რომ ამხანაგობის წევრებს შორის მოხდა გარიგების საფუძველზე წილების გადანაწილება შემდეგი სახით: 1. ვ. ბ-ი – 99,1%; 2. თ. კ-ი – 0,1%; 3. ა. ვ-ი – 0,1%; 4. ვ. კ-ი – 0,1%; 5. ვ. ჩ-ე – 0,1%; 6. ს. ა-ი – 0,1%; 7. მ. ჯ-ი – 0,1%; 8. ქ. ც-ი – 0,1%; 9. ზ. მ-ე – 0,1%; 10. ზ. კ-ი – 0,1%.

სასამართლოს მითითებით, თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებით ... ატელიეს შრომითი კოლექტივის, შპს „...“ პარტნიორების – გ. ო-ის, ზ. კ-ის, თ. კ-ის, მ. ჯ-ის, ს. კ-ის, ა. ვ-ის, გ. ა-ის, ვ. ჩ-ის, ს. ა-ის, ზ. მ-ის, ჰ. თ-ის, რ. გ-ის, რ. კ-ის მიმართ, სასარჩელო მოთხოვნა შპს „...“ სადამფუძნებლო დოკუმენტების გაყალბებულად აღიარებასა და

წილების თანაბარ ნაწილად განაწილებასთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის ვადის გავლის გამო. შპს „...“ დირექტორის ზ. ბ-ის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა. მოსარჩელებს – გ. ო-ს, ზ. კ-ს, თ. კ-ს, მ. ჯ-ს, ს. კ-ს, ა. ვ-ს, გ. ა-ს, ვ. ჩ-ეს, ს. ა-ს, ზ. მ-ეს, ჰ. თ-ს, რ. გ-ეს, რ. კ-ს დაევალით კანონით დადგენილი წესით შპს „...“ შრომითი ხელშეკრულების გაფორმება და საგადასახადო აღრიცხვის წესების შემოღება. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება მხარეთა მიერ გასაჩივრებულ იქნა თბილისის საოლქო სასამართლოში. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 11 მაისის (საქმე №2ბ-990-04) გადაწყვეტილებით ... ატელიეს შრომითი კოლექტივისა და შპს „...“ პარტნიორების წარმომადგენლის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება შპს „...“ დირექტორის, ზ. ბ-ის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; შპს „...“ დირექტორის, ზ. ბ-ის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 22 სექტემბრის №ას-830-1082-04 განჩინებით ... ატელიეს შრომითი კოლექტივისა და შპს „...“ პარტნიორების წარმომადგენლის საკასაციო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

სასამართლომ, ასევე, დადგენილად მიიჩნია, რომ 2012 წლის 3 აპრილს ზ. ბ-მა განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა მემკვიდრეობის საფუძველზე, საკუთრების უფლების რეგისტრაცია უძრავ ნივთზე: ქ. თბილისში, ... ქუჩა №55-ში მდებარე 119 კვ.მ 99,1%-ზე. მან განცხადებას დაურთო შემდეგი დოკუმენტები: პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი, სანოტარო წესით დამონმებული სამკვიდრო მონმოზა, საკუთრების მონმოზა, ხელშეკრულება, დამფუძნებელი ხელშეკრულება, შრომითი კოლექტივის საერთო კრების ოქმი, მიღება-ჩაბარების აქტი. სარეგისტრაციო წარმოებისას დოკუმენტის, კერძოდ, 1995 წლის 14 აპრილის ატელიე ... დამფუძნებელი ხელშეკრულების (რეესტრის №2-837, ნოტ: ო-ე) თანახმად, დადგინდა ის გარემოება, რომ ამხანაგობის წევრებს შორის მოხდა

გარიგების საფუძველზე წილების სხვაგვარად (არათანაბრად) გადანაწილება. კერძოდ, აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე განმცხადებლის მამკვიდრებელს, აღნიშნულ ამხანაგობაში და შესაბამისად, ამ უკანასკნელის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთში გააჩნდა 99,1% წილი, ხოლო სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაცია არ იყო წარდგენილი სათანადო ფორმით. სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ურთიერთშეჯერების შედეგად დადგინდა, რომ წარდგენილ კრების ოქმზე არ იკითხებოდა და არ ირკვეოდა მათზე ხელისმომწერი პირების ხელისმწერის ფაქტის დადასტურება. შესაბამისად, განმცხადებელს ამ შემთხვევაში არ უდასტურებოდა საკუთრების უფლება იმ ოდენობის ფართობზე (99.1%), რამდენზედაც ის ითხოვდა საკუთრების უფლების რეგისტრაციას თუ არ იქნებოდა წარდგენილი სრულყოფილად ზემოხსენებული დოკუმენტი. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 6 აპრილის №... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა და განმცხადებელს დამატებით მოეთხოვა სრულყოფილი კრების ოქმის ან/და უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამონმებული საკუთრების უფლების მონმობის დანართის წარმოდგენა, სადაც მითითებული იქნებოდა წილების სხვაგვარად (არათანაბრად) გადანაწილების შესახებ. სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ არ იქნა წარდგენილი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი/ინფორმაცია, რის გამოც „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე 2012 წლის 10 მაისს მიღებულ იქნა №... გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 7 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი №... გადაწყვეტილება და განახლდა სარეგისტრაციო წარმოება. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა 2012 წლის 20 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით, 2013 წლის 29 იანვრის №... გადაწყვეტილებით და 2013 წლის 21 მარტის №... გადაწყვეტილებით კვლავ შეაჩერა სარეგისტრაციო წარმოება და განმარტა, რომ მოცემულ განცხადებაზე სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა 29/01/2013წ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან საკითხის გარკვევის მიზნით. 2013 წლის 13 მარტის №4/5503 მიწერილობის თანახმად, ცნობილი გახდა, რომ „... ატელიეს შრომითი კოლექტივის ამხანაგობის“ მიერ ქ. თბილისში, ... ქუჩა №55-ში

მდებარე უძრავი ნივთის (... ატელიეს არასაცხოვრებელი ფართი) პრივატიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია არ იძებნებოდა არც სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და არც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს არქივში. შესაბამისად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო მოკლებული იყო შესაძლებლობას, განემარტა აღნიშნულ პრივატიზებასთან დაკავშირებული საკითხები. ამასთან, განმცხადებელს მოეთხოვა ... შრომითი კოლექტივის ამხანაგობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ჩამოყალიბების დოკუმენტაცია ან ობიექტის პრივატიზაციის განხორციელების შემდგომ საკუთრების დამადასტურებელ №... მოწმობაში მითითებული ამხანაგობის წევრთა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი შეთანხმება წილების გადანაწილების შესახებ. სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ არ იქნა წარდგენილი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი/ინფორმაცია, შესაბამისად, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, 2013 წლის 23 აპრილს მიღებულ იქნა №... გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ.

2013 წლის 22 აპრილს ზ. ბ-მა №60832/17 ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 21 მარტის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ასევე საკუთრების უფლების რეგისტრაცია ქ. თბილისში, ... ქუჩა №55-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართის, 119 კვ.მ 99,1%-ზე. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 23 მაისის №... გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მითითებით, ქ. თბილისში, ... ქუჩა №55-ში არსებულ უძრავ ნივთზე (სართული 1,118 კვ.მ. ფართი №1ა) რეგისტრირებულია შპს „...“ საკუთრების უფლება.

სასამართლოს განმარტებით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველია განცხადება ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ხოლო მე-2 პუნქტის თანახმად, განცხადებას უნდა ერთოდეს ინსტრუქციით განსაზღვრული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია და ინფორმაცია. ამავე კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად,

რეგისტრაცია წარმოებს როგორც უშუალოდ სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტების, აგრეთვე ამ დოკუმენტაციის სათანადო წესით შექმნილი ელექტრონული ასლების საფუძველზე. ამავე კანონის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო დოკუმენტაცია არის რეგისტრაციის მიზნით მარეგისტრირებელ ორგანოში წარსადგენი სარეგისტრაციო და სხვა დოკუმენტები, ხოლო „კ“ ქვეპუნქტით, სარეგისტრაციო დოკუმენტი არის სამართლებრივი აქტი, რომელიც უშუალოდ წარმოშობს ამ კანონით განსაზღვრული რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ზ. ბ-მა განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა მემკვიდრეობის საფუძველზე, საკუთრების უფლების რეგისტრაცია უძრავ ნივთზე: ქ. თბილისში, ... ქუჩა №55-ში მდებარე 119 კვ.მ 99.1%-ზე და სწორედ აღნიშნული განცხადების საფუძველზე იქნა დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას რეგისტრაციის (მოთხოვნის დაკმაყოფილების) შესახებ, თუ არ არსებობს რეგისტრაციაზე უარის უქმის, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ან შეწყვეტის საფუძველები. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, თუ განცხადებას არ ერთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტი ან ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად, ან/და არ არის გადახდილი სააგენტოს მიერ განუხლები მომსახურების საფასური; განცხადება ან/და თანდართული დოკუმენტი, ან ინფორმაცია არ არის წარდგენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმითა და წესით. სასამართლომ მიუთითა საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 29 მაისის №178 ბრძანებულებით დამტკიცებულ „პრივატიზაციის პროცესში ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მუშაკთათვის ობიექტების პირდაპირი მიყიდვის შესახებ“ დებულებაზე, რომლის მე-14 პუნქტის საფუძველზეც, ამხანაგობა ვალდებული იყო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის დადგენის მიზნით, ადგილობრივ მმართველობით ორგანოში გატარებულიყო რეგისტრაციაში არსებული წესით.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თუ წარმოდგენილია შრომითი კოლექტივის ამხანაგობაზე გაცემული საკუთრების მონმობა თანდართულ ხელშეკრულებასთან ერთად, მაგრამ არ არის წარმოდგენილი აღნიშნული ამხანაგობის კერძო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბების დამადასტურებელი დოკუმენტი, რეგისტრირდება ყოფილი შრომითი კოლექტივის წევრების საკუთრების უფლება.

სასამართლომ მიუთითა, რომ სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2013 წლის 21 მარტს მიღებულ იქნა №... გადაწყვეტილება, რომლითაც სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა, კერძოდ, მხარეს დაევალა დამატებით წარედგინა დასახელებული დებულების საფუძველზე ... შრომითი კოლექტივის ამხანაგობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ჩამოყალიბების დოკუმენტაცია ან ობიექტის პრივატიზების განხორციელების შემდგომ საკუთრების დამადასტურებელ №... მონმობაში მითითებული ამხანაგობის წევრთა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი შეთანხმება წილების გადაწილების შესახებ.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა. სწორედ საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილე-

ბა მიღებული.

სასამართლომ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულმა ორგანომ ყოველმხრივ უნდა გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ისე გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი. მოცემულ შემთხვევაში, საქალაქო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიიჩნია, რომ მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღება მოხდა კანონის მოთხოვნათა დაცვით, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და მხოლოდ საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და ფაქტების დადასტურების შემდეგ იქნა მიღებული გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რის გამოც ზ. ბ-ის სასარჩელო მოთხოვნა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 21 მარტის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე მოთხოვნის ნაწილში უსაფუძვლო იყო და ამ ნაწილში სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

ამასთან, სასამართლოს მითითებით, მოსარჩელე მხარის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 23 მაისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომლითაც უარი ეთქვა მხარეს ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოთხოვნის ამ ნაწილში სარჩელი ასევე უსაფუძვლო იყო იმის გამო, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო. ამავე კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყენება მართივი ადმინისტრაციული წარმოების წესები. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: ა) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ; ბ) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის

თქმის თაობაზე; გ) ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით ამოწმებს ადმინისტრაციული ორგანო. ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია შეამოწმოს, აკმაყოფილებს თუ არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონის იმ მოთხოვნას, რომელიც ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს ანიჭებს რაიმე უფლებას ან უპირატესობას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საჩივრის განმხილველმა ორგანომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად შესწავლის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და შესაბამისად, არ არსებობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 23 მაისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

მოსარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნას ასევე წარმოადგენდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დავალეზბოდა საპრივატიზებო დოკუმენტაციის აღდგენა (რეგისტრაციაში გაეტარებინა) ქ.თბილისში, ... ქუჩა №55-ში მდებარე 119 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის პრივატიზების მიზნით, ატელიეს შრომითი კოლექტივის მიერ დროებითი ამხანაგობის ჩამოყალიბების ფაქტი იმ პროპორციით, რაც მოცემულია შრომითი კოლექტივის წევრებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში და გაეკეთებინა შესაბამისი საპრივატიზებო ჩანაწერი. საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მოთხოვნის ამ ნაწილში სარჩელი ასევე არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, ვინაიდან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2013 წლის 13 მარტის №4/5503 მიწერილობის თანახმად, ცნობილი გახდა, რომ „... ატელიეს შრომითი კოლექტივის ამხანაგობის“ მიერ ქ. თბილისში, ... ქუჩა №55-ში მდებარე უძრავი ნივთის (... ატელიეს არასაცხოვრებელი ფართი) პრივატიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია არ იძებნებოდა არც სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და არც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი გან-

ვითარების სამინისტროს არქივში. შესაბამისად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო მოკლებული იყო შესაძლებლობას, განემარტა აღნიშნულ პრივატიზებასთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 29 მაისის №178 ბრძანებულებით დამტკიცდა „პრივატიზაციის პროცესში ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მუშაკთათვის ობიექტების პირდაპირი მიყიდვის შესახებ“ დებულება, რომელიც განსაზღვრავდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ საპრივატიზაციოდ დამტკიცებული ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მუშაკთა მიერ შექმნილ დროებით ამხანაგობებზე პირდაპირი მიყიდვის წესს. ამავე დებულების მე-3 პუნქტის თანახმად, ობიექტის პირდაპირი მიყიდვა ხორციელდებოდა მხოლოდ მუშაკთა მიერ შექმნილ ამხანაგობაზე, რომელიც აერთიანებდა ობიექტში მომუშავეთა 50 პროცენტზე მეტს. დებულების მე-5 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანო ამ წესით პრივატიზებადი ცალკეული ობიექტების მიმართ შეიმუშავებდა მოთხოვნებს, რომლებითაც უნდა გათვალისწინებულიყო: გარკვეული სახის პროდუქციის, სახალხო მოხმარების საქონლით ვაჭრობისა და მომსახურების ვალდებულება; განსაზღვრული დროის განმავლობაში ობიექტის სხვა იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის მიყიდვის შეზღუდვები; ობიექტის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებების და კეთილმოწყობის/კაპიტალური შეკეთების/ ვადები არა უმეტეს ერთი წლისა, გარემოს დაცვითი ღონისძიებების ჩატარება; განსაკუთრებულ შემთხვევაში სხვა პირობები, ქონების მართვის სამინისტროსთან შეთანხმებით. ამავე დებულების მე-7 პუნქტის თანახმად, ინფორმაცია ამ წესით საპრივატიზებოდ გამზადებული ობიექტის შესახებ დადგენილი წესისა და ფორმის მიხედვით ქვეყნდებოდა პრესაში. მე-8 პუნქტის თანახმად, პრესაში ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ ობიექტის მუშაკებს ეგზავნებოდათ შეტყობინება და უფლება ეძლეოდათ მიეღოთ გადაწყვეტილება დადგენილი წესით ამხანაგობის შექმნის შესახებ. ამხანაგობა ვალდებული იყო შეტყობინებიდან ორი კვირის ვადაში განცხადებით მიემართა სახელმწიფო ქონების მართვის ორგანოსათვის. დებულების მე-10 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონების მართვის ორგანო ვალდებული იყო განაცხადის მიღებიდან ორი კვირის ვადაში მიეღო გადაწყვეტილება ობიექტის გაყიდვის შესახებ და ეცნობებინა ამხანაგობისათვის. დებულების მე-11 პუნქტის თანახმად, ამხანაგობა ვალდებული იყო

ობიექტის პრივატიზებაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღებიდან 20 დღის განმავლობაში უზრუნველყო ობიექტის გასაყიდი ფასის არანაკლებ ნახევრისა და არა უმეტეს 65 პროცენტის დაფარვა, მათ შორის 10%, როგორც წესი, დაიფარებოდა ნაღდი ანგარიშსწორებით. დებულების მე-12 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ ამხანაგობა დადგენილი წესით და ვადაში არ შემოიტანდა განცხადებას ან ვერ უზრუნველყოფდა შესაბამისი თანხის გადახდას, სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტო იღებდა გადაწყვეტილებას ასეთი ობიექტის კონკურსის ან აუქციონის წესით პრივატიზების შესახებ. დებულების მე-13 პუნქტის თანახმად, თანხის სრულად დაფარვის შემდეგ სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტო აფორმებდა ხელშეკრულებას იმ ვადით, რომელიც გათვალისწინებული იყო წინასწარ გამოცხადებული პირობების შესასრულებლად, ხოლო დებულების მე-14 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ამხანაგობა ვალდებული იყო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის დადგენის მიზნით ადგილობრივ მმართველობით ორგანოში გაეტარებინა რეგისტრაციაში არსებული წესით.

დასახელებული ნორმების ანალიზის საფუძველზე სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ საპრივატიზაციოდ დამტკიცებული ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მუშაკთა მიერ შექმნილი დროებითი ამხანაგობების მიერ საპრივატიზებო ობიექტების შესახებ, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში ხდებოდა დოკუმენტების წარდგენა, ხოლო პრივატიზების პროცესში სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო უშუალოდ არ ერეოდა. ამასთან, საგულისხმო იყო ის გარემოება, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო შეიქმნა და ფუნქციონირებს 2012 წლის 17 სექტემბრიდან და იგი ვერ იქნებოდა 1995 წელს განხორციელებულ მოქმედებებზე პასუხისმგებელი პირი, მით უფრო მაშინ, როდესაც სააგენტო არ ახორციელებდა შრომითი კოლექტივების მიერ შექმნილი დროებითი ამხანაგობების აღრიცხვას და არ გასცემდა ცნობებს მათ შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ზ. ბ-ის სასარჩელო მოთხოვნა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დავალებოდა აღედგინა საპრივატიზებო დოკუმენტაცია (რეგისტრაციაში გაეტარებინა) ქ. თბილისში, ... ქუჩა №55-ში მდებარე 199 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის პრივატიზების მიზნით, ... ატელიეს შრომითი კოლექტივის მიერ დროებითი ამხანაგობის ჩამოყალიბების ფაქტი იმ პროპორცი-

ით, რაც მოცემულია შრომითი კოლექტივის წევრებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში და გაეკეთებინა შესაბამისი საპრივატიზებო ჩანაწერი, უსაფუძვლო იყო და მოთხოვნის ამ ნაწილში სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. ბ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით ზ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ზ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 23 მაისის №... გადაწყვეტილება „ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“, ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 21 მარტის №... გადაწყვეტილება „სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ“, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის უძრავი ნივთის, მდებარე – ქ. თბილისში, ... ქ. №55, ფართით 119 კვ.მ 99.1%-ზე ზ. ბ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა არ დაეთანხმა მათ სამართლებრივ დასაბუთებას და დამატებით მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივრის განხილვის ეტაპზე აღმოიფხვრა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ერთი საფუძველი, კერძოდ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილ 2013 წლის 13 მარტის №4/5503 მოწერილობაში მითითებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „... ატელიეს შრომითი კოლექტივის ამხანაგობის“ მიერ ქ. თბილისში, ... ქ. №55-ში მდებარე უძრავი ნივთის (... ატელიეს არასაცხოვრებელი ფართი) პრივატიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია არ იძებნებოდა არც სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და არც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს არქივში, რის გამოც სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ ვერ განმარტა აღ-

ნიშნულ პრივატიზებასთან დაკავშირებული საკითხები. სააპელაციო სასამართლოში აპელანტმა წარადგინა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 3 ივნისის №4/27848 და №4/27847 წერილები, ასევე 2016 წლის 2 სექტემბრის №4/45626 და 2016 წლის 5 სექტემბრის №4/46033 წერილები, რომლებშიც სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ადასტურებდა როგორც „... ატელიეს შრომითი კოლექტივის ამხანაგობის“ მიერ ქ. თბილისში, ... ქ. №55-ში მდებარე უძრავი ნივთის, ... ატელიეს 119 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის პრივატიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მათთან არსებობას, ასევე იძლეოდა განმარტებას აღნიშნულ საპრივატიზებო დოკუმენტაციის თაობაზე. ამასთან, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში დაცული „... ატელიეს შრომითი კოლექტივის ამხანაგობის“ მიერ ქ. თბილისში, ... ქ. №55-ში მდებარე უძრავი ნივთის, ... ატელიეს 119 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის პრივატიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია სააგენტოს მიერ ასევე გადაეცა საქმეში მესამე პირის სტატუსით მონაწილე პირების წარმომადგენელსაც. სააპელაციო პალატამ აქვე მიუთითა, რომ აღნიშნული საფუძველი გახდა მოსარჩელის მიერ სააპელაციო სასამართლოში იმ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმისა, რომელთაც ის პირველი ინსტანციის სასამართლოში სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ ითხოვდა საპრივატიზებო დოკუმენტაციის აღდგენას.

სააპელაციო პალატამ შეაფასა სადავო აქტების – სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 21 მარტის №... გადაწყვეტილების და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 23 მაისის №... გადაწყვეტილების მატერიალურ-სამართლებრივი კანონიერება და მიიჩნია, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ისინი ბათილად უნდა იქნენ ცნობილი კანონთან წინააღმდეგობის გამო. კერძოდ, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველია განცხადება ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ხოლო მე-2 პუნქტის თანახმად, განცხადებას უნდა ერთოდეს ინსტრუქციით განსაზღვრული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია და ინფორმაცია. ამავე კანონის მე-9 მუხლის პირვე-

ლი პუნქტის თანახმად, რეგისტრაცია წარმოებს როგორც უშუალოდ სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტების, აგრეთვე ამ დოკუმენტაციის სათანადო წესით შექმნილი ელექტრონული ასლების საფუძველზე. ამავე კანონის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო დოკუმენტაცია არის რეგისტრაციის მიზნით მარეგისტრირებელ ორგანოში წარსადგენი სარეგისტრაციო და სხვა დოკუმენტები“; ხოლო „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო დოკუმენტი არის სამართლებრივი აქტი, რომელიც უშუალოდ წარმოშობს ამ კანონით განსაზღვრული რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზ. ბ-ის მიერ წარდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტი უშუალოდ წარმოშობდა რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას, შესაბამისად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერება იმ საფუძველით, რომ განმცხადებლის მიერ დამატებით წარდგენილი უნდა ყოფილიყო ობიექტის პრივატიზაციის განხორციელების შემდგომ საკუთრების დამადასტურებელ №... მონმობაში მითითებული ამხანაგობის წევრთა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი შეთანხმება წილების გადანაწილების შესახებ, ეწინააღმდეგებოდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის დანაწესის იმის შესახებ, რომ თუ წარმოდგენილია შრომითი კოლექტივის ამხანაგობაზე გაცემული საკუთრების მონმობა, თანდართული ხელშეკრულებასთან ერთად, მაგრამ არ არის წარმოდგენილი აღნიშნული ამხანაგობის კერძო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბების დამადასტურებელი დოკუმენტი, რეგისტრირდება ყოფილი შრომითი კოლექტივის წევრების საკუთრების უფლება, რამდენადაც კანონმდებელი არ ითხოვს ყოფილი შრომითი კოლექტივის ამხანაგობის მიერ რეგისტრაციის მოთხოვნის დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წილების გადანაწილების შესახებ ახალი შეთანხმების წარდგენას, არამედ რეგისტრაციის საფუძველია ყოფილი შრომითი კოლექტივის ამხანაგობაზე გაცემული საპრივატიზებო ობიექტის საკუთრების მონმობა და თანდართული ხელშეკრულება (წილების განაწილების შესახებ), რის შესაბამისადაც რეგისტრირდება ყოფილი შრომითი კოლექტივის ამხანაგობის წევრების თანასაკუთრება ხელშეკრულებაში მოცემული წილობრივი მონაცემების შესაბამისად, რაც შეიძლება ყოფილიყო როგორც თანაბარი, ისე არათანაბარი ამხანაგობის წევრთა შეთანხმების შესაბამისად.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ზ. ბ-ის მიერ წარდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაცია (1995 წლის 26 ივნისის საკუთრე-

ბის დამადასტურებელი №... მოწმობა, 1995 წლის 4 აპრილის დამფუძნებელი ხელშეკრულება, 1995 წლის 4 აპრილის შრომითი კოლექტივის საერთო კრების ოქმი, 1995 წლის 9 ივნისის მიღება-ჩაბარების აქტი) სრულ შესაბამისობაში იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნასთან და საფუძველს ქმნიდა მოთხოვნილი რეგისტრაციის განსახორციელებლად. კერძოდ, როგორც სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტაციიდან, ისე სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში დაცული საპრივატიზებო დოკუმენტაციიდან დგინდებოდა, რომ 1995 წლის 4 აპრილს შედგა ქ. თბილისში, ... ქ. №55-ში მდებარე ... ატელიეს შრომითი კოლექტივის საერთო კრება, რომელმაც განიხილა ატელიეს პრივატიზების მიზნით დროებითი ამხანაგობის შექმნის საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება ობიექტის შესყიდვის მიზნით საწარმოს მუშაკთა დროებითი ამხანაგობის შექმნისა და ამხანაგობის წევრებს შორის წილის განსაზღვრის მიზნით დამფუძნებელი ხელშეკრულების გაფორმების შესახებ (შრომითი კოლექტივის საერთო კრების ოქმი, 4 აპრილი 1995 წელი). 1995 წლის 4 აპრილს ამხანაგობის წევრებს შორის გაფორმდა დამფუძნებელი ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ქ. თბილისში, ... ქ. №55-ში მდებარე ... ატელიეს შრომითი კოლექტივის მიერ ატელიეს პრივატიზების მიზნით დაფუძნდა დროებითი ამხანაგობა, რომელშიც განწევრიანდა ატელიეს შრომითი კოლექტივის 10 წევრი, მათ შორის ზ. ბ-ის მამკვიდრებელი ვ. ბ-ი. აღნიშნული ხელშეკრულებით მთლიან საპრივატიზებო ქონებაში ამხანაგობის წევრების წილი განისაზღვრა შემდეგნაირად: ვ. ბ-ი – 99.1%, ამხანაგობის დანარჩენი წევრები – 09%, თითოეულს – 01%; ამასთან, ამხანაგობის წევრებს საპრივატიზებო თანხა უნდა გადაეხადათ საპრივატიზებო ქონებაში მათი წილის პროპორციულად (დამფუძნებელი ხელშეკრულება 4 აპრილი 1995 წელი). 1995 წლის 13 ივნისს ამხანაგობის წარმომადგენელ ვ. ბ-სა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის მთავარი სამმართველოს წარმომადგენელს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ატელიე ... შრომითი კოლექტივის ამხანაგობას პირდაპირი წესით, 4 434 დოლარად მიეყიდა ქ. თბილისში, ... ქ. №55-ში მდებარე ატელიეს ... მიერ დაკავებული ფართი, 1995 წლის 9 ივნისის №45 მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემული 119 კვ.მ ოდენობით (პრივატიზაციის ხელშეკრულება 1995წ.13.06. მიღება-ჩაბარების აქტი 09.06.1995წ.). 1995 წლის 26 ივნისს ... ატელიეს შრომითი კოლექტივის ამხანაგობის სახელზე ქ. თბილისში სახელმწიფო ქონების მარ-

თვის მთავარი სამმართველოს მიერ გაცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა №... (1995 წლის 26 ივნისის №... საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა).

სააპელაციო სასამართლო საქმის მასალებისა და მხარეთა პოზიციების გაანალიზების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სარეგისტრაციო სამსახურის უარი რეგისტრაციაზე განაპირობა 1995 წლის 4 აპრილის დამფუძნებელ ხელშეკრულებაში ამხანაგობის წევრებს შორის წილების არათანაბარმა განაწილებამ, რაც სამსახურის პოზიციით არ იყო რეალური; სააპელაციო პალატამ სრულიად უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნია აღნიშნული პოზიცია, ვინაიდან დამფუძნებელი ხელშეკრულების ძალაში ყოფნის პირობებში მას მოჰყვებოდა შესაბამისი სამართლებრივი შედეგი. ამასთან, პალატამ მიუთითა, რომ დამფუძნებელი ხელშეკრულების ნამდვილობა ამხანაგობის წევრების მიერ სასარჩელო წესით სადავოდ არ იყო გამხდარი მართლწინააღმდეგობის, საჯარო წესრიგთან ან ზნეობის ნორმებთან წინააღმდეგობის ან ნების გამოვლენის (ნების ნაკლი) არ არსებობის გამო. სააპელაციო პალატამ მიუთითა საქმის მასალებით დადგენილ დავის გადასაწყვეტად მნიშვნელოვან შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 1996 წლის 30 აპრილს ... ატელიეს შრომითი კოლექტივის ამხანაგობამ მოინვია დამფუძნებელ პარტნიორთა კრება და მიიღო გადაწყვეტილება შპს „...“ დაფუძნების შესახებ. ამასთან, აღნიშნული სადამფუძნებლო დოკუმენტით (1996 წლის 30 აპრილის დამფუძნებელ პარტნიორთა კრების ოქმი №1) განსაზღვრული არ იქნა შპს „...“ სამართალმემკვიდრეობა 1995 წლის 4 აპრილის დამფუძნებელი ხელშეკრულებით დაფუძნებულ ... ატელიეს შრომითი კოლექტივის ამხანაგობასთან. 2002 წელს შპს „...“ პარტნიორების მიერ, რომელთა შორისაც იყვნენ ... ატელიეს შრომითი კოლექტივის ამხანაგობის წევრები, სარჩელი აღიძრა სასამართლოში, რომელთა მოთხოვნას შეადგენდა 1995 წლის 4 აპრილის სადამფუძნებლო ხელშეკრულების ბათილად ცნობა და წილების გადანაწილება 1995 წლის 4 აპრილის საერთო კრების შესაბამისად. ასევე შპს „...“ სადამფუძნებლო დოკუმენტების გაყალბებულად აღიარება და წილების გადანაწილება შპს „...“ პარტნიორებს შორის; აღნიშნული სარჩელი არ იქნა დაკმაყოფილებული, რის შესახებაც არსებობს კანონიერ ძალაში შესული ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 09.12. 2003 წლის №2/190 გადაწყვეტილება.

აღნიშნულ საქმეზე სასამართლოების მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ 1995 წლის 4 აპრილის დამფუძნებელი ხელშეკრულებით საპრივატიზებო ქონებაში ... ატელიეს შრომითი კოლექტივის ამხანაგობის წევრების წილები განისაზღვრა შემდეგნაირად:

ვ. ბ-ი – 99.1%, ამხანაგობის დანარჩენი წევრები – 09%, თითოეულს – 01%, 1995 წლის 4 აპრილის დამფუძნებელ ხელშეკრულებაზე ხელმომწერ პირთა ხელმოწერების ნამდვილობის დადასტურების საფუძველზე, ხოლო ხელმოწერების ნამდვილობა დადგენილ იქნა კალიგრაფიული ექსპერტიზების გზით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ 1995 წლის 4 აპრილის დამფუძნებელ ხელშეკრულებაზე ხელმომწერ პირთა ხელმოწერების ნამდვილობა ასევე დადასტურებულია ვ. ბ-ის მიმართ სისხლის სამართლის დევნის არდანყების შესახებ 2005 წლის 17 ნოემბრის დადგენილებით, რომელშიც მითითებულია, რომ ყველა საპრივატიზებო დოკუმენტაციაზე, მათ შორის, დამფუძნებელთა ხელშეკრულებაზე გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნებით დადასტურებულია ხელმოწერების შესრულება იმ პირთა მიერ, რომლებიც მითითებულია დოკუმენტებში, ასევე გამოძიების პროცესში ამხანაგობის წევრების დაკითხვა-დაპირისპირებისას დადგენილ იქნა ყველა საპრივატიზებო დოკუმენტზე ხელმოწერების ნამდვილობა, შესაბამისად, ამხანაგობის წევრთა ნება წილების გადანაწილების საკითხში გამოძიებას არ მიაჩნია უკანონოდ (დადგენილება სისხლის სამართლებრივი დევნის არ დანყების შესახებ, 17.11.2005 წ.). სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ 1995 წლის 4 აპრილის დამფუძნებელ ხელშეკრულებაზე მათი ხელმოწერების ნამდვილობა სადავოდ არ გაუხდიათ მოცემულ დავაში მესამე პირის სტატუსით მონაწილე ამხანაგობის წევრებს, ამასთან, ისინი მიუთითებდნენ, რომ მათ მიერ ხელი მოწერილი იქნა სხვა შინაარსის, წილთა თანაბარი განაწილების შესახებ დამფუძნებელ ხელშეკრულებაზე, რაც სასამართლოს მიერ გაზიარებული ვერ იქნება მისი დაუდასტურებლობის საფუძველით. ამასთან, არც 2002 წლის სამოქალაქო დავის მასალებში და არც 2005 წლის სისხლის სამართლის საქმის მასალებში არ ყოფილა დაფიქსირებული ამხანაგობის წევრთა პოზიცია სხვა შინაარსის დამფუძნებელი ხელშეკრულების არსებობის შესახებ. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა სარეგისტრაციო სამსახურისა და მესამე პირების პოზიცია იმის შესახებ, რომ შრომითი კოლექტივის ამხანაგობის წევრთა ვინაობისა და მათ შორის საპრივატიზებო ქონებაში წილთა განაწილების შესახებ ასახული უნდა ყოფილიყო საკუთრების დამადასტურებელ მოწმობაში, რამდენადაც ასეთი დანაწესი არ იყო მოცემული იმ კანონქვემდებარე აქტებში, რომელთა შესაბამისადაც განხორციელდა სადავო ქონების პრივატიზება, კერძოდ, „პრივატიზების პროცესის მოწესრიგებისა და დაჩქარების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 29.05.1994 წლის №178 ბრძანებულება და „საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის დამტკი-

ცების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 04.05.1993 წლის №348 დადგენილება საკუთრების დამადასტურებელ მონუმბაში სავალდებულო რეკვიზიტად ამხანაგობის წევრებზე და წილებზე მითითებას არ ადგენდა. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მესამე პირთა პოზიცია იმის შესახებ, რომ ვინაიდან დამფუძნებელ ხელშეკრულებაზე ამხანაგობის წევრთა ხელმოწერების ნამდვილობა არ იყო დამომწებელი ნოტარიუსის მიერ, ის მიჩნეული არ უნდა ყოფილიყო ნების გამოვლენის დამადასტურებელ დოკუმენტად, ვინაიდან სადავო პრივატიზაციის განხორციელების დროს მოქმედი საპრივატიზებო კანონმდებლობა არ მოითხოვდა წილთა განაწილების შესახებ შრომითი კოლექტივის წევრების გარიგების სანოტარო წესით დადასტურებას, შესაბამისად, სახეზე ვერ იქნებოდა სამოქალაქო კოდექსის 47-ე და 48-ე მუხლების გამოყენების წინაპირობები. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 47.1. მუხლის მიხედვით, სანოტარო წესით გარიგების დადასტურება სავალდებულოა მხოლოდ კანონით მითითებულ შემთხვევებში, დაუცველობა სანოტარო ფორმისა, რომელსაც კანონი მოითხოვს იწვევს გარიგების ბათილობას, ამ კოდექსის 48-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგით, ხოლო 48-ე მუხლის მიხედვით, ბათილია გარიგება, რომელიც კანონის მოთხოვნებს არ შეესაბამება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-386-ე მუხლების საფუძველზე არსებობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, შესაბამისად, ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 23 მაისის №... გადაწყვეტილება „ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 21 მარტის №... გადაწყვეტილება „სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ“ და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს დავალებოდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, უძრავი ნივთის, მდებარე – ქ. თბილისში, ... ქ. №55, 119 კვ.მ ფართის 99.1%-ზე ზ. ბ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ... ატელიეს შრომითი კოლექტივის ამხანაგობის წევრებმა: თ. კ-მა, ზ. კ-მა, ზ. მ-ემ, ქ. ც-მა, ა. ვ-მა, ვ. ჩ-ემ, ვ. კ-ის უფლებამონაცვლეებმა – რ. კ-მა და ს. კ-მა, რომლებმაც გასა-

ჩივრებზე გადამწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

კასატორების მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საჯარო რეესტრის მიერ გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ აქტებში დაფიქსირებულ სამართლებრივ პოზიციას, მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას და ამ კატეგორიის საქმეებზე უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა 1997 წლამდე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსი და 1974 წლის 27 დეკემბრის კანონი „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“.

კასატორების მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა 1995 წელს მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსით გარიგებებისთვის დადგენილი ნორმები. კერძოდ, ამავე კოდექსის 41-ე, 44-ე მუხლები. განსახილველ შემთხვევაში, ე.წ. „დამფუძნებელი ხელშეკრულება“ თავისი შინაარსით არის გარიგება და ამ დოკუმენტში მითითებული პირები გამორიცხავენ შეთანხმებას წარმოდგენილი სახით დოკუმენტის შინაარსზე, ანუ გარიგების პირობებზე. ამ კატეგორიის გარიგების ნამდვილობისთვის აუცილებელი იყო დოკუმენტში მითითებული გარიგების მონაწილე პირების ხელმოწერის დამონება სახელმწიფო ნოტარიუსის ან სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა თანამდებობის პირის მიერ. აღნიშნული სავალდებულო საკანონმდებლო ნორმის დარღვევით 1995 წლის „დამფუძნებელი ხელშეკრულების“ მომზადება არის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რის გამოც ეს დოკუმენტი ვერ იქნება განხილული სათანადო დოკუმენტად.

კასატორები აღნიშნავენ, რომ ძირითად სადავო ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს 1995 წლით დათარიღებული ყოფილი ... ატელიეს შრომითი კოლექტივის წევრების მიერ დადებული ე.წ. „დამფუძნებელი ხელშეკრულება“, რომელზეც ნოტარიუსის – ოის მიერ დამონებულია მხოლოდ ამ დოკუმენტის წარმდგენი ვ. ბის ხელმოწერა. კასატორების მითითებით, სადავო არ არის ის ფაქტი, რომ ამ დოკუმენტზე არ არის წარმოდგენილი დოკუმენტში მითითებული კოლექტივის დანარჩენი 9 წევრის ხელმოწერის ნამდვილობა. ამდენად, არ არსებობს მტკიცებულება, რომლითაც უფლებამოსილი სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ დადასტურებული იქნებოდა დოკუმენტში მითითებული 9 წევრის ნების ნამდვილობა. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს ევალებოდა ეხელმძღვანელა ამ დროს მოქმედი ნორმატიული ნორმებით, კერძოდ, 1974 წლის 27 დეკემბრის „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ კანონითა და 1997 წლამდე

მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსით.

კასატორების მოსაზრებით, სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს ე.წ. „დამფუძნებელი ხელშეკრულების“ მე-7 პუნქტის პირველ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, ხელშეკრულება ძალაში შედის და შესაბამისად, ამხანაგობა შექმნილად ითვლება წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისა და ნოტარიულად დამტკიცების შემდეგ. ამდენად, აღნიშნული სავალდებულო მოთხოვნების დაცვით მომზადებული სათანადო დოკუმენტი უნდა გამხდარიყო შემდგომ ამხანაგობის შექმნის საფუძველი, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ე.წ. „დამფუძნებელი ხელშეკრულების“, როგორც გარიგებითი მნიშვნელობის დოკუმენტის მომზადებისას არ იქნა დაცული სავალდებულო რთული წერილობითი (სანოტარო) ფორმა, აღნიშნული დოკუმენტი ვერ იქნება მიჩნეული სათანადო დოკუმენტად. ამავე ხელშეკრულების შესწავლით და 2002-2003 წლებში ჩატარებული ექსპერტიზით დადგენილია მხოლოდ ამ დოკუმენტში მითითებული პირების ხელმოწერის ნამდვილობა და არა ამ პირების ნება გარიგების შინაარსის მიმართ.

კასატორების მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 128-146-ე მუხლებით განსაზღვრული ხანდაზმულობის ნორმები, რის გამოც საკასაციო სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს და იხელმძღვანელოს თავისივე დადგენილი პრაქტიკით და წერილობითი რეკომენდაციებით.

კასატორების მითითებით, სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 953-ე მუხლი, რომლის შესაბამისად, თუ უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, მაშინ გამოიყენება ამ თავის წესები, თუკი კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ხოლო ამავე კოდექსის 954-ე მუხლის თანახმად, თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის დადგენილი, თითოეულ მონილეს ეკუთვნის თანაბარი წილი. კასატორების მოსაზრებით, საქმეზე წარმოდგენილი დოკუმენტური მტკიცებულებებისა და მითითებული ნორმების გათვალისწინებით, ქ. თბილისში, ... ქ. №55-ში მდებარე 119 კვ.მ ფართი განიხილება საკუთრების მოწმობაში მითითებული 10 პირის თანასაკუთრებად, თანაბარი წილობრივი მონაწილეობით, რადგან არ არსებობს პრივატიზების შემდგომ ქონების შემძენ პირებს შორის არათანაბარწილად შექმნის შეთანხმება.

კასატორები ასევე აღნიშნავენ, რომ წარდგენილი და არსებული დოკუმენტაციის სრულფასოვნად და ობიექტურად გამოკვლევისა და შესწავლის შედეგად სარეგისტრაციო სამსახურმა დაადგინა, რომ განცხადებაზე სარეგისტრაციო წარმოება კვლავ უნდა შეჩერებულიყო და განმცხადებელს მოსთხოვა დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა. კერძოდ, საქართველოს სახელმწიფო

მეთაურის 1994 წლის 29 მაისის №178 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-14 პუნქტის საფუძველზე, რომლის შესაბამისად, ამხანაგობა ვალდებულია ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის დადგენის მიზნით ადგილობრივ მმართველობით ორგანოში გატარდეს რეგისტრაციაში არსებული წესით. საჯარო რეესტრმა ამავე გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ დამატებით წარდგენილი უნდა ყოფილიყო ... ატელიეს შრომითი კოლექტივის ამხანაგობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ჩამოყალიბების დოკუმენტაცია ან ობიექტის პრივატიზაციის განხორციელების შემდგომ საკუთრების დამადასტურებელ №... მოწმობაში მითითებულ ამხანაგობის წევრთა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი შეთანხმება წილების გადანაწილების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 30 მარტის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ... ატელიეს შრომითი კოლექტივის ამხანაგობის წევრების: თ. კ-ის, ზ. კ-ის, ზ. მ-ის, ქ. ც-ის, ა. ვ-ის, ვ. ჩ-ის, ვ. კ-ის უფლებამონაცვლებების რ. კ-ისა და ს. კ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 8 ივნისის განჩინებით ... ატელიეს შრომითი კოლექტივის ამხანაგობის წევრების: თ. კ-ის, ზ. კ-ის, ზ. მ-ის, ქ. ც-ის, ა. ვ-ის, ვ. ჩ-ის, ვ. კ-ის უფლებამონაცვლებების რ. კ-ისა და ს. კ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ... ატელიეს შრომითი კოლექტივის ამხანაგობის წევრების: თ. კ-ის, ზ. კ-ის, ზ. მ-ის, ქ. ც-ის, ა. ვ-ის, ვ. ჩ-ის, ვ. კ-ის უფლებამონაცვლებების რ. კ-ისა და ს. კ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში არსებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 1995 წლის 3 ივნისის ხელშეკრულებით ... ატელიეს შრომითი კოლექტივის ამხანაგობას პირ-

დაპირი მიყიდვის წესით საკუთრებაში გადაეცა ... ატელიე. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული საკუთრების დამადასტურებელი №... მონუმბით დასტურდება, რომ ... ატელიეს შრომითი კოლექტივის ამხანაგობას საკუთრებაში გადაეცა ... ატელიე, მდებარე ქ. თბილისში, ... ქუჩა №55-ში, 119,0 კვ.მ ფართი. 1995 წლის 13 ივნისს კი გაფორმდა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი №45. საქმეში წარმოდგენილია 1995 წლის 14 აპრილის ... ატელიეს დამფუძნებელი ხელშეკრულება (რეესტრის №2-837, ნოტ: ო-ე), რომლის თანახმადაც ირკვევა, რომ ამხანაგობის წევრებს შორის მოხდა გარიგების საფუძველზე წილების გადანაწილება შემდეგი სახით: 1. ვ. ბ-ი – 99,1%; 2. თ. კ-ი – 0,1%; 3. ა. ვ-ი – 0,1%; 4. ვ. კ-ი – 0,1%; 5. ვ. ჩ-ე – 0,1%; 6. ს. ა-ი – 0,1%; 7. მ. ჯ-ი – 0,1%; 8. ქ. ც-ი – 0,1%; 9. ზ. მ-ე – 0,1%; 10. ზ. კ-ი – 0,1%.

საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ 2012 წლის 3 აპრილს ზ. ბ-მა განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა მემკვიდრეობის საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია უძრავ ნივთზე: ქ. თბილისში, ... ქუჩა №55-ში მდებარე 119 კვ.მ 99,1%-ზე. მან განცხადებას დაურთო შემდეგი დოკუმენტები: პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი, სანოტარო წესით დამოწმებული სამკვიდრო მონუმბა, საკუთრების მონუმბა, ხელშეკრულება, დამფუძნებელი ხელშეკრულება, შრომითი კოლექტივის საერთო კრების ოქმი, მიღება-ჩაბარების აქტი. სარეგისტრაციო წარმოებისას, 1995 წლის 14 აპრილის ატელიე ... „დამფუძნებელი ხელშეკრულების“ (ნოტ: ო-ე) თანახმად, დადგინდა ის გარემოება, რომ ამხანაგობის წევრებს შორის მოხდა გარიგების საფუძველზე წილების სხვაგვარად (არათანაბრად) გადანაწილება. კერძოდ, აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე განმცხადებლის მამკვიდრებელს, ამხანაგობაში და შესაბამისად ამ უკანასკნელის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთში გააჩნდა 99,1% წილი, ხოლო სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციას არ იყო წარდგენილი სათანადო ფორმით. სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ურთიერთშეჯერების შედეგად დადგინდა, რომ წარდგენილ კრების ოქმზე არ იკითხებოდა და არ ირკვეოდა მათზე ხელმომწერი პირების ხელმოწერის ფაქტის დადასტურება. შესაბამისად, განმცხადებელს ამ შემთხვევაში არ უდასტურებოდა საკუთრების უფლება იმ ოდენობის ფართობზე (99.1%), რამდენხედაც ის ითხოვდა საკუთრების უფლების რეგისტრაციას თუ არ იქნებოდა წარ-

დგენილი სრულყოფილად ზემოხსენებული დოკუმენტი. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 6 აპრილის №... გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა და განმცხადებელს დამატებით მოეთხოვა სრულყოფილი კრების ოქმის ან/და უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამონმებული საკუთრების უფლების მოწმობის დანართის წარმოდგენა, სადაც მითითებული იქნებოდა ნილების სხვაგვარად (არათანაბრად) გადანაწილების შესახებ. სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ არ იქნა წარდგენილი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი/ინფორმაცია, რის გამოც „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე 2012 წლის 10 მაისს მიღებულ იქნა №... გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 7 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი №... გადაწყვეტილება და განახლდა სარეგისტრაციო წარმოება. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა 2012 წლის 20 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით, 2013 წლის 29 იანვრის №... გადაწყვეტილებით და 2013 წლის 21 მარტის №... გადაწყვეტილებით კვლავ შეაჩერა სარეგისტრაციო წარმოება და განმარტა, რომ მოცემულ განცხადებაზე სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა 2013 წლის 29 იანვარს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან საკითხის გარკვევის მიზნით. 2013 წლის 13 მარტის №4/5503 მიწერილობის თანახმად, ცნობილი გახდა, რომ ... ატელიეს შრომითი კოლექტივის ამხანაგობის მიერ ქ. თბილისში, ... ქუჩა №55-ში მდებარე უძრავი ნივთის (... ატელიეს არასაცხოვრებელი ფართი) პრივატიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია არ იძებნებოდა არც სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და არც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს არქივში. შესაბამისად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო მოკლებული იყო შესაძლებლობას, განემარტა აღნიშნულ პრივატიზებასთან დაკავშირებული საკითხები. ამასთან, განმცხადებელს მოეთხოვა ... შრომითი კოლექტივის ამხანაგობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ჩამოყალიბების დოკუმენტაცია ან ობიექტის პრივატიზაციის განხორციელების შემდგომ საკუთრების დამადასტურებელ №... მოწმობაში მითითებული ამხანაგობის წევრთა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი შეთანხმება ნილების გადანაწილების შესახებ. სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ არ იქნა წარდგენილი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუ-

მენტი/ინფორმაცია, შესაბამისად, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, 2013 წლის 23 აპრილს მიღებულ იქნა №... გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ.

2013 წლის 22 აპრილს ზ. ბ-მა №... ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 21 მარტის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ასევე საკუთრების უფლების რეგისტრაცია ქ. თბილისში, ... ქუჩა №55-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართის 119 კვ.მ 99,1%-ზე. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 23 მაისის №... გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ქ. თბილისში, ... ქუჩა №55-ში არსებულ უძრავ ნივთზე (სართული 1, 118 კვ.მ ფართი №1ა) რეგისტრირებულია შპს „...“ საკუთრების უფლება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 29 მაისის №178 ბრძანებულებით დამტკიცებულ „პრივატიზაციის პროცესში ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მუშაკთათვის ობიექტების პირდაპირი მიყიდვის შესახებ“ დებულებაზე, რომლის მე-14 პუნქტის საფუძველზეც, ამხანაგობა ვალდებულია ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის დადგენის მიზნით ადგილობრივ მმართველობით ორგანოში გატარდეს რეგისტრაციაში არსებული წესით. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თუ წარმოდგენილია შრომითი კოლექტივის ამხანაგობაზე გაცემული საკუთრების მონაწილეობა, თანდართულ ხელშეკრულებასთან ერთად, მაგრამ არ არის წარმოდგენილი აღნიშნული ამხანაგობის კერძო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბების დამადასტურებელი დოკუმენტი, რეგისტრირდება ყოფილი შრომითი კოლექტივის წევრების საკუთრების უფლება. სწორედ აღნიშნული განმარტებების გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2013 წლის 21 მარტს მიღებულ იქნა №... გადაწყვეტილება, რომლითაც სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა, კერძოდ, მხარეს დაევალა დამატებით წარედგინა დასახელებული დებულების საფუძველზე ... შრომითი კოლექტივის ამ-

ხანაგობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ჩამოყალიბების დოკუმენტაცია ან ობიექტის პრივატიზების განხორციელების შემდგომ საკუთრების დამადასტურებელ №... მოწმობაში მითითებული ამხანაგობის წევრთა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი შეთანხმება წილების გადანაწილების შესახებ.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორების მითითებას იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, 1997 წლამდე მოქმედი „სამოქალაქო სამართლის კოდექსით“ გარიგებებისათვის დადგენილი ნორმები, რომლის 41-ე მუხლის თანახმად, „გარიგება არის მოქალაქეთა და ორგანიზაციათა მოქმედება, მიმართული სამოქალაქო უფლებათა ან მოვალეობათა წარმოშობის, შეცვლისა და მოსპობისათვის“. ამავე კოდექსის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „წერილობით უნდა დაიდოს მოქალაქეთა გარიგებანი ურთიერთშორის ას მანეთზე მეტი თანხისა“.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ დავაში ძირითად სადავო ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს 1995 წლის 14 აპრილით დათარიღებული ... ატელიეს შრომითი კოლექტივის წევრების მიერ დადებული ე.წ. „დამფუძნებელი ხელშეკრულება“, რომელიც თავისი შინაარსით გარიგებაა და ამ დოკუმენტში მითითებული პირები გამორიცხავენ შეთანხმებას წარმოდგენილი სახით დოკუმენტის შინაარსზე, ანუ გარიგების პირობებზე. ნების ნამდვილობის დადგენისათვის აუცილებელია ამ დოკუმენტში მითითებული პირების ნება დასტურდებოდეს უფლებამოსილი სახელმწიფო თანამდებობის პირის (სახელმწიფო ნოტარიუსი ან მასთან გათანაბრებული თანამდებობის პირი) მიერ, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება. ამდენად, ამ ტიპის გარიგების ნამდვილობისათვის აუცილებელი იყო დოკუმენტში მითითებული გარიგების მონაწილე პირების ხელმოწერის დამონება სახელმწიფო ნოტარიუსის ან სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა თანამდებობის პირის მიერ. სადავო არ არის ის ფაქტი, რომ ნოტარიუსის მიერ დამონებულია მხოლოდ ამ დოკუმენტის – „დამფუძნებელი ხელშეკრულების“ წარმდგენი ვ. ბ-ის ხელმოწერის ნამდვილობა და არ არის წარმოდგენილი დოკუმენტში მითითებული კოლექტივის 9 პირის ხელმოწერის ნამდვილობა. აღნიშნული გარემოება გულისხმობს, რომ ე.წ. „დამფუძნებელ ხელშეკრულებაში“ მითითებულ წილების არათანაბარ განაწილებაზე დანარჩენ 9 პირს თანხმობა არ განუცხადებია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზო-

გადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა და სწორედ საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული. ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ისე გამოსცა ადმინისტრაციული აქტი, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს გამოსცეს ახალი აქტი. ადმინისტრაციული წარმოების ინკვიზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული ორგანოს პირდაპირ ვალდებულებას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც გამოკვლეულ იქნა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი და არსებული დოკუმენტაციის გამოკვლევასა და შეფასების შედეგად საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ დაადგინა, რომ განცხადებაზე სარეგისტრაციო წარმოება უნდა შეჩერებულიყო იმ საფუძველით, რომ განმცხადებელს უნდა წარედგინა დამატებითი დოკუმენტაცია, კერძოდ, საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 29 მაისის №178 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-14 პუნქტის საფუძველზე ამხანაგობა ვალდებული იყო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის დადგენის მიზნით ადგილობრივ მმართველობით ორგანოში გატარებულიყო რეგისტრაციაში არსებული წესით. ასევე, „დამფუძნებელი ხელშეკრულების“ მე-7 პუნქტი ადგენს სავალდებულო ფორმას, რომლის დაუცველობის გამო და ზემოთ მითითებული განმარტებების გათვალისწინებით, ეს დოკუმენტი ვერ იქნებოდა განხილული სათანადო დოკუმენტად ვერც წილების განსაზღვრის და ვერც დებულებით განსაზღვრული ამხანაგობის რეგისტრაციის მიზნებისათვის. ამასთან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო არ შემოიფარგლა მხოლოდ დაინტერესებული პირის – ზ. ბ.-ის მიერ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში წარდგენილი დოკუმენტებით და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან თავად გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტები. ამდენად, საჯარო რეესტრის მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიღება მოხდა დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი და ასევე, სახელმწიფო უწყების მიერ საკუთარი

ინიციატივით გამოკვლეული დოკუმენტების შესწავლის შედეგად.

საკასაციო სასამართლო ზემოლნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ხელახლა განხილვისას მნიშვნელოვანია დადგინდეს დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი და საჯარო რეესტრის მიერ საკუთარი ინიციატივით მოძიებული და შესწავლილი დოკუმენტებით რამდენად დასტურდება ... ატელიეს ყოფილი შრომითი კოლექტივის წევრების მიერ დადებული „გარიგება“ წილების არათანაბარ განაწილებაზე. მოცემულ შემთხვევაში, მხოლოდ 1995 წლის 4 აპრილის „დამფუძნებელი ხელშეკრულება“ შეიცავს მონაცემებს წილების თაობაზე. ამდენად, შესაფასებელია ამ დოკუმენტის სათანადოობა დოკუმენტში მითითებული წილების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნებისათვის.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს კასატორების მოსაზრებას საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ამ კატეგორიის საქმეებზე დადგენილ ერთგვაროვან პრაქტიკასთან მიმართებით და განმარტავს, რომ №ას-770-1395-03 საქმეზე უზენაესი სასამართლო აკეთებს განმარტებას უცილოდ ბათილი (არარა) გარიგების თაობაზე და აღნიშნავს, რომ „სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება ბათილად ითვლება მისი დადების მომენტიდან. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ პირი, რომელიც დებს უცილოდ ბათილ გარიგებას, ადასტურებს მას, მაშინ მისი მოქმედება განიხილება, როგორც გარიგების ხელახლა დადება. უცილოდ ბათილად ითვლება ყოველგვარი გარიგება, რომელიც არ წარმოშობს დასახულ სამართლებრივ შედეგებს არც მხარეთათვის და არც მესამე პირთათვის. არარა გარიგება მაშინაა სახეზე, როცა მისი შედეგუნარიანობა გამომდინარეობს ამა თუ იმ ზუსტად განსაზღვრული საფუძვლებიდან, როგორცაა ქმედუუნარობა, ფორმის დაუცველობა, უზნეობა და ა.შ. არარა გარიგება მისი დადების მომენტიდანვე ბათილი და მას ნამდვილად ვერ აქცევს ვერც მხარეთა ნება და ვერც სასამართლოს გადაწყვეტილება. დადების მომენტიდანვე ბათილად ჩაითვლება საცილო გარიგებაც, ოღონდ ეს ხდება მისი ბათილობის დადგენის შემდეგ. არარა გარიგების შემთხვევაში ბათილობის ფაქტს არ სჭირდება დადგენა, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით მხოლოდ ადასტურებს უკვე არსებული ბათილობის ფაქტს. მხარეების მიერ გარიგების დადასტურებით არარა გარიგება არ შეიძლება იქცეს ნამდვილ გარიგებად. დადასტურების ფაქტი სინამდვილეში განიხილება როგორც გარიგების ხელახლა დადება. დადასტურებით მხარეები ასწორებენ იმ ნაკლს, რამაც გარიგების ბათილობა გამოიწვია. ვთქვათ, მხარეებმა უძრავი ნივთის ნასყიდო-

ბის ხელშეკრულება არც სანოტარო წესით დაამოწმეს და არც საჯარო რეესტრში გაატარეს, მაშინ ასეთი გარიგება თავიდანვე ბათილი იქნება, მაგრამ თუ მხარეები თანახმანი არიან ძალაში დატოვონ თავიანთი ნების გამოვლენა (დადონ ხელშეკრულება) და ადასტურებენ მას, ეს ნიშნავს იმას, რომ მათ ეს ხელშეკრულება უნდა დაამოწმონ სანოტარო წესით და გაატარონ რეგისტრაციაში. ამ მოქმედებათა შესრულების შემდეგ, გარიგება ნამდვილად ჩაითვლება არა თავდაპირველი გარიგების დადების მომენტიდან, არამედ კანონით გათვალისწინებულ აუცილებელ ფორმაში მისი მოქცევის დროიდან. ეს ფაქტი განიხილება, როგორც გარიგების ხელმოწერა დადება“.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას, დავის კანონიერად და ობიექტურად გადანყვეტის მიზნიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს ადმინისტრაციული ორგანოების მოქმედებათა კანონიერებაზე სადავო აქტების მიმართ და აღნიშნულის საფუძველზე დადგენილ გარემოებებს მისცეს სწორი სამართლებრივი შეფასება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სათანადო ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთების გარეშე, ვინაიდან როგორც საჯარო რეესტრის, ისე ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოკვლეული „დამფუძნებელი ხელშეკრულებით“, ასევე, მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებებით დადგენილია, რომ ნოტარიუს ო-ის მიერ დამოწმებულია მხოლოდ ვ. ბ-ის ხელმოწერა, რომელმაც ეს „დამფუძნებელი ხელშეკრულება“ წარადგინა ნოტარიუსთან დასამოწმებლად. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სადავო ადმინისტრაციულ აქტებში დაფიქსირებული პოზიცია, რომ „დამფუძნებელი ხელშეკრულება“ არ წარმოდგენდა სათანადო დოკუმენტს არათანაბარი წილების რეგისტრაციისათვის. თუმცა, სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია აღნიშნული პოზიცია, ვინაიდან დამფუძნებელი ხელშეკრულების ძალაში ყოფნის პირობებში მას მოჰყვება შესაბამისი სამართლებრივი შედეგი. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ დამფუძნებელი ხელშეკრულების ნამდვილობა ამხანაგობის წევრების მიერ სასარჩელო წესით სადავოდ არ იყო გამხდარი მართლწინააღმდეგობის, საჯარო წესრიგთან ან ზნეობის ნორმებთან წინააღმდეგობის ან ნების გამოვლენის (ნების ნაკლი) არარსებობის გამო.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ 2002 წელს შპს „...“ პარტნიორების მიერ, რომელთა შორისაც იყვნენ ... ატელიეს შრომითი კო-

ლექტივის ამხანაგობის წევრები, სარჩელი აღიძრა სასამართლოში, რომელთა მოთხოვნას შეადგენდა 1995 წლის 4 აპრილის „დამფუძნებელი ხელშეკრულების“ ბათილად ცნობა და წილების გადანაწილება 1995 წლის 4 აპრილის საერთო კრების შესაბამისად. ასევე შპს „...“ სადამფუძნებლო დოკუმენტების გაყალბებულად აღიარება და წილების გადანაწილება შპს „...“ პარტნიორებს შორის. აღნიშნული სარჩელი არ იქნა დაკმაყოფილებული უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, რის შესახებაც არსებობს კანონიერ ძალაში შესული ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 9 დეკემბრის №2/190 გადაწყვეტილება. შპს „...“ დირექტორის ზ. ბ-ის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა. მოსარჩელებს – გ. ო-ს, ზ. კ-ს, თ. კ-ს, მ. ჯ-ს, ს. კ-ს, ა. ვ-ს, გ. ა-ს, ვ. ჩ-ეს, ს. ა-ს, ზ. მ-ეს, ჰ. თ-ს, რ. გ-ეს, რ. კ-ს დაევაღათ კანონით დადგენილი წესით შპს „...“ შრომითი ხელშეკრულების გაფორმება და საგადასახადო აღრიცხვის წესების შემოღება. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება მხარეთა მიერ გასაჩივრებულ იქნა თბილისის საოლქო სასამართლოში. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 11 მაისის (საქმე №2ბ-990-04) გადაწყვეტილებით ... ატელიეს შრომითი კოლექტივისა და შპს „...“ პარტნიორების წარმომადგენლის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2003 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება შპს „...“ დირექტორის, ზ. ბ-ის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. შპს „...“ დირექტორის ზ. ბ-ის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 22 სექტემბრის №ას-830-1082-04 განჩინებით ... ატელიეს შრომითი კოლექტივის და შპს „...“ პარტნიორების წარმომადგენლის საკასაციო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო. ამდენად, შპს „...“ წილებთან დაკავშირებით წარმოებული სამოქალაქო დავის მასალებიდან ჩანს, რომ შრომითი კოლექტივის წევრებს არ უღიარებიათ ე.წ. „დამფუძნებელ ხელშეკრულებაზე“ ნების გამოვლენა. პირიქით, ისინი ყოველთვის აფიქსირებდნენ, რომ ეს დოკუმენტი შინაარსის გაყალბების გზით, მათი ნების საწინააღმდეგოდ იყო შექმნილი.

კასატორები, ასევე, მიუთითებენ ხანდაზმულობის საკითხზე და აღნიშნავენ, რომ დავის საგნის გათვალისწინებით, უძრავ ქო-

ნებასთან დაკავშირებულ საქმეებზე მხედველობაშია მისაღები ხანდაზმულობის 6-წლიანი ვადა, თუმცა 10-წლიანი ვადის გამოყენების შემთხვევაშიც ზ. ბ-ის მოთხოვნა – 1995 წლით დათარიღებული „დამფუძნებელი ხელშეკრულებით“ არათანაბარი წილის საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე, მაინც ხანდაზმულია. კასატორების მითითებით, ხანდაზმულობის ვადის სასამართლო წესით დადგენისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხანდაზმულობის მომენტის გარკვევას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. სასარჩელო მოთხოვნის ვადის დენა დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან, ანუ იმ მომენტთან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას ასევე უნდა იმსჯელოს იმ საკითხზე, თუ როდიდან უნდა დაიწყოს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლა, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი მასალებით ცალსახად არ დასტურდება უფლების დარღვევის შესახებ შეტყობის ფაქტი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს საქმეში წარმოდგენილ განცხადებაზე, რომლის თანახმად, გარდაიცვალა მესამე პირი – ... ატელიეს შრომითი კოლექტივის ამხანაგობის ერთ-ერთი წევრი – ზ. მ-ე. ამასთან, წარმოდგენილია შუამდგომლობა ზ. მ-ის უფლებამონაცვლის დადგენამდე საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე, რის გამოც, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს ზ. მ-ის უფლებამონაცვლის დადგენამდე ამ ნაწილში საქმის წარმოების შეჩერების შესახებ.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევა ანუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. ამასთან, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალის-

წინებული საფუძვლები.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ... ატელიეს შრომითი კოლექტივის ამხანაგობის წევრების: თ. კ-ის, ზ. კ-ის, ზ. მ-ის, ქ. ც-ის, ა. ვ-ის, ვ. ჩ-ის, ვ. კ-ის უფლებამონაცვლებების – რ. კ-ისა და ს. კ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ, თავის მხრივ, საქმის ხელახლა განხილვისას, საკასაციო სასამართლოს მითითებების გათვალისწინებით, საქმეზე უნდა მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. ... ატელიეს შრომითი კოლექტივის ამხანაგობის წევრების: თ. კ-ის, ზ. კ-ის, ზ. მ-ის, ქ. ც-ის, ა. ვ-ის, ვ. ჩ-ის, ვ. კ-ის უფლებამონაცვლებების – რ. კ-ისა და ს. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების
შესრულება;**

სანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-879-875(კ-17)

15 მარტი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შე-
უსრულებლობის გამო
თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 8 აგვისტოს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა
სააგენტომ სასარჩელო განცხადებით მიმართა ფოთის საქალაქო
სასამართლოს, მოპასუხის – მ. ა-ას მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, თვითმმართველ ქ.ფოთის მერიასა
(უფლებამონაცვლე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენ-
ტო) და მ. ა-ას შორის, 2006 წლის 15 ნოემბერს, „სახელმწიფო სა-
კუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების
მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ საქართველოს კანონის
შესაბამისად, გაფორმდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არა-
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (დაუზუს-
ტებელი ფართობი: 50 კვ.მ, საკადასტრო კოდი №...), მდებარე –
ქ.ფოთი, ..., იჯარის ხელშეკრულება 20 წლის ვადით. ხელშეკრულე-
ბის 4.4. მუხლის თანახმად, მხარეთა მიერ განისაზღვრა მიწის იჯა-
რის ქირა 1100 ლარის ოდენობით წელიწადში. სსიპ სახელმწიფო
ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 6 აგ-
ვისტოს №1/1-660 ბრძანების პირველი პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის
საფუძველზე, მომსახურების ცენტრმა შეისწავლა ხელშეკრულე-
ბით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მდგომარეობა, რის შე-
დეგადაც დადგინდა, რომ იჯარის ხელშეკრულების თანახმად, მო-
იჯარის მიერ 2013 წლის 15 ნოემბრის მდგომარეობით გადასახდე-
ლი საიჯარო ქირა შეადგენდა 7700 ლარს. საფინანსო სამმართვე-

ლოს 2014 წლის 18 ივნისის №29215 სამსახურებრივი ბარათით ირკვეოდა, რომ მოიჯარის მიერ საიჯარო ქირა არ ყოფილა გადახდილი.

2014 წლის 17 ივნისს სააგენტოს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრმა მოპასუხეს გაუგზავნა შეტყობინება №12/722317, იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის თაობაზე, რომლითაც ეცნობა, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყვეტილიყო ხელშეკრულების 8.1 მუხლის „ბ“ და 8.2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 29 სექტემბრის №1/1-2173 ბრძანებით შეწყდა 2006 წლის 15 ნოემბერს ქ.ფოთის მერიასა და ფიზიკურ პირ მ. ა-ას შორის გაფორმებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულება.

მოსარჩელის განმარტებით, 2014 წლის 28 ოქტომბრის №54531/05 წერილით, მ. ა-ამ მიმართა სააგენტოს საიჯარო ქირის დავალიანების 2 წელზე განაწილვადების მოთხოვნით. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 19 ნოემბრის წერილით მ. ა-ას ეცნობა, რომ დაკმაყოფილდა მისი 2014 წლის 28 ოქტომბრის განცხადება და დავალიანების დაფარვა უნდა განხორციელებულიყო 2014 წლის 1 დეკემბრიდან ეტაპობრივად ორი წლის განმავლობაში, ყოველი თვის 15 რიცხვამდე, 360,81 ლარის ოდენობით, განცხადებაში მითითებულ საბანკო ანგარიშებზე. როგორც 2016 წლის 27 მაისის სააგენტოს საფინანსო სამსახურის №40885 სამსახურებრივი ბარათით დასტურდება, მ. ა-ას საიჯარო თანხის დაფარვის მიზნით თანხის ჩარიცხვა მითითებულ ანგარიშზე არ განუხორციელებია.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოპასუხისათვის თვითმმართველ ქ.ფოთის მერიას (უფლებამონაცვლე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) და მ. ა-ას შორის 2006 წლის 15 ნოემბერს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის – 8659,43 ლარის გადახდის დაკისრება მოითხოვა.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქმის მასალების შესაბამისად, თვითმმართველ ქ. ფოთის მერსა და მ. ა-ას შორის 2006 წლის 15 ნოემბერს დადებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარის შესახებ №18 ხელშეკრულების თანახმად,

მ. ა-ას 20-წლიანი სარგებლობის უფლებით, ქ.ფოთში, ..., ... №1-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 50 კვ.მ მიწის (სა-იდენტიფიკაციო კოდი ...) ნაკვეთი გადაეცა. ხელშეკრულების 4.9. პუნქტით ასევე განისაზღვრა, რომ მეიჯარის მიერ კონკურსში ან აუქციონში მონაწილეობისათვის გადახდილი „ბე“ ჩაითვლებოდა იჯარის ვადის დასასრულს გადასახდელი იჯარის ქირაში.

2014 წლის 28 აპრილის საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედ-ვით, ქ.ფოთში, ... მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულე-ბის მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი ...) მოიჯარე არის მ. ა-ა.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 17 ივნისის წერილის შესაბამისად, მ. ა-ას დაევალა წარმოედგინა იჯარის ხელშეკრულებაზე თანდართული მიწის ნაკვეთის ნახაზი, საიჯარო ქონების აღწერის ოქმი, ხელშეკრულებით გათვალისწი-ნებული წლიური საიჯარო ქირის გადახდის დამადასტურებელი დო-კუმენტების ასლები და იჯარით გადაცემული რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი ...) დაუზუსტებელი საკადას-ტრო მონაცემის დაუზუსტების მიზნით, საკადასტრო აზომვითი ნა-ხაზის ელექტრონული ვერსია.

საფინანსო სამსახურის უფროსის 2014 წლის 18 ივნისის №29215 სამსახურებრივი ბარათით სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომ-სახურების ცენტრის უფროსს ეცნობა, რომ მოიჯარე მ. ა-ას მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად, 15.11.2006 წლიდან დღემდე სახაზინო კოდებზე №..., №..., №... და №... გადახდილი თანხები არ იძებნება.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ 2014 წლის 18 ივლისის განცხადების მიხედვით, მ. ა-ამ ითხოვა წლიური შესატანი თანხის განახევრება და დარჩენილი საიჯარო დავალია-ნების გაუქმება.

სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის უფროსის 2014 წლის 13 აგვისტოს სამსახურებრივი ბარათით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამართლებრივი უზ-რუნველყოფის სამსახურს ეცნობა, რომ მ. ა-ას მიერ 2013 წლის 15 ნოემბრის მდგომარეობით გადასახდელი საიჯარო ქირა სულ შე-ადგენს 7700 ლარს. ასევე, ეცნობა, რომ ხელშეკრულების 6.3 მუხ-ლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მოიჯარეს ევალებოდა იჯარით გა-დაცემული 50 კვ.მ მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებული 100 კვ.მ მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობა, რაც მოიჯარის მიერ არ შესრუ-ლებულა.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 29 სექტემბრის №1/1-2173 ბრძანებით, ფიზიკურ პირ მ. ა-ასა და

ქ.ფოთის მერიას შორის გაფორმებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარის შესახებ ხელშეკრულება შეწყდა.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ 2014 წლის 28 ოქტომბრის განცხადების შესაბამისად, მ. ა-ამ ითხოვა დავალიანების – 8659,43 ლარის ორ ნელზე განწილვა.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 19 ნოემბრის წერილით მ. ა-ას ეცნობა, რომ დაკმაყოფილდა მისი 2014 წლის 28 ოქტომბრის განცხადება და დავალიანების დაფარვა უნდა განხორციელდეს 2014 წლის 1 დეკემბრიდან ეტაპობრივად ორი წლის განმავლობაში.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც. ამავე კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მიხედვით, ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას. ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. ამავე კოდექსის 327-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. სასამართლოს განმარტებით, ვალდებულების შესრულების თაობაზე დაცვისას, მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვალეს, მან უნდა დაამტკიცოს, რომ ვალი გადაიხადა და ამით ვალდებულება შეწყდა. აგრეთვე სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლზე, ხანდაზმულობაზე. „ხანდაზმულობა“ სამოქალაქო სამართალში ნიშნავს, იმას რომ რომელიმე ურთიერთობა, მდგომარეობა, მოვლენა მოხდა იმდენად დიდი ხნის წინ, რომ ხანგრძლივი დროის გავლა განსაზღვრული სახის გავლენას ახდენს პირთა უფლებებსა და ვალდებულებებზე. ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაში პირს,

რომლის უფლებაც დაირღვა, შეუძლია, მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა. ხანდაზმულობის ვადის გასვლა სპობს უფლების იძულებითი განხორციელების შესაძლებლობას. ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი ეფარდება იმ დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება. მოთხოვნის უფლება წარმოიშვა იმ დღიდან, როცა პირმა გაიგო ან უნდა გაეგო თავისი უფლების დარღვევის შესახებ, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როცა საქმის გარემოებების მიხედვით უნდა შეეცყო უფლების დარღვევის შესახებ. ზოგიერთ შემთხვევაში ითვლება, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილისათვის ცნობილია მოთხოვნის უფლების წარმოშობის დრო და ამ დროიდან დაიწყება ხანდაზმულობის ვადის დენა.

სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხეზე დავალიანების – 8659,43 ლარის დაკისრების შესახებ ხანდაზმულია, რადგან არ არსებობს არანაირი მტკიცებულება ამ მოთხოვნის გაქარწყლების თაობაზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ამავე კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნების – ექვს წელს. ამავე კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეცყო უფლების დარღვევის შესახებ.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა წარმოშობილია საიჯარო სახელშეკრულებო ურთიერთობიდან შესასრულებელი ვალდებულებიდან გამომდინარე, რის გამოც, ზემოაღნიშნული მუხლების შესაბამისად, ამ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა სამი წელია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებულები პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ სარჩელი ხანდაზმულად მიიჩნია.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2017 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მ. ა-ას სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისრა 5359.43 ლარი; ხოლო დანარჩენ ნაწილში სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა მიიჩნია, რომ ქ. ფოთის მთავრობის 2006 წლის 15 სექტემბრის №102 დადგენილებით მ. ა-ას, როგორც აუქციონში გამარჯვებულს, 20-წლიანი სარგებლობის უფლებით დაუდასტურდა ქ.ფოთში, ..., ... №1-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 50 კვ.მ მიწის (ს.ფ. ...) ნაკვეთი, რომლის წლიურმა საიჯარო ქირამ შეადგინა 1100 ლარი, მიმდებარედ არსებული 100 კვ.მ მიწის ფართის კეთილმოწყობით.

2006 წლის 15 ნოემბრის №18 ხელშეკრულებით ქ.ფოთში, ..., ... №1-ში მდებარე, 50 კვ.მ მიწის ნაკვეთი იჯარის უფლებით 20 წლის ვადით გადაეცა მ. ა-ას (ს/კ. ...). ხელშეკრულების 4.4. მუხლის შესაბამისად, საიჯარო ქირა განისაზღვრა წელიწადში 1100 ლარის ოდენობით.

ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, რომელიც მომზადებულია 2014 წლის 28 აპრილს, ირკვევა, რომ ქ.ფოთში, ... არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (დაზუსტებული ფართობი) 50 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა სახელმწიფო.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 17 ივნისის წერილის თანახმად, მ. ა-ას დაევალა წარმოედგინა იჯარის ხელშეკრულებაზე თანდართული მიწის ნაკვეთის ნახაზი, საიჯარო ქონების აღწერის ოქმი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული წლიური საიჯარო ქირის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები და იჯარით გადაცემული რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი ...) დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემის დაზუსტების მიზნით საკადასტრო აზომვითი ნახაზის ელექტრონული ვერსია.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საფინანსო სამსახურის უფროსის 2014 წლის 18 ივნისის №29215 სამსახურებრივი ბარათით ირკვევა, რომ მოიჯარე მ. ა-ას მიერ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად, 15.11.2006 წლიდან დღემდე სახაზინო კოდებზე №..., №..., №... და №... გადახდილი თან-

ხები არ იძებნება.

მ. ა-ამ 2014 წლის 18 ივლისის განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს და ითხოვა წლიური შესატანი თანხის განახევრება, კერძოდ, 550 ლარის დაკისრება და დანარჩენი საიჯარო დავალიანების გაუქმება.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 13 აგვისტოს №40335 სამსახურებრივი ბარათით ირკვევა, რომ მოიჯარე მ. ა-ას მიერ 2013 წლის 15 ნოემბრის მდგომარეობით გადასახდელმა საიჯარო ქირამ შეადგინა 7700 ლარი. საფინანსო სამმართველოს 2014 წლის 18 ივნისის №29215 სამსახურებრივი ბარათით ირკვევა, რომ მოიჯარის მიერ საიჯარო ქირა არ არის გადახდილი, ამასთან, ხელშეკრულების 6.3. მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მოიჯარეს ევალება იჯარით გადაცემული 50 კვ.მ მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებული 100 კვ.მ მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობა, რაც მოიჯარის მიერ არ შესრულებულა, ასევე იჯარით გადაცემული მიწის ნაკვეთზე გაცემული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე (პროექტი შეთანხმებულია ადგილობრივ თვითმმართველობასთან) მოიჯარის მიერ აშენებულ იქნა სავაჭრო ობიექტი, რაც დღემდე ფუნქციონირებს.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 29 სექტემბრის №1/1-2173 ბრძანებით შეწყდა 2006 წლის 15 ნოემბრის საიჯარო ხელშეკრულება და განისაზღვრა ქირის დავალიანების ამოღების ღონისძიებები.

2014 წლის 28 ოქტომბერს მ. ა-ამ №5453/05 წერილით მიმართა სააგენტოს საიჯარო ქირის დავალიანების 2 წელზე გადანაწილების მოთხოვნით.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ 2014 წლის 19 ნოემბრის წერილით მ. ა-ას აცნობა, რომ დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა და საიჯარო ქირის დავალიანება უნდა დაეფარა 2014 წლის 1 დეკემბრიდან ეტაპობრივად 2 წლის განმავლობაში – ყოველი თვის 15 რიცხვამდე 360.81 ლარის ოდენობით.

2016 წლის 27 მაისის მდგომარეობით მ. ა-ას შეთანხმებით გათვალისწინებული თანხები არ გადაუხდია.

სააპელაციო პალატის განმარტებით, აღნიშნულთან დაკავშირებით საყურადღებოა „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ საქართველოს კანონი (ძალადაკარგულია საქართველოს 06/22/2007 წლის №5049 კანონით), რაც საფუძველად დაედო 2000 წლის 10 აგვისტოს ხელშეკრულებას. მითითებული ნორმატიული აქტის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეს კანონი ანესრიგებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-

სამეურნეო დანიშნულების მიწის (შემდგომში – სახელმწიფო მიწის) მართვისა და განკარგვის საკითხებს და განსაზღვრავს იმ სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციას, რომლებიც სახელმწიფო მიწით განკარგვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში წარმოადგენენ სახელმწიფოს. ამავე კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით კი, განკარგვა გულისხმობს ამ კანონის შესაბამისად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაცემას. ასეთი უძრავი ნივთის განკარგვისათვის უფლებამოსილი ორგანოს შესახებ მითითებულია კანონის მე-3 მუხლში, რომლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ კანონით რაიონის, ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, აღმასრულებელი ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება სახელმწიფოს სახელით იჯარის, აღნაგობის, ქირავნობის, უზუფრუქტისა და ნასყიდობის ხელშეკრულებების გაფორმება.

ზემოაღნიშნულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელესა (სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, როგორც ფოთის მერიის უფლებამონაცვლე) და მოპასუხეს შორის 2006 წლის 15 ნოემბერს, ამავე პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გაფორმდა ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რადგან იგი ემსახურებოდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანს – სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კონკრეტული სუბიექტისათვის სარგებლობაში გადაცემას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 6⁵-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. ამავე კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის

ხელშეკრულება. 327-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება დადებულიად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით, ხოლო 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე სადავოდ ხდის მოპასუხის მხრიდან მასთან დადებული ხელშეკრულების შეუსრულებლობის ფაქტს. უდავოდ დადგენილია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ქ. ფოთის მერიასა და მ. ა-ას შორის 2006 წლის 15 ნოემბერს გაფორმდა №18 ხელშეკრულება, რომლითაც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქ. ფოთში, ..., ... №1-ში მდებარე 50 კვ.მ მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით №..., იჯარით – 20 წლის ვადით გადაეცა მოპასუხეს. ხელშეკრულება ხელმოწერილია მხარეთა მიერ და რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. აღნიშნული ხელშეკრულების 4.4. მუხლის თანახმად, მიწის წლიურმა ნორმატიულმა საიჯარო ქირამ შეადგინა 1100 ლარი.

ხელშეკრულების შეწყვეტამდე სააგენტოს წერილობითი გაფრთხილებისა და ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ დავალიანების აღიარებისა და თანხის განაწილვადების მიუხედავად, მოპასუხეს დათქმული საიჯარო ქირა არ გადაუხდია. შესაბამისად, მ. ა-ას მიერ გადასახდელმა თანხამ, 2014 წლის 29 სექტემბრის (ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღი) მდგომარეობით, შეადგინა 8 659,43 ლარი (7 წელი – 7700 ლარი, 10 თვე – 916,66 ლარი და 14 დღე – 42,77 ლარი).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ამავე კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს. ამავე კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

კონკრეტულ შემთხვევაში, საიჯარო ხელშეკრულება დადებულია 2006 წლის 15 ნოემბერს – 20 წლის ვადით. ხელშეკრულება შეწყდა 2014 წლის 29 სექტემბერს. მოსარჩელემ საიჯარო ქირის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელი შეიტანა 2016 წლის 8 აგვის-

ტოს. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სსკ-ის 129-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის გათვალისწინებით ანაზღაურებას ექვემდებარება 5 359,43 ლარი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თვითმმართველი ქ. ფოთის მერიასა (უფლებამონაცვლე – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) და მ. ა-ას შორის 2006 წლის 15 ნოემბერს გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, რომლის 4.4 მუხლის თანახმად, მოიჯარემ იკისრა ყოველწლიურად გადაეხადა მიწის იჯარის ქირა – 1100 ლარის ოდენობით. თუმცა ხელშეკრულების შეწყვეტამდე სააგენტოს წერილობითი გაფრთხილებისა და ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ დავალიანების აღიარებისა და თანხის განაწილვადების მიუხედავად, მოზასუხეს დათქმული საიჯარო ქირის გადახდა დღემდე არ განუხორციელებია. შესაბამისად, მ. ა-ას მიერ გადასახდელმა თანხამ, 2014 წლის 29 სექტემბრის (ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღი) მდგომარეობით, შეადგინა 8659,43 ლარი.

კასატორის მოსაზრებით, ხანდაზმულობის საკითხთან მიმართებით, უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ მ. ა-ამ 2014 წლის 28 ოქტომბრის წერილით, სრულად აღიარა მოსარჩელის მიმართ არსებული თავისი დავალიანება – 8659,43 ლარის ოდენობით და ითხოვა თანხის გადახდის განაწილვადება, რაც სააგენტოს მიერ დაკმაყოფილდა (სააგენტოს 2014 წლის 19 ნოემბრის №4/44468 წერილი). მ. ა-ას წერილი უდავოა, რომ წარმოადგენს მოვალის მიერ ვალის აღიარების დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებას, რის გამოც – 8659,43 ლარის გადახდის 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლა თავიდან დაიწყო 2014 წლის 28 ოქტომბერს, ხოლო სარჩელი სასამართლოში შეტანილ იქნა ამ ვალის გასვლამდე 2016 წლის 8 აგვისტოს.

კასატორის მითითებით, სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით გარანტიის გაცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. ამავე კოდექსის 141-ე მუხლის მიხედვით კი, თუ შეწყდე-

ბა ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა დაიწყება თავიდან.

სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის არსებობის აღიარება), აუცილებელია წერილობითი აღიარება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ვალის არსებობა აღიარებულია ანგარიშსწორების (გადახდის) საფუძველზე ან მორიგების გზით, მაშინ ფორმის დაცვა არ არის აუცილებელი. კასატორის განმარტებით, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საპასუხო წერილით, რომლითაც მ. ა-ას თხოვნა დაკმაყოფილდა და განესაზღვრა ახალი ვადა და გრაფიკი ვალდებულების შესასრულებლად, ფაქტობრივად წარმოადგენს მხარეთა შორის მორიგებას, ახალი ვალდებულების წარმოშობას და შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის ახლიდან ათვლის საფუძველს.

ვალის არსებობის აღიარებით ხდება ახალი ხელშეკრულების დადება, რაც იმას ნიშნავს, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულებით დგინდება ახალი დამოუკიდებელი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, წარმოიშობა ახალი მოთხოვნა, მიუხედავად ძველი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობისა და ნამდვილობისა.

კასატორი აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში მიუთითებს ასევე საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკაზე (სუსგ №ას-839-890-2011. 08.11.2011წ; სუსგ №ას-226-213-2015. 18.05.2015წ.) და განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სადავო საკითხზე მიიღო უზენაესი სასამართლოს პრაქტიკისგან განსხვავებული გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 7 დეკემბრის განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასა-

ციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და ამ ნაწილში საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი სრულად უნდა დაკმაყოფილდეს.

წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელემ მოპასუხისათვის თვითმმართველ ქ. ფოთის მერიას (უფლებამონაცვლე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) და მ. ა-ს შორის 2006 წლის 15 ნოემბერს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის – 8659,43 ლარის გადახდის დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელე დავისადმი კანონიერ ინტერესს ასაბუთებდა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მოპასუხე – მ. ა-ს არ გადაიხადა საიჯარო ქირა, რის გამოც მეიჯარემ – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ (ქ.ფოთის მერიის უფლებამონაცვლე) ცალმხრივად შეწყვიტა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მ. ა-ს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისრა 5359.43 ლარი; ხოლო დანარჩენ ნაწილში სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება სარჩელის დაუკმაყოფილებლობის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმა-

ყოფილება მოითხოვა, ხოლო აღნიშნული გადაწყვეტილება მ. ა-ასათვის სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარგებლოდ 5359.43 ლარის დაკისრების ნაწილში მ. ა-ას არ გაუსაჩივრებია. ამდენად, გადაწყვეტილება ამ ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში და მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს მხოლოდ მ. ა-ასათვის (8659,43-5359,43) 3300 ლარის გადახდის დაკისრება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელეს სარჩელის სრულად დაკმაყოფილებაზე ხანდაზმულობის მოტივით უთხრა უარი.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტული დავის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია სახელშეკრულებო ურთიერთობებისას ხანდაზმულობასთან დაკავშირებული საკითხების განმარტება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: თვითმმართველ ქ. ფოთის მერსა და მ. ა-ას შორის 2006 წლის 15 ნოემბერს დადებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარის შესახებ №18 ხელშეკრულების თანახმად, მ. ა-ას 20-წლიანი სარგებლობის უფლებით გადაეცა ქ.ფოთში, ..., №1-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 50 კვ.მ მიწის (კოდი ...) ნაკვეთი. ხელშეკრულების 4.9. პუნქტით განისაზღვრა, რომ მეიჯარის მიერ კონკურსში ან აუქციონში მონაწილეობისათვის გადახდილი „ბე“ ჩაითვლებოდა იჯარის ვადის დასასრულს გადასახდელი იჯარის ქირაში.

2014 წლის 28 აპრილის საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, ქ.ფოთში, ... მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი ...) მოიჯარეა მ. ა-ა.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 17 ივნისის წერილის შესაბამისად, მ. ა-ას დაევალა წარედგინა იჯარის ხელშეკრულებაზე თანდართული მიწის ნაკვეთის ნახაზი, საიჯარო ქონების აღწერის ოქმი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული წლიური საიჯარო ქირის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები და იჯარით გადაცემული რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი ...) დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემის დაზუსტების მიზნით საკადასტრო აზომვითი ნახაზის ელექტრონული ვერსია.

საფინანსო სამსახურის უფროსის 2014 წლის 18 ივნისის №29215 სამსახურებრივი ბარათით სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მმსახურების ცენტრის უფროსს ეცნობა, რომ მოიჯარე მ. ა-ას მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების მიწის იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად, 15.11.2006 წლიდან დღემდე სახაზინო კოდეზზე №..., №..., №... და №... გადახდილი თანხები არ იძებნება.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ 2014 წლის 18 ივლისის განცხადების მიხედვით, მ. ა-ამ ითხოვა წლიური შესატანი თანხის განახევრება და დარჩენილი საიჯარო დავალიანების გაუქმება.

სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის უფროსის, გ. კ-ს 2014 წლის 13 აგვისტოს სამსახურებრივი ბარათით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს ეცნობა, რომ მ. ა-ას მიერ 2013 წლის 15 ნოემბრის მდგომარეობით გადასახდელი საიჯარო ქირა სულ შეადგენდა 7700 ლარს. ასევე, ეცნობა, რომ ხელშეკრულების 6.3 მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, მოიჯარეს ვეალებოდა იჯარით გადაცემული 50 კვ.მ მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებული 100 კვ.მ მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობა, რაც მოიჯარის მიერ არ შესრულებულა.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 29 სექტემბრის №1/1-2173 ბრძანებით, ფიზიკურ პირ მ. ა-ასა და ქ.ფოთის მერიას შორის გაფორმებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარის შესახებ ხელშეკრულება შეწყდა.

2014 წლის 28 ოქტომბერს მ. ა-ამ №5453/05 წერილით მიმართა სააგენტოს საიჯარო ქირის დავალიანების 2 წელზე გადანაწილების მოთხოვნით.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 19 ნოემბრის წერილით მ. ა-ას ეცნობა, რომ დაკმაყოფილდა მისი 2014 წლის 28 ოქტომბრის განცხადება და დავალიანების დაფარვა უნდა განხორციელებულიყო 2014 წლის 1 დეკემბრიდან ეტაპობრივად 2 წლის განმავლობაში.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, თვითმმართველ ქ. ფოთის მერიასა და მ. ა-ას შორის 2006 წლის 15 ნოემბერს დადებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარის შესახებ №18 ხელშეკრულება წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, იგი ემსახურებოდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანს. თვითმმართველმა ერთეულმა და ფიზიკურმა პირმა გამოხატეს ორმხრივი ნება, რითაც აღიარეს შესაბამისი ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

ვალდებულების ჯეროვანი შესრულება გულისხმობს სათანადო მოვალის მიერ, სათანადო ვალდებულების, სათანადო კრედიტორის წინაშე შესრულებას სათანადო დროსა და ადგილას. კრედიტორისთვის მნიშვნელოვანია ვალდებულების შესრულების შედეგის დადგომა, რომელიც შესრულების ქმედებით მიიღწევა და ამკარაა, რომ შესრულების შედეგი ნაკისრ ვალდებულებას შეესაბამება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით, იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის არსებობის აღიარება), აუცილებელია წერილობითი აღიარება, ხოლო მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ვალის არსებობა აღიარებულია ანგარიშსწორების (გადახდის) საფუძველზე ან მორიგების გზით, მაშინ ფორმის დაცვა არ არის აუცილებელი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმის საფუძველზე ვალდებულების არსებობის აღიარების უფლება აქვს მხოლოდ იმ მოვალეს, რომელსაც კანონისმიერი თუ სახელშეკრულებო ვალდებულების ძალით, ეკისრება შესრულების მოვალეობა, ანუ ვალის არსებობის აღიარების უფლება აქვს მხოლოდ შესაბამის უფლებამოსილ პირს – მოვალეს, რომელსაც იმავდროულად შეუძლია იკისროს კიდევ ვალის გადახდის მოვალეობაც. ვალის არსებობის აღიარება, როგორც ვალდებულების არსებობის დამოუკიდებელი კომპონენტი ხელწერილის შინაარსიდან უნდა მომდინარეობდეს, კერძოდ, ხელწერილით პირი უნდა აღიარებდეს გარკვეულ ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას და კისრულობდეს მისი შესრულების ვალდებულებას. ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულების თავისებურება სწორედ

იმაში მდგომარეობს, რომ მასში ვალდებულების შესრულების მზაობა იკვეთება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართლის კოდექსით განსაზღვრულია სასარჩელო ხანდაზმულობის საერთო ვადები, სასარჩელო ხანდაზმულობაში იგულისხმება დრო, რომლის განმავლობაშიც პირს, ვისი უფლებაც დარღვეულია, შეუძლია, მოითხოვოს თავისი უფლებების იძულებით განხორციელება ან დაცვა. ხანდაზმულობა არის დარღვეული უფლების იძულებითი დაცვის ვადა და იგი უშუალოდ უკავშირდება სარჩელის უფლებას. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლა გავლენას ახდენს მოთხოვნის ანუ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველიანობაზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს. ამავე კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ხანდაზმულობის საერთო ვადა განისაზღვრება 10 წლით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნა ხანდაზმულია, მიუხედავად იმისა, პირმა იცოდა თუ არა თავისი უფლების დარღვევის შესახებ. ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა ასრულებს სადავო სამართლებრივ ურთიერთობას და გამოორიცხავს სადავო სამართლებრივთობიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნის დაკმაყოფილება გამოიწვევს სხვათა უფლების შელახვას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის (ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა) შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. ამავე კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შეასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება, მოითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლით რეგლამენტირებული ვალდებული პირის მიერ უფლებამოსილი პირის წინაშე მოთხოვნის არსებობის აღიარება, რაც ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველია, სახეზეა აღნიშნული კოდექსის 144-ე მუხლის (ვალდებული პირის უფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლისას) მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულების შემთხვე-

ვაში. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულ მოვალეობის შესრულებას უთანაბრდება მოვალის დაპირება – ვალდებული პირის მიერ უფლებამოსილი პირის წინაშე ვალის არსებობის აღიარება ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, ანუ თუ ვალდებულმა პირმა კონკრეტული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ აღიარა ხსენებული მოთხოვნის არსებობა და დაპირდა გადახდას, ხანდაზმულობის ვადის გასვლის ფაქტს, სამართლებრივად აღარ აქვს არავითარი მნიშვნელობა მხარის შესაბამისი მატერიალური უფლების სასამართლო წესით რეალიზაციისათვის.

კონკრეტულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მასალების შესაბამისად დასტურდება, რომ 2014 წლის 28 ოქტომბრის №5453/05 წერილით მ. ა-ამ მიმართა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რომლის შესაბამისად, ვინაიდან ვერ შეძლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება, ითხოვა საიჯარო ქირის დავალიანების – 8659,43 ლარის 2 წელზე გადანაწილება. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ 2014 წლის 19 ნოემბრის წერილით მ. ა-ას აცნობა, რომ დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა და საიჯარო ქირის დავალიანება უნდა დაეფარა 2014 წლის 1 დეკემბრიდან ეტაპობრივად 2 წლის განმავლობაში – ყოველი თვის 15 რიცხვამდე 360.81 ლარის ოდენობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მ. ა-ას მხრიდან ადგილი ჰქონდა ვალის აღიარებას და დაპირებას, რომ იგი დავალიანებას გადაიხდიდა 2 წლის განმავლობაში, რაც სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის განმარტებებს ვალის აღიარებისა და ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის შესახებ და მიიჩნევს, რომ არამართებულია სააპელაციო სასამართლოს დასაბუთება სარჩელის ნაწილობრივ ხანდაზმულად მიჩნევის თაობაზე.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლება-მოვალეობები. კეთილსინდისიერად ქცევის ვალდებულება ემყარება სამართალში საზოგადოდ მოქმედ კეთილსინდისიერების ვარაუდს. ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის საფუძველად მიიჩნევა არა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების დაპირისპირება, არამედ მათი სოლიდარობა ერთმანეთის მიმართ. ამასთან, კეთილსინდისიერების პრინციპი არის როგორც ნორმატიული, ასევე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენ-

ტი, რაც თავის მხრივ, გულისხმობს იმასაც, რომ მართალია, კონტრაქტის ქცევა უნდა შეესაბამებოდეს ფორმალურად მოქმედ მატერიალურ სამართალს, მაგრამ მისი განხორციელება კონკრეტულ შემთხვევებში არ უნდა იყოს უსამართლო ან/და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მეორე მხარის საფუძვლიან ნდობას. კეთილსინდისიერების პრინციპი ძირითადად გულისხმობს იმას, რომ კონტრაქტმა მხედველობაში მიიღოს მეორე მხარის ინტერესები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებულ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, რის გამოც სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებულ ნაწილში უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი სრულად უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი დაკმაყოფილდეს სრულად;
4. მ. ა-ას სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისროს საიჯარო ქირის – 3300 (8659,43-5359,43) ლარის გადახდა;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ზიანის ანაზღაურების საფუძვლები
დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების
მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობა

განჩინება
საქართველოს სახელმწიფო

№ბს-180-178(კ-17)

16 მაისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატამ
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. მ-ემ 2013 წლის 20 დეკემბერს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ. მოსარჩელემ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის ზ. მ-ის სასარგებლოდ ზიანის სახით 92 329 ლარის, ასევე პროცესის ხარჯებისა და შიდა აუდიტისთვის გადახდილი 150 ლარის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით ზ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს დაეკისრა ზ. მ-ის სასარგებლოდ 92 329 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 17 ნოემბრის განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 17 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტი-

ლების მიღება მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს, რომ, როგორც საქმის მასალებით დასტურდება, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით ზ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ქ. თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2003 წლის 22 ოქტომბრის განკარგულება №01.32-135ა და გაუქმდა ამ განკარგულებით დამტკიცებული განმეორებითი იძულებითი აუქციონის შედეგები. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 მაისის განჩინებით. ანუ მოსარჩელე მხარისათვის 2008 წლის 15 მაისიდან ცნობილი გახდა, ზიანის მოთხოვნის წარმოშობის შესახებ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ზ. მ-ის და მ. ლ-ის სარჩელი ა. ფ-სა და ნ. ქ-ას შორის დადებული ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე. მითითებული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2011 წლის 18 აპრილის განჩინებით.

კასატორი მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა წარმოადგენს დელიქტიდან წარმოშობილ ვალდებულებას, თანახმად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლისა, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული საფუძვლებისა. მოცემულ შემთხვევაში, გამოყენებულ უნდა იქნეს დელიქტის მომწესრიგებელი ნორმები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი ადგენს ხანდაზმულობის საერთო ვადებს, კერძოდ, დასახელებული მუხლის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენდა სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს. ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებული ყოფილიყო ხანდაზმულობის სხვა ვადებიც. განსახილველ შემთხვევაში კი ვინაიდან სახეზე იყო დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე ურთიერთობები, სააპელაციო სასამართლომ, ხანდაზმულობის საკითხთან მიმართებაში მიუთითა 1008-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა შეადგენდა სამ წელს იმ მომენტი-

დან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლი კონკრეტულად განსაზღვრავს იმ მომენტს, თუ საიდან უნდა ათვლილიყო ხანდაზმულობის ვადის დენის სამწლიანი ვადა, როდესაც პირი დელიქტით გამონვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით აღძრავდა სარჩელს. კერძოდ, აღნიშნულის ათვლის საწყის ეტაპს წარმოადგენდა ის მომენტი, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის შესახებ და/ან როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

კასატორი განმარტავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 15 მაისის განჩინებით ძალაში შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება ანუ მოსარჩელისათვის 2008 წლის 15 მაისიდან დაიწყო ხანდაზმულობის ვადის დენა. შესაბამისად, მოსარჩელისთვის 2008 წლის 15 მაისიდან ცნობილი გახდა სააღსრულებო ბიუროს მართლსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ. ის გარემოება, რომ მხარემ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით, ვერ გამოიწვევს ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლით დადგენილია ხანდაზმულობის ვადის დინების შეწყვეტის საფუძვლები. კერძოდ, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს, მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით. კანონის დანაწესი ვრცელდება კონკრეტულ მოთხოვნაზე. მოცემულ შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების დაკმაყოფილების მოთხოვნაზე და არა ზოგადად პირის უფლებაზე სხვა მოთხოვნის ფარგლებში აღიდგინოს თავისი უფლებები. თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ გაცემული განკარგულების №01.32-135ა ბათილად ცნობა უპირობოდ წარმოშობს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის გარეშე, რაც მხარეს არ გაუკეთებია. თბილისის სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 9 ივლისის განჩინებაში გამოთქმული მოსაზრება ხანდაზმულობის საკითხთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ სარჩელი არ არის ხანდაზმული. სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია ფაქტობრივი გარემოებები, არამედ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დავა ფორმალური და მატერიალური მართლზომიერების თვალსაზრისით დაუსაბუთებელი იყო, დასადგენი იყო დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები, რის საფუძველზეც უნდა მომდარიყო სწორი სამართლებრივი დასაბუთება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა

პირველი ინსტანციის სასამართლოს.

კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა და მიეთითებინა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 9 ივლისის განჩინება, რადგან საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ განჩინება არის შუალედური პროცესუალური აქტი, რომელსაც არანაირი სამართლებრივი შედეგი არ მოსდევს და მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ან სამართლებრივი დასკვნები დადგენილად/დადასტურებულად ვერ ჩაითვლება. ამდენად, მოხდა რა საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება, ამ შუალედური განჩინების კასაციის წესით გასაჩივრების სამართლებრივი და არსებითი არსი/დანიშნულება არ არსებობდა, რადგან დავის არსებითად გადაწყვეტა იყო მნიშვნელოვანი.

ამრიგად, კასატორის მოსაზრებით, არასწორია სასამართლოს მიდგომა/მსჯელობა შუალედურ განჩინებაში მითითებული გარემოებების დადგენილად მიჩნევის შესახებ. აღნიშნულის განმარტების საშუალებას არც განჩინება იძლეოდა და მეორეც, თუ დადგენილი იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, აპელაციას უკან დაბრუნების საფუძველიც არ ექნებოდა, მიიღო რა უკან დაბრუნების გადაწყვეტილება, სწორედ ამ მოქმედებით გაყვავა ხაზი იმას, რომ საქმის გარემოებები იყო დასადგენი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკითაც კი ასეა დადგენილი, რომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და ან/და პრაქტიკად უთითებენ მხოლოდ საბოლოო გადაწყვეტილებაში არსებულ მსჯელობებს, ხოლო მხოლოდ სამართლებრივი დასაბუთების არსებობისას, დადგენილ პრაქტიკად შესაძლებელია დადგინდეს აპელაციის არსებითი გადაწყვეტილების (პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინების ან პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გაუქმების შედეგად ახალი გადაწყვეტილების) ძალაში დატოვების განჩინებაში არსებული მსჯელობებით. ამდენად, ყოველგვარ პროცესუალურ ლოგიკასაა მოკლებული იმის ვარაუდი, რომ საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ განჩინებით რაიმე დადგენილად ჩაითვალა და მისი არგასაჩივრებით, მხარემ პრაქტიკულად ცნო სადავო ფაქტობრივი გარემოებები, სწორედ იმიტომ ეწოდება „საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება“, რომ საქმის არსებითი განხილვა და რაიმეს დადგენა/დადასტურება საერთოდ არ ხდება და ზოგადი ვარაუდების/თეორიული დაშვებების დონეზე ხორციელდება ზოგადი მონახაზის სახით მიმართულებების მიცემა სააპელაციო სასამართლოს მიერ, რასაც აბსოლუტურად სხვა დანიშნულება აქვს და არანაირად არ მიიჩნევა რაიმეს დადგენის საშუა-

ლებად. ამის გაუგებარი სახით დადგენის მცდელობა აქვს პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოს და ცდილობს მხარის სანინალმდევოდ განმარტოს პროცესუალური ნორმები ისე და მას დაავალდებულოს იმგვარი მოქმედების განხორციელება, რაც არ გამომდინარეობს არც კანონის მოთხოვნებიდან. სასამართლოს პირადი მიხედულობით, მხარისათვის დავის საშუალების მოსპობა კი არსებითი პროცესუალური დარღვევაა და სასამართლოს მხრიდან ადეკვატური რეაქცია უნდა მიეცეს.

ამდენად, მოცემული გადაწყვეტილების არსებითად განსახილველად დაშვება საინტერესოა სწორი პრაქტიკის დასადგენად, როგორც პროცესუალური ისე არსებითი/მატერიალური ნორმების განმარტების კუთხითაც, რაშიც, კასატორი ფიქრობს, რომ საკასაციო სასამართლოს არსებითი ჩართულობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 2 მარტის განჩინებით სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დასაშვებობის ამომწურავ საფუძვლებს, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავ-

დება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით და ამასთან, არ არსებობს საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების ვარაუდი. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ამასთან, საქმის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით. კასატორი საკასაციო საჩივარში ვერ აქარწყლებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და დასკვნებს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. *ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ*, №7932/03; *Van de Hurk v. Netherlands*, par.61, *Garcia Ruiz v. Spain [GC]* par.26; *Jahnke and Lenoble v France (dec.)*; *Perez v France [GC]*, par. 81).

საკასაციო სასამართლო იზიარებს მოცემულ საქმეზე ქვედა ინ-

სტანციის სასამართლოების მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ამ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეთებულ სამართლებრივ შეფასებებს და მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არსებითად სწორად გადანყვიტეს მოცემული დავა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 ივნისის გადანყვიტელებით ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ქ. თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2003 წლის 22 ოქტომბრის განკარგულება 01/32-135 და გაუქმდა ამ განკარგულებით დამტკიცებული განმეორებითი აუქციონის შედეგები. აღნიშნული გადანყვიტელება ძალაში შევიდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 15 მაისის განჩინებით. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 აპრილის გადანყვიტელებით არ დაკმაყოფილდა ზ. მ-ისა და მ. ლ-ის სარჩელი ა. ფ-სა და ნ. ქ-ას შორის დადებული ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე. მითითებული გადანყვიტელება ძალაში შევიდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის განჩინებით.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სწორედ 2011 წლის 18 აპრილი წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების დროს, როდესაც ზ. მ-ემ შეიტყო სამოქალაქო კოდექსის 409-ე მუხლით გათვალისწინებული პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობის, ზიანისა და ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. საგულისხმოა, რომ კასატორიც ადასტურებს, რომ სააღსრულებო ბიუროს მიერ გაცემული განკარგულების №... ბათილად ცნობა უპირობოდ წარმოშობს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

ამასთან, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 2 ივნისის გადანყვიტელებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ ზ. მ-ეს ა. ფ-ის მიმართ გააჩნდა ფინანსური ვალდებულება – 9487 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში, რომელი ვალდებულების დასაფარადაც გამოიცა ბათილად ცნობილი ქ. თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2003 წლის 22 ოქტომბრის №... განკარგულება. აღნიშნულის თანახმად, იმისთვის, რომ ადგილი არ ჰქონდეს სამოქალაქო კოდექსის 385-ე მუხლით გათვალისწინებული პირის უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტს, რეალური ზიანის ოდენობა განსაზღვრული უნდა ყოფილიყო 2013 წლის 9 ნოემბრის ქონების შეფასების შესახებ აუდიტორული დასკვნით გათვალისწინებულ 92,329 ლარს გამოკლებული 2003 წლის 1 აგვისტოს სააღსრულებო ფურცლით ზ. მ-ის მიერ ა. ფ-ისათვის გადასახდელი თან-

ხა – 9487 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში. თუმცა, საკასაციო პალატა ითვალისწინებს 2003 წელსა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე ზ. მ-ის სარჩელის განხილვის დროს ეროვნულ ვალუტასა და აშშ დოლარს შორის კურსთაშორის სხვაობას და მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ზიანის – 92,329 ლარის ანაზღაურებით ადგილი არ ექნება უსაფუძვლო გამდიდრებას.

კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ მითითებული გარემოებები არ ქმნის საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის საფუძველს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ხოლო საკასაციო საჩივარს – წარმატების პერსპექტივა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგლამენტირებული არც ერთი საფუძველი, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 17 ნოემბრის განჩინება;

3. კასატორს – სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს დაუბრუნდეს 10.03.2017წ. №... საგადახდო მოთხოვნით მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 300 ლარის, 70% – 210 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი №300773150;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობა

ბანჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-34-34(კ-18)

19 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატამ

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 31 მაისს ვ. ე-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2004 წლის 21 აგვისტოს იგი მეგობრებთან ერთად გადაადგილდებოდა ავტომანქანით აჭარაში, ..., როდესაც მანქანა აფეთქდა ტანკსაწინააღმდეგო ნაღმზე. მიღებული დაზიანებების შედეგად მოსარჩელისთვის საჭირო გახდა ქვედა კიდურების ამპუტაცია. ამპუტირებულ იქნა მარჯვენა ფეხის მუხლს ზედა, ხოლო მარცხენა ფეხის მუხლს ქვედა სეგმენტი.

2005 წელს საქართველოს მთავრობის დაფინანსებით ქ. დუდერშტადში, კლინიკა „...“ დამზადდა მექანიკური პროთეზი. პროთეზის ექსპლუატაციის ვადა შეადგენდა 2 წელს. აღნიშნული ვადა ამოიწურა, ხოლო პროთეზის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი, რომელიც პაციენტისთვის ინდივიდუალურად მზადდება, ვარგისია მხოლოდ 6 თვე და ამ ვადის გასვლის შემდეგ არ შეუძლია მისი გამოყენება, რადგან ტრავმის შემდეგ მისი წონა და ფორმები შეცვლილია. ამდენად, კუთმომღების გარეშე წარმოუდგენელია პროთეზის გამოყენება. ეტლით სარგებლობა გამოორიცხავს მის გადაადგილებას გადაუდებელი საჭიროებების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად კი, როგორცაა სავაჭრო ობიექტებში, აფთიაქში ან ბანკში პენსიის გასანაღებლად მისვლა. 2005 წელს დამზადებული პროთეზი პრობლემურია, რადგან ყოველ 6 თვეში ერთხელ ესაჭიროება ახალი კულტიმომღები, რისი ფინანსური შესაძლებლობაც მოსარჩელეს არ აქვს. ამიტომ ოპტიმალურ გამოსავლად ჩაითვალა C-

LEG პროთეზის დამზადება, რომლის ვადაც 3-5 წლამდეა და ამ ვადის გასვლის შემდეგ მისი განახლება ნაკლებ ხარჯს უკავშირდება. ამასთან, აღნიშნული პროთეზი ხელჯოხის გამოყენების გარეშეც უზრუნველყოფს მის გადაადგილებას.

ამასთან, ცალსახაა, რომ ორმხრივი ამპუტაციის პირობებში წარმოიშობა მუდმივი მომვლელის საჭიროება. აღნიშნულის გამო მოსარჩელეს მეუღლე მუდმივად უვლის, შესაბამისად, შეზღუდულია ანაზღაურებადი შრომის უფლებაში. გარდა ამისა, აფეთქების შედეგად დაუზიანდა სმენა, რის გამოც წარმოეშვა დამატებითი მედიკამენტების შექმნის ხარჯები.

მოსარჩელის განმარტებით, აფეთქებამდე მუშაობდა ქ. მოსკოვში, სადაც მისი შრომის ანაზღაურება შეადგენდა 560 ევროს, 23 წლის ასაკში, ამპუტაციის შედეგად კი 100% დაკარგა შრომის უნარი და შშმპ სტატუსის გამო მიღებული 150 ლარით მოუწევს 4-სუფიანი ოჯახის რჩენა.

მოსარჩელის მოსაზრებით, სახელმწიფომ არ მიიღო ზომები მოქალაქეებისა და ამ შემთხვევაში მისი სიცოცხლის დასაცავად, არც ტრაგედიის შემდგომ ყოფილა ადეკვატური გამოძიება ჩატარებული, რაც აღიარებულია კიდევ სახელმწიფოს მიერ და ცალსახაა, რომ მოსარჩელის დასახიჩრება და აქედან წარმოშობილი ყველა ხარჯი გამონევეულია სახელმწიფოს ბრალეულობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-415-ე მუხლების საფუძველზე მოპასუხისათვის ვ. ე-ის სასარგებლოდ 64 494,05 ევროსა და 25 080,80 ევროს (ეროვნულ ვალუტაში ეკვივალენტის) ოდენობით პროთეზების დამზადების ღირებულების, თვეში 3000-3000 ლარის ოდენობით 2004 წლის 24 აგვისტოდან მიუღებელი შემოსავლისა და სარჩოს, 2004 წლის 24 აგვისტოდან თვეში 5 452,50 ლარის ოდენობით სამედიცინო მომვლელის ხარჯებისა და 500 000 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 1 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით ვ. ე-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურება 20 000 ლარის ოდენობით;

მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ პროთეზის ღირებულების – 64 494,05 ევროსა და 25 080,80 ევროს ეკვივალენტის ოდენობით ეროვნულ ვალუტაში ანაზღაურება; მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ სარჩოს ანაზღაურება 1903 ლარის ოდენობით ყოველთვიურად, 2004 წლის 24 აგვისტოს პერიოდიდან; მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ სამედიცინო მომვლელის ხარჯის ანაზღაურება 1642,5 ლარის ოდენობით ყოველთვიურად, 2004 წლის აგვისტოს პერიოდიდან; სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2004 წლის 21 აგვისტოს ვ. ე-ი, მეგობრებთან ერთად, გადაადგილდებოდა ავტომანქანით აჭარაში, ..., როდესაც მანქანა აფეთქდა ტანკსაწინა-აღმდეგო ნაღმზე. მიღებული დაზიანებების შედეგად საჭირო გახდა მოსარჩელის ქვედა კიდურების ამპუტაცია. ამპუტირებულ იქნა მარჯვენა ფეხის მუხლს ზედა, ხოლო მარცხენა ფეხის მუხლს ქვედა სეგმენტი.

ვ. ე-ის მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, განეულ იქნა შემდეგი ოდენობით: 1) 2004 წ. ... სამედიცინო ცენტრში – 1 186 ლარი; 2) 2005 წ. ... ცენტრში – 6 745,13 ლარი; 3) 2005 წ. ... საავადმყოფოში – 3000 ლარი; 4) 2005 წ. გერმანიაში – 22 427,07 ლარი; 5) 2005 წ. გერმანიაში – 32 978,2 ლარი; 6) 2006 წ. გერმანიაში – 7 000 ევრო; 7) 2007 წ. გერმანიაში – 2 793,14 ევრო. ამასთან, ვ. ე-ი მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსით სოციალური პაკეტის მიმღებად რეგისტრირებულია სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრში. მას სახელმწიფო გასაცემელი დანიშნული აქვს 2004 წლის 19 ნოემბრიდან და 2013 წლის 1 სექტემბრიდან ერიცხება შესაბამისი კატეგორიისათვის განსაზღვრული ფულადი გასაცემელი 150 ლარის ოდენობით.

2004 წლის 13 დეკემბრის №162073 ცნობით, ვ. ე-ს დაუდგინდა მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი.

2005 წლის 28 ივლისს ვ. ე-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ, 2004 წლის 21 აგვისტოს ინციდენტთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ სამინისტროს პასუხისმგებლობას წარმოადგენდა ... მდინარე ... გასწვრივ განალმვითი სამუშაოების დროულად და გულდასმით ჩატარება. ვინაიდან სამინისტრომ ვერ შეასრულა ვალდებულება, მათ უნდა აენაზღაურებინათ მომჩივ-

ნისთვის მატერიალური და მორალური ზიანი, დელიქტის შესაბამისი ნორმების საფუძველზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ვ. ე-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2008 წლის 14 მაისის განჩინებით ძალაში დატოვა 2006 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2009 წლის 18 თებერვლის განჩინებით უცვლელად დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 14 მაისის განჩინება.

2009 წლის 9 ივლისს ვ. ე-მა საჩივრით მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. საჩივარში მომჩივანი კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე მიუთითებდა, რომ მოპასუხე მთავრობამ დროულად და სათანადო გულმოდგინებით არ შეასრულა განაღმვითი სამუშაოები ... და ამ დაუდევრობის შედეგად მან სერიოზული, სიცოცხლისთვის საშიში დაზიანებები მიიღო და გახდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. კონვენციის 6.1 მუხლის შესაბამისად, მომჩივანი ასევე პრეტენზიას გამოთქვამდა სამოქალაქო სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. ბოლოს, კონვენციის მე-13 მუხლის და პირველი ოქმის 1-ლი მუხლის შესაბამისად, მომჩივანმა კიდევ ერთხელ გაიმეორა თავისი პრეტენზია შინაგან საქმეთა სამინისტროსგან ზიანის ანაზღაურების მიღების შეუძლებლობის შესახებ.

ვ. ე-ის საჩივართან დაკავშირებით, მთავრობამ წარადგინა ცალმხრივი დეკლარაცია, რომლითაც აღიარა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა იმის გამო, რომ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობამ – მიეღოთ ყველა საჭირო პრევენციული უსაფრთხოების ზომა 2004 წლის 21 აგვისტოს სიცოცხლისათვის საშიში ინციდენტის თავიდან ასაცილებლად – მომჩივნის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი გამოიწვია. კონვენციის დარღვევით გამოწვეული მდგომარეობის გამოსასწორებლად მთავრობამ მზადყოფნა გამოთქვა მომჩივნისთვის გადაეხადა 8 000 (რვა ათასი) ევრო. მთავრობამ აღნიშნა, რომ ეს თანხა განკუთვნილია ნებისმიერი მორალური ან მატერიალური ზიანის და ყველა ხარჯისა და დანახარჯის ასანაზღაურებლად. ამასთან, მოითხოვა საჩივრის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვა კონვენციის 37-ე მუხლის შესაბამისად.

მომჩივანი არ დაეთანხმა ცალმხრივ დეკლარაციას და მიუთითა, რომ მას არ აკმაყოფილებდა ცალმხრივი დეკლარაციის პირობები შეთავაზებული კომპენსაციის სიმცირის გამო. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 24 ნოემბრის განჩინებით, საჩივარზე №40085/09, სასამართლომ გაითვალისწინა რა

მთავრობის ცალმხრივ დეკლარაციაში არსებული აღიარებების ხასიათი, ასევე მომჩივნის შესაძლებლობა – მოითხოვოს შესაბამისი შიდა სამართალწარმოების განახლება და შეთავაზებული კომპენსაციის ოდენობა, მიიჩნია, რომ აღარ იყო გამართლებული საჩივრის შემდგომი განხილვის გაგრძელება. სამართალწარმოების ხანგრძლივობასა და შედეგთან დაკავშირებით საჩივარზე სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ ნაწილში იგი უსაფუძვლო იყო და არ დააკმაყოფილა.

შპს „თ...“ მიერ 2016 წლის 4 თებერვალს გაცემულ იქნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ №493 ცნობა მასზე, რომ ვ. ე. ს ამპუტირებული აქვს ორივე ქვედა კიდური, მარჯვნივ ბარძაყის ქვედა მესამედში, მარცხნივ წვივის ზედა მესამედში. აქვს ალერგიული კონიუნქტივიტი და ნევროზული მდგომარეობა. საჭიროებს მუდმივ მკურნალობას და ზედამხედველობას ტრავმატოლოგის, ნევროლოგისა და ოფთალმოლოგის. საჭიროებს ორივე ქვედა კიდურის პროთეზის შეცვლას.

ლიონის ნევროლოგიის, ნევროფსიქიატრიისა და სამედიცინო ექსპერტიზის კაბინეტის ექიმის – ა. შ-ოს მიერ 2013 წლის 6 ნოემბერს გაცემულ სამედიცინო ცნობაში აღინიშნა ვ. ე-ის ჩივილები: მარჯვენა მხარეს ყურში შუილები, რომლებსაც თან ახლდა ჰომოლატერალური სმენის სიმკვეთრის დაქვეითება; უძილობა; ფსიქოტრაავმული სინდრომი; ზედა კიდურების პერიფერიული სეგმენტის ტკივილები, განსაკუთრებით კიდურების ფანტომური ტკივილები, რომლებიც დაკითხვის კრიტერიუმებით შეესაბამებოდა ნევროპათიულ ტკივილებს. სამედიცინო დათვალიერების შედეგად ექიმმა დაადასტურა ჩივილები, რომლებიც ფსიქოტრაავმული სინდრომით იყო გამოწვეული, რაც განაპირობა 2004 წლის აგვისტოს მოვლენის რემინისცენციამ, რომლის მსხვერპლიც გახდა ის. კერძოდ: კომმარის, ძილის მნიშვნელოვნად დარღვევა, საერთო შფოთი, რომელსაც ემატებოდა გუნება-განწყობის დეპრესიული გაუარესება; პაციენტს კიდურების მძიმედ ასატანი ნეიროპათიული ტკივილები ურღვევდა ძილს; კლინიკური მდგომარეობა საჭიროებდა რეგულარულ სამედიცინო ზედამხედველობას, რომლის გარეშეც შეიძლება ადგილი ჰქონოდა განსაკუთრებული ხასიათის სერიოზულ შედეგებს, რასაც თან ერთვოდა პროთეზის არქონა, რის გამოც მას არ შეეძლო ყოფილიყო დამოუკიდებელი და არსებობდა თვითმკვლელობის განმაპირობებელი საფრთხე მტკივნეული პროცესების ფსიქოლოგიური ზემოქმედების გამო.

გერმანიის ორთოპედიული ტექნოლოგიის სახელოსნოს „T...-ის“ 2014 წლის 7 ივლისის წერილში აღინიშნა, რომ პროთეზები, რომელსაც ვ. ე-ი (მარჯვენა ბარძაყის ზედა ნაწილის პროთეზი + მარ-

ცხენა ბარძაყის ქვედა ნაწილის პროთეზი) გამოიყენებდა, გამოუსადეგარია ტაკვის მოცულობის შემცირების გამო და, შესაბამისად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ახლად მორგებული პროთეზის დიაფიზი. მარჯვენა ბარძაყის ზედა ნაწილში მუხლის სახსრის კომპონენტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ C-ფეხის-მუხლის სახსრის სისტემა ე-ს უფრო მეტ მხარდაჭერას მისცემდა მისი მიკროპროცესორის მიერ კონტროლირებული ჰიდრავლიკის გამო. მას მნიშვნელოვანი უპირატესობები ექნებოდა ალტერნატიული ასვლის-დახრის-ნაბიჯების გადადგომის დროს და უზრუნველყოფდა მეტ უსაფრთხოებას და დინამიურობას სიარულის სხვადასხვა სიჩქარეზე. მუხლის სახსრის პროთეზი, რომელიც გამოიყენება ე-ის მიერ და ფეხის სისტემები ორივე პროთეზში აღარ შეესაბამება თანამედროვე ტექნოლოგიას. რეკომენდირებულია მათი შეცვლა ახლით, ისე რომ მას მიეცეს საშუალება იყოს შრომისუნარიან ადამიანებთან თანასწორი.

გერმანიის ორთოპედიული წარმოების კომპანიის O...-ის მიერ დაანგარიშებულ იქნა ვ. ე-ისთვის პროთეზების დამზადებისთვის საჭირო ხარჯი, რამაც ერთი პროთეზის შემთხვევაში შეადგინა 64 494,05 ევრო, ხოლო მეორეს შემთხვევაში – 25 080,80 ევრო.

შპს „ნ...“ მიერ, რომლის იურიდიული მისამართია: ქ. მოსკოვი, ..., გაცემულ იქნა ცნობა მასზე, რომ ვ. ე-ი ნამდვილად მუშაობდა შპს „ნ...“ მძღოლის თანამდებობაზე 1998 წლის იანვრიდან 2004 წლის აგვისტომდე. ხელფასები წლების მიხედვით იყო: 1998 წელს ყოველთვიურად იღებდა 20 000 რუბლი, 1999 წელს – 22 000 რუბლი, 2000 წელს – 24 500 რუბლი, 2001 წელს – 25 572 რუბლი, 2002 წელს – 27 200 რუბლი, 2003 წელს – 29 352 რუბლი და 2004 წელს – 31 200 რუბლი.

შპს „ს...“ მიერ, რომლის იურიდიული მისამართია: მოსკოვის ოლქი, ..., გაცემულ იქნა ცნობა მასზე, რომ ი. კ-ი ნამდვილად მუშაობდა შპს „ს...“ გამყიდველად 2002 წლის 15 იანვრიდან 2004 წლის 10 აპრილის ჩათვლით. მისი სარგო შეადგენდა: 2002 წელს ყოველთვიურად 24 500 რუბლს, 2003 წელს – 26 500 რუბლს, 2004 წელს – 28 500 რუბლს.

ა(ა)იპ „კ...“-ს მიერ 2016 წლის 19 მაისს ვ. ე-ზე გაიცა №10/16 ცნობა მასზე, რომ იგი საჭიროებდა მნიშვნელოვან დახმარებას მზრუნველისგან ან გადაყვანას სპეციალურ მოვლით დაწესებულებაში.

იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი დაწესებულება საქართველოში არ არსებობს, შეფასდა ვ. ე-ის ბინაზე მოვლის საჭიროებები და განისაზღვრა მომსახურების პაკეტი, რაც მოიცავს 24-საათიან მოვლას და რეაბილიტაციას. შედგა 1 თვის მომსახურების ღირე-

ბულების გაანგარიშება და სანიმუშო ანგარიშ-ფაქტურა.

მომსახურების ღირებულების გაანგარიშებაში გათვალისწინებული იქნა ვ. ე-ისათვის საჭირო კონკრეტული პროცედურები, ერთი თვის წრილში, რაოდენობისა და ღირებულების მითითებით. კერძოდ, ჰიგიენური მოვლა: აბაზანის მიღება, ტანსაცმლის ჩაცმა-გახდაში დახმარება, სანოლის მონესრიგება, საკვების მიღებაში დახმარება, ეტლზე გადაჯდომაში დახმარება, ჰიგიენურ პროცესებში დახმარება – ჯამში სულ 877,50 ლარის ღირებულების; სამედიცინო მოვლა: სასიცოცხლო მაჩვენებლების კონტროლი, ფეხების სამკურნალო აბაზანა, ნანოლის, კონტრაქტურის, თრომბოზის, სოკოვანი დაავადებების პროფილაქტიკა, სხვა პროფილაქტიკური ღონისძიებები – სულ 765 ლარის ღირებულების; მეთვალყურეობა: მარტივი ძირეული, საექთნო პოსტი – სულ 2 760 ლარის ღირებულების; რეაბილიტაცია: რიტმული მასაჟი, სამკურნალო მასაჟი – სულ 1 050 ლარი. მომსახურების ღირებულების გაანგარიშებამ ჯამში შეადგინა – 5 452,50 ლარი.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. ამავე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმართველობის ორგანოთა და მომსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი.

ამავე კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გა-

უფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს.

აღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან. შესაბამისად, არც პასუხისმგებლობის საკითხი არის განსხვავებული რეგულაციის ქვეშ მოქცეული, სახელმწიფოც ისევეა პასუხისმგებელი ზიანის მიყენებისთვის, როგორც კერძო პირები.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი იცავს ადამიანის სიცოცხლის უფლებას, კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი. კონსტიტუციის მოცემული დანაწესი სახელმწიფოს ავალდებულებს უზრუნველყოს სიცოცხლის ეფექტური დაცვა. არავის არა აქვს უფლება წაართვას ადამიანს სიცოცხლე ან საფრთხე შეუქმნას მას. სიცოცხლის უფლება სახელმწიფოს აკისრებს ნეგატიურ ვალდებულებას – არ ხელყოს ადამიანის სიცოცხლე და, ამასთანავე, პოზიტიურს – იზრუნოს სიცოცხლისათვის საფრთხის ასაცილებლად და დაიცვას იგი სხვათა მხრიდან ხელყოფისგან. სიცოცხლის უფლება დაცულია როგორც განზრახი, ისე გაუფრთხილებელი მოქმედებებისაგან (Ogur v Turkey, 20.05.1999).

ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება, ასევე, დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, განსახილველ საქმეზე დადგენილია, რომ ვ. ე-ი, მეგობრებთან ერთად, გადაადგილდებოდა ავტომანქანით აჭარაში, ..., როდესაც მანქანა აფეთქდა ტანკსაწინააღმდეგო ნაღმზე. მიღებული დაზიანებების შედეგად საჭირო გახდა მოსარჩელის ქვედა კიდურების ამპუტაცია. ასევე დადგენილია, რომ საქართველოს მთავრობამ აღიარა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა. კერძოდ, სახელმწიფო ორგანოების პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობამ – მიეღოთ ყველა საჭირო პრევენციული უსაფრთხოების ზომა სიცოცხლისათვის საშიში ინციდენტის თავიდან ასაცილებლად – გამოიწვია ვ. ე-ის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი. სახელმწიფოს აღიარება ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევის შესახებ, განხორციელდა მას შემდეგ, რაც ვ. ე-მა ეროვნულ სასამართლოებში მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ დავაწარმებლად დაასრულა და შემდგომ საჩივრით მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. სახელმწიფოს აღიარება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენილ იქნა ცალმხრივი დეკლარაციის

ფორმით, სადაც მთავრობა მომჩივანს სთავაზობდა 8 000 ევროს ანაზღაურებას კონვენციის დარღვევით გამოწვეული მდგომარეობის გამოსასწორებლად. ასევე, მიუთითებდა მომჩივნის უფლებაზე, კვლავ მოეთხოვა პროთეზის განახლება მთავრობის დაფინანსებით, შესაბამისი სოციალური მომსახურების სააგენტოს მეშვეობით. მთავრობა აქვე აღნიშნავდა, რომ ეს თანხა განკუთვნილი იყო ნებისმიერი მორალური ან მატერიალური ზიანის ყველა ხარჯისა და დანახარჯის ასანაზღაურებლად.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა მთავრობის ცალმხრივ დეკლარაციაში არსებული აღიარებების ხასიათი, ასევე, მომჩივნის შესაძლებლობა – მოეთხოვა შესაბამისი შიდა სამართალწარმოების განახლება, შეთავაზებული კომპენსაციის ოდენობა და მიიჩნია, რომ საჩივრის შემდგომი განხილვის გაგრძელება აღარ იყო გამართლებული.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოს მიერ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევის აღიარება, მომჩივნისათვის 8 000 ევროს კომპენსაციის ანაზღაურება და მომჩივნის უფლებაზე – მთავრობის დაფინანსებით პროთეზის განახლებაზე მითითება, არ ათავისუფლებს სახელმწიფოს მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ანაზღაურებისაგან. ევროპული სასამართლო მიუთითებს მომჩივნის უფლებაზე შიდა სამართალწარმოების განახლების შესახებ, რომლის ფარგლებშიც სასამართლომ ეროვნულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით უნდა იმსჯელოს მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის (მორალური და მატერიალური) ანაზღაურების საფუძველზე და ოდენობაზე. ევროპულმა სასამართლომ მთავრობის ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე ამორიცხა მომჩივნის განცხადება განსახილველ საქმეთა ნუსხიდან, თუმცა არ დაუდგენია, რომ 8 000 ევრო ფარავდა ნებისმიერ მორალურ ან მატერიალურ ზიანს, ყველა ხარჯსა და დანახარჯს, როგორც ეს სახელმწიფოს ჰქონდა განცხადებული ცალმხრივ დეკლარაციაში. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა და დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა საფუძველზე უნდა შეფასდეს და დადგინდეს მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის სიმძიმე და მისი ანაზღაურების ოდენობა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. ხოლო ამავე კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემ-

თხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის) უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

ვალდებულებითი სამართალი აწესრიგებს ისეთ ვალდებულებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომელთა დარღვევისათვის დამრღვევს სასამართლოს მეშვეობით შეიძლება დაეკისროს შესრულება ან ზიანის ანაზღაურება. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილი ვალდებულების წარმოშობის წინაპირობად მიიჩნევს როგორც ხელშეკრულებას, ასევე, დელიქტს, უსაფუძვლო გამდიდრებას ან კანონით გათვალისწინებულ სხვა საფუძვლებს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის (საქმე №ბს-52-47(კ-13); 23.07.2013წ.) განმარტებაზე, რომ დელიქტური ვალდებულება ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებაა და არასახელშეკრულებო ვალდებულების ერთ-ერთი სახე. ზიანი შეიძლება იყოს ხელშეკრულების დარღვევიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევის შედეგი, ხოლო დელიქტის დროს კი თვით ზიანის მიყენების ფაქტი წარმოადგენს ვალდებულების წარმოშობის საფუძველს, რომელი ვალდებულების ძალითაც დაზარალებულს უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მიმყენებლისაგან. ამასთან, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება შესაძლებელია, თუ სახეზეა ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი. ამავე კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად კი, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. მითითებული მუხლის შინაარსის გათვალისწინებით, იმისათვის, რომ წარმოიშვას ზიანის ანაზღაურების წინაპირობა, სახეზე უნდა იყოს პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება (უმოქმედობა), წარმოშობილი ზიანი და მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი. ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სავალდებულო პირობას და გამოიხატება იმაში, რომ პირველი წარმოშობს მეორეს. პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი.

სასამართლოს განმარტებით, უდავოა, რომ სახელმწიფოს უმოქ-

მედობამ – სიცოცხლის უფლების დაცვის მიზნით აუცილებელი პრევენციული ღონისძიებების გაუტარებლობამ, გამოიწვია მოსარჩელის – ვ. ე-ის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად აღიარება. მისი ორივე ქვედა კიდური ამპუტირებულ იქნა. ამდენად, განსახილველ საქმეზე მსჯელობის საგანია, მხოლოდ მიყენებული ზიანის სიმძიმე და მისი ანაზღაურების ოდენობა, ვინაიდან, მოპასუხის მიერ ზიანის მიყენების საკითხი დადგენილი გარემოებაა.

საქმის მასალების შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანის გამო, მოსარჩელე ითხოვს მატერიალური ზიანის ანაზღაურებას, კერძოდ, ახალი პროთეზების დამზადებისათვის საჭირო თანხის – 64 494,05 ევროსა და 25 080,80 ევროს ეკვივალენტი ლარში ანაზღაურების დაკისრებას.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნაღმზე აფეთქების შემდეგ სახელმწიფოს მხრიდან განხორციელდა ყველა საჭირო სამკურნალო ხარჯების ანაზღაურება, მათ შორის, გერმანიაში მოსარჩელისთვის დამზადებულ იქნა ორივე ფეხის პროთეზი. თუმცა განსახილველ შემთხვევაში, საქმეში არსებული მტკიცებულებები მიუთითებს მოსარჩელის საჭიროებაზე, შეიცვალოს არსებული პროთეზები ახლით. კერძოდ, გერმანიის ორთოპედიული ტექნოლოგიის სახელოსნო „T...-ის“ მიერ 2014 წლის 7 ივლისის წერილში აღინიშნა, რომ პროთეზები, რომელსაც ახლა ხმარობს ვ. ე-ი (მარჯვენა ბარძაყის ზედა ნაწილის პროთეზი + მარცხენა ბარძაყის ქვედა ნაწილის პროთეზი) გამოუსადეგარია. აქვე მიეთითა პროთეზის სახეობა – C-ფეხის-მუხლის-სახსრის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა მოსარჩელის მეტ უსაფრთხოებას და დინამიურობას სიარულის სხვადასხვა სიჩქარეზე.

გერმანიის ორთოპედიული წარმოების კომპანიის O...-ის მიერ დაანგარიშებულ იქნა ვ. ე-ისთვის პროთეზების დამზადებისთვის საჭირო ხარჯი, რამაც ერთი პროთეზის შემთხვევაში შეადგინა 64 494,05 ევრო, ხოლო მეორეს შემთხვევაში – 25 080,80 ევრო.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომელიც ადგენს ზიანის მიმყენებელი პირის ვალდებულებას აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა. კერძოდ, მოცემული ნორმის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. მითითებული ნორმის შინაარსის გათვალისწინებით სასამართლომ აღნიშნა, რომ ზიანის ანაზღაურების, როგორც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ვალდებულებაში, სწორედ იმ მდგომარეობის აღდგენა იგულისხმება, რომელიც იარსებებდა, რომ არა ვალდებულების დარღვევა,

ამასთანავე მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენად მაღალია ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის ხარისხი ზიანის დადგომაში. სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილებაზე, საქმე №ას-167-163-2016, სადაც განმარტებულ იქნა 408-ე მუხლის დანაწესი, კერძოდ „ზიანის ანაზღაურებისათვის აუცილებელია განხორციელდეს იმ ვითარების აღდგენა, რომელიც იარსებებდა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების დადგომამდე, ე.ი. ვალდებულების დარღვევამდე“. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „ზიანი არის კანონით გათვალისწინებული ანაზღაურებადი სხვაობა „უნდა-ყოფილიყო“ და „არის მდგომარეობას“ შორის (სხვაობის ჰიპოთეზა)“.

სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ ვალდებულების დარღვევის არარსებობის შემთხვევაში არ იარსებებდა მოსარჩელისათვის შშმ პირის სტატუსის მინიჭებისა და პროთეზების დამზადების საჭიროება. შექმნილ ვითარებაში მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით, შეუძლებელია აღდგენილ იქნეს პირვანდელი მდგომარეობა, კერძოდ – პროთეზების საჭიროების არარსებობა. ასეთ შემთხვევებზე გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 409-ე მუხლი, რომელიც ადგენს, რომ თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება. საქმეში არსებული მტკიცებულებები მიუთითებს მასზე, რომ ინციდენტამდე (ნალმზე აფეთქებამდე) ვ. ე-ი იყო ჯანმრთელი ახალგაზრდა, მუდმივად დასაქმებული. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე ვალდებულია უზრუნველყოს მოსარჩელის მდგომარეობის აღდგენა იმგვარად, რომ მაქსიმალურად იქნეს მიახლოებული სახელმწიფოს მიერ ვალდებულების დარღვევამდე არსებული გარემოება.

სასამართლოს განმარტებით, აღნიშნულის მისაღწევად, კერძოდ კი, მოსარჩელის დამოუკიდებლად გადაადგილებისათვის საჭიროა კონკრეტული სახეობის პროთეზების დამზადება, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს პირის მაქსიმალურ ადაპტაციას საზოგადოებასა და გარემოში. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ იქნა გაანგარიშება, რაც საჭიროა ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად – საჭირო პროთეზების დამზადებისათვის. მოპასუხის მიერ განსხვავებული კალკულაცია არ იქნა წარმოდგენილი, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. ე-ი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მისთვის საჭირო პროთეზებით, რომელთა ღირებულება შეადგენს ერთ შემთხვევაში 64 494,05 ევროს, ხოლო მეორე შემთხვევაში – 25 080,80 ევროს, რომლის ანაზღაურებაც უნდა დაეკისროს მოპა-

სუხეს ეროვნულ ვალუტაში შესაბამისი ეკვივალენტის ოდენობით.

მოსარჩელემ მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით, ასევე მოითხოვა მიუღებელი შემოსავლისა და სარჩოს 2004 წლის 24 აგვისტოდან ანაზღაურება თვეში 3000-3000 ლარის ოდენობით. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე ნაღმზე აფეთქებამდე და შშმ პირის სტატუსის მინიჭებამდე იყო დასაქმებული პირი. შპს „ნ...“ მიერ, რომლის იურიდიული მისამართია: ქ. მოსკოვი, ..., გაცემულ იქნა ცნობა მასზედ, რომ ვ. ე-ი ნამდვილად მუშაობდა შპს „ნ...“ მძღოლის თანამდებობაზე 1998 წლის იანვრიდან 2004 წლის აგვისტომდე.

ხელფასები წლების მიხედვით იყო: 1998 წელს ყოველთვიურად 20 000 რუბლი, 1999 წელს – 22 000 რუბლი, 2000 წელს – 24 500 რუბლი, 2001 წელს – 25 572 რუბლი, 2002 წელს – 27 200 რუბლი, 2003 წელს – 29 352 რუბლი და 2004 წელს – 31 200 რუბლი. სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ 31 200 რუსული რუბლი 2004 წლის აგვისტოს მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ მონაცემზე დაყრდნობით, წარმოადგენდა 1903 ლარს.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვს როგორც მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას, ასევე სარჩოს დაკისრებას. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით. ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. სასამართლოს შეფასებით, მითითებული ნორმები აძლევს მოსარჩელეს სამართლებრივ საფუძველს მოითხოვოს სარჩოს გადახდევინება, რამდენადაც ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების – ტრავმის არარსებობის პირობებში, დაზარალებული შეძლებდა დასაქმებას, რასაც ადგილი ჰქონდა ინციდენტამდე. სარჩოს ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების დადგომა პირს ართმევს შესაძლებლობას, ჰქონდეს სამუშაო და იღებდეს შესაბამის ანაზღაურებას.

ამასთან, სარჩოს მიღების უფლება წარმოადგენს პირის შესაძლებლობას, აუნაზღაურდეს ზიანი, რაც მიიღო მიყენებული ტრავ-

მის სახით. სარჩოს მიღებით ხდება პირისათვის შემოსავლის მიღების უზრუნველყოფა ტრავმის არარსებობის პირობებში შესაძლო შრომის ანაზღაურების შესაბამისად. თავად ის გარემოება, რომ ტრავმის მიღების გამო მოსარჩელემ დაკარგა სამუშაო და შესაბამისი ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა, წარმოშობს საფუძვლიან და კანონიერ ვარაუდს იმასთან დაკავშირებით, რომ ტრავმის მიუღებლობის შემთხვევაში, მოსარჩელე განაგრძობდა მუშაობას და იგი მიიღებდა ხელფასს. ამდენად, სარჩო თავისი არსით წარმოდგენს იმ შემოსავლით უზრუნველყოფას, რომელსაც პირი მიიღებდა, რომ არა ვალდებული პირის ბრალეული ქმედება/უმოქმედობა. შესაბამისად, სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის მითითებას მასზედ, რომ გაცემულ უნდა იქნეს როგორც მიუღებელი შემოსავალი, ასევე სარჩო.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსჯელობაზე სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილთან მიმართებით და აღნიშნა, რომ „სარჩოს ოდენობა უნდა განისაზღვროს იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მარჩენალი მიიღებდა ხელფასს ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება რომ არ დამდგარიყო“ (იხ. სუსგ №ას-169-497-09, 24 ივლისი, 2009 წელი).

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა და დადგენილ გარემოებათა საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ უნდა დაკმაყოფილებულიყო მოსარჩელის მოთხოვნა სარჩოს დაკისრების ნაწილში 1903 ლარის ოდენობით, ყოველთვიურად, 2004 წლის აგვისტოს პერიოდიდან.

რაც შეეხება მოთხოვნას სამედიცინო მომვლელის ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, სასამართლოს მითითებით, აღნიშნულთან მიმართებაში საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით დასტურდება, რომ ვ. ე-ი საჭიროებს მნიშვნელოვან დახმარებას მზრუნველისგან ან გადაყვანას სპეციალურ მოვლით დაწესებულებაში. ა(ა)იპ „...“ მიერ გაცემული ცნობის თანახმად, ამგვარი დაწესებულება საქართველოში არ არსებობს, შესაბამისად, შეფასდა ვ. ე-ის ბინაზე მოვლის საჭიროებები და განისაზღვრა მომსახურების პაკეტი, რაც მოიცავს 24-საათიან მოვლას და რეაბილიტაციას. შედგა 1 თვის მომსახურების ღირებულების გაანგარიშება და სანიმუშო ანგარიშ-ფაქტურა. მომსახურების ღირებულების გაანგარიშებაში გათვალისწინებულ იქნა ვ. ე-ისათვის საჭირო კონკრეტული პროცედურები, ერთი თვის ჭრილში, რაოდენობისა და ღირებულების მითითებით. კერძოდ: ჰიგიენური მოვლა: აბაზანის მიღება, ტანსაცმლის ჩაცმა-გახდაში დახმარება, საწოლის მოწესრიგება, საკვების მიღებაში დახმარება, ეტლზე გადაჯდომაში დახ-

მარება, ჰიგიენურ პროცესებში დახმარება – ჯამში სულ 877,50 ლარის ღირებულების; სამედიცინო მოვლა: სასიცოცხლო მაჩვენებლების კონტროლი, ფეხების სამკურნალო აბაზანა, ნაწოლის, კონტრაქტურის, თრომბოზის, სოკოვანი დაავადებების პროფილაქტიკა, სხვა პროფილაქტიკური ღონისძიებები – სულ 765 ლარის ღირებულების; მეთვალყურეობა: მარტივი ძირეული, საექთნო პოსტი – სულ 2 760 ლარის ღირებულების; რეაბილიტაცია: რიტმული მასაჟი, სამკურნალო მასაჟი – სულ 1 050 ლარი. მომსახურების ღირებულების გაანგარიშებამ ჯამში შეადგინა – 5 452,50 ლარი.

სასამართლოს განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში, ვინაიდან მოპასუხე ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 409-ე მუხლებით გათვალისწინებულ გარემოებათა შესაბამისად, ხოლო ზიანის ანაზღაურება ექვემდებარება სრულად ანაზღაურებას, სასამართლომ მიიჩნია, რომ დამდგარი ზიანის გამო მოსარჩელე აუცილებელი წესით საჭიროებს ჰიგიენურ და სამედიცინო მოვლას. რომ არა ზიანის გამომწვევი გარემოება, მოსარჩელე არ დაექვემდებარებოდა აღნიშნულ საჭიროებას. დამხმარის მეშვეობით ჰიგიენური პროცედურების განხორციელება და სამედიცინო მოვლის (სასიცოცხლო მაჩვენებლები კონტროლი, ფეხების სამკურნალო აბაზანა, ნაწოლის, კონტრაქტურის, თრომბოზის, სოკოვანი დაავადებების პროფილაქტიკა, სხვა პროფილაქტიკური ღონისძიებები) საჭიროება წარმოადგენს მოსარჩელის მიერ ნაკისრი ვალდებულების არაეფექტურად შესრულების უშუალო შედეგს. რაც შეეხება მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ დაანგარიშებას მეთვალყურეობასა და რეაბილიტაციასთან მიმართებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულს ერთგვარად მოიცავს სამედიცინო და ჰიგიენური მოვლა.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე უნდა დაექვემდებაროს ზიანის ანაზღაურებას იმგვარად, რომ მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, უზრუნველყოფილ იქნეს სიცოცხლისათვის აუცილებელი საჭიროებებით. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეს ამჟუტირებული აქვს ორივე ქვედა კიდური, ნათელია, რომ იგი დამოუკიდებლად ვერ უზრუნველყოფს მისთვის აუცილებელი ყოფითი საჭიროებების დაკმაყოფილებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ გაითვალისწინა რამოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, არსებული მწვავე მდგომარეობა და მისი საჭიროება, რაც დადგა 2004 წლის აგვისტოში, მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა სამედიცინო მოვლასთან დაკავშირებით, უნდა დაკმაყოფილებულიყო თვეში 1642,5 ლარის ოდენობით 2004 წლის აგვისტოს პერიოდიდან.

500 000 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურების

მოთხოვნასთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ არა-ქონებრივი ზიანის ანაზღაურების წესს ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. ამავე მუხლის მე-6 ნაწილი ითვალისწინებს, რომ მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.

სასამართლოს განმარტებით, კანონით ერთმნიშვნელოვნადაა დადგენილი მორალური ზიანის ანაზღაურება პატივის, ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი ხელშეუხებლობისა ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისას, ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებისას. ამდენად, პირის კანონით დაცული სხვა უფლებების შეზღუდვა არ წარმოშობს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, რაც გამომწვეულია მორალური ზიანის სპეციფიკით, რამეთუ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით განსაზღვრული სიკეთის ხელყოფისას პირი განსაკუთრებულად განიცდის სულიერ თუ ფიზიკურ ტანჯვას. საქალაქო სასამართლომ აღნიშნულთან მიმართებაში მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის განჩინებაში (საქმეზე №ას-1156-1176-2011) სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლით გათვალისწინებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით გაკეთებულ განმარტებაზე.

ამასთან, საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მორალური ზიანი მთელი თავისი არსით შესაძლებელია წარმოიშვას არა ზიანის მიყენების მომენტში, არამედ იგი შესაძლოა დადგეს მოგვიანებით, მკურნალობის უშედეგობის, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობის, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობის, ცხოვრების წესის და რიტმის შეცვლის, მკურნალობის უშედეგობის გამო. ცხოვრების ხალისის დაქვეითების, ნერვიული დაძაბულობის, არასრულფასოვნების კომპლექსისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით (იხ. სუს 08.04.09წ. გადაწყვეტილება საქმე №ბზ-972-936(3კ-08)).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა მოსარჩელისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლიანი და გონივრული გაანგარიშება, რაც გამორიცხავს კომპენსაციის ოდენობის უსაშველოდ გაზრდას. ამდენად, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა მორალური ზიანის ანაზღაურება 20 000 ლარის ოდენობით.

სასამართლო ყურადღებას მიაქცევს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობას, რომლის თანახმად, „კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი უფლება და საბიუჯეტო ხარჯი განუყოფელია ერთმანეთისაგან და სახელმწიფოს მიერ ასეთი ხარჯების განევის ვალდებულებას დასახელებული უფლება თავისთავად მოიაზრებს. შესაბამისად, საბიუჯეტო ხარჯების დაზოგვა თავისთავად ვერ გახდება ამ უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზეზი. ცალკეულ შემთხვევაში, როდესაც ზიანის ანაზღაურების ხარჯი იმდენად მძიმე ტვირთად აწვება სახელმწიფო ბიუჯეტს, რომ მისი ანაზღაურება საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს ფუნქციონირებას, ფისკალურ და ეკონომიკურ უსაფრთხოებას, შესაძლებელია მსჯელობა ზიანის ანაზღაურების უფლების შეზღუდვაზე, გადახდის განაწილვადებისა თუ სხვა ფორმებით. სახელმწიფო ფისკალური და ეკონომიკური უსაფრთხოება მნიშვნელოვან ლეგიტიმურ ინტერესს წარმოადგენს და მისთვის საფრთხის შექმნა თავისთავად არ მოიაზრება კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით დაცული უფლების ნაწილად, შესაბამისად, გონივრული ბალანსის დაცვის მიზნით, უფლების გარკვეულწილად შეზღუდვა შესაძლებელია გამართლებული იყოს, თუმცა, თავისთავად, ცალკე აღებული საბიუჯეტო სახსრების დაზოგვის ინტერესი ვერ გამოდგება კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით დაცული უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ საფუძვლად. საბიუჯეტო სახსრების სიმცირის მოტივით სახელმწიფოს გათავისუფლება მისი სახელით მოქმედი თანამდებობის პირების უკანონო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისგან, ქმნის საფრთხეს, რომ შესაბამისმა სუბიექტებმა, კონკრეტულ შემთხვევაში, საკუთარი თვითნებური ქმედებები გაამართლონ საბიუჯეტო სახსრების სიმწირისა და მისი დაზოგვის მიზნით. ამგვარი შესაძლებლობის მინიჭება თავად უფლების არსებობას დაუკარგავდა აზრს, ვინაიდან ხშირ შემთხვევებში შეუძლებელი გახდებოდა მიყენებული ზიანის ანაზღაურება“ (2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №23/630 „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს უმოქმედობით მიყენებული ზიანის მიყენების პი-

რობებში, ზიანი ექვემდებარე სრულად ანაზღაურებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და დამატებით განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. ამავე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმართველობის ორგანოთა და მომსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. ამავე კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლით, განსაზღვრულია სუბიექტთა წრე (სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანო/ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო), დაკავშირებული ურთიერთობის და პასუხისმგებლობის განსაკუთრებული წესი ზიანის მიყენების შემთხვევაში. თუმცა, სახელმწიფოს პასუხის-

მგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის, დადგენილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლით გათვალისწინებული დებულებით, იქიდან გამომდინარე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო-პირის ანალოგიური ქმედებისაგან. ხსენებული მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამოაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. ხოლო ამავე კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის) უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

ვალდებულებითი სამართალი აწესრიგებს ისეთ ვალდებულებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომელთა დარღვევისათვის დამრღვევს სასამართლოს მეშვეობით შეიძლება დაეკისროს შესრულება ან ზიანის ანაზღაურება. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილი ვალდებულების წარმოშობის წინაპირობად მიიჩნევს როგორც ხელშეკრულებას, ასევე დელიქტს, უსაფუძვლო გამდიდრებას ან კანონით გათვალისწინებულ სხვა საფუძვლებს.

ამავე კოდექსის 408-ე მუხლის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუშცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით. დაზარალებულს უფლება აქვს მკურნალობის ხარჯები მოითხოვოს წინასწარ. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა აუცილებელი ხდება პროფესიული გადამზადება. ხსენებული კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად კი, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მითითებული მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. იმისათვის, რომ წარმოიშვას ზიანის ანაზღაურების წინაპირობა, სახეზე უნდა იყოს პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება (უმოქმედობა), წარმოშობილი ზიანი და მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი. ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სავალდებულო პირობას და გამოიხატება იმაში, რომ პირველი წარმოშობს მეორეს. პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი.

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი. სიცოცხლის უფლება ხელშეუვალი უფლებაა, იგი ადამიანისათვის თანდაყოლილია და არა კანონით ბოძებული და არც მისი ჩამორთმევა შეუძლია ვინმეს. სახელმწიფოს ვალდებულებაა, დაიცვას ადამიანის სიცოცხლე. სიცოცხლის უფლება სახელმწიფოს აკისრებს ნეგატიურ ვალდებულებას – არ ხელყოს ადამიანის სიცოცხლე, პოზიტიური ვალდებულება კი – იზრუნოს სიცოცხლისათვის საფრთხის ასაცილებლად და დაიცვას იგი სხვათა მხრიდან ხელყოფისგან. სიცოცხლის საფრთხის აცილების სფეროში სახელმწიფოს ვალდებულება გულისხმობს აღკვეთოს სიცოცხლის საფრთხე, მაგრამ ეს მოვალეობები შეზღუდულია, რაც გულისხმობს, რომ სიცოცხლის უფლება არ წარმოადგენს „სიცოცხლის დაზღვევას“, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან არის გარანტირებული.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, იმ პირობებში, როცა დადგენილია, რომ ნაღმზე აფეთქებამდე ვ. ე-ი იყო ჯანმრთელი ახალგაზრდა, მუდმივად დასაქმებული, ამასთან დადგენილია, რომ სახელმწიფოს მიერ ვალდებულების დარღვევის არარსებობის შემთხვევაში, არ იარსებებდა მოსარჩელისათვის შუშ პირის სტატუსის მინიჭებისა და პროთეზების დამზადების საჭიროება, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო, რომელიც წარმოადგენილია სასამართლოში შინაგან საქმეთა სამინისტროს სახით, ვალდებულია, უზრუნველყოს მოსარჩელის მდგომარეობის აღდგენა იმგვარად, რომ მაქსიმალურად იქნეს მიახლოებული სახელმწიფოს მიერ ვალდებულების დარღვევამდე არსებული გარემოება.

სააპელაციო პალატის განმარტებით, პირველი ინსტანციის სა-

სამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით, რაც ვერ გაბათილდა აპელანტის მიერ, მოსარჩელის დამოუკიდებლად გადაადგილებისათვის საჭიროა კონკრეტული სახეობის პროთეზების დამზადება, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს პირის მაქსიმალურ ადაპტაციას საზოგადოებასა და გარემოში. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილია გაანგარიშება, რაც საჭიროა ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად – საჭირო პროთეზების დამზადებისათვის. მოპასუხის მიერ განსხვავებული კალკულაცია არ წარმოდგენილა.

კონკრეტულ შემთხვევაში, შექმნილ ვითარებაში მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით, შეუძლებელია აღდგეს პირვანდელი მდგომარეობა, კერძოდ – პროთეზების საჭიროების არარსებობა. ასეთ შემთხვევებზე გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 409-ე მუხლი, რომელიც ადგენს, რომ თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.

პალატა შენიშნავს, რომ სამართლის მიერ დაცულ ერთ-ერთ სიკეთეს, რომლის ხელყოფის შედეგად დაზარალებულმა შეიძლება მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანისათვის ანაზღაურება, წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობა.

სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება ადამიანის სიცოცხლის იმგვარი ხელყოფაა, რომელიც დაზარალებულს არასრულფასოვნად და ზოგ შემთხვევაში, არაპრომისუნარიანად აქცევს, სხეულის და/ან ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული არაქონებრივი ზიანი უშუალოდ სამართალდარღვევიდან შეიძლება არც გამომდინარეობდეს, არამედ მისი თანმდევი შედეგი იყოს (როგორცაა უშედეგო მკურნალობა, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობა, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა, ცხოვრების წესისა და რითმის შეცვლა, მკურნალობის უშედეგობის გამო ცხოვრების ხალისის დაქვეითება, ნერვული დაძაბულობა, რაც პირს არასრულფასოვნების კომპლექსსა თუ სხვა ნეგატიურ განცდებს უყალიბებს), თუმცა, ასეთ დროს, სავალდებულოა, დასტურ-

დებოდეს, რომ დაზარალებულის მორალური განცდები და სულიერი ტანჯვა სხეულისა თუ ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგია.

სააპელაციო პალატის განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის მახასიათებელი თვისება არის ადამიანის ფსიქიკური და სულიერი ბუნების სფეროში ნეგატიური ზემოქმედების მოხდენა, რაც გამოიხატება ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვაში. ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება სამართლიანი და გონივრული ოდენობით უნდა განისაზღვროს. შეუძლებელია, თითოეული ადამიანის ჯანმრთელობის ან სიცოცხლის ფასის განსაზღვრა, შესაბამისად, მორალური ზიანის ანაზღაურების მიზანი, გარკვეულწილად, განცდილი ტკივილისა და დისკომფორტის შემსუბუქებაა. კომპენსაციის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო დაზარალებულის მიერ განცდილი სულიერი, ფიზიკური ტანჯვის გათვალისწინებით, ამ დროს სასამართლო მხედველობაში იღებს, თუ რაოდენ დიდი ფიზიკური ან სულიერი ტანჯვა მიაყენა რაიმე ქმედებამ დაზარალებულს.

არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, კონკრეტულ შემთხვევაში, დაკავშირებულია არაქონებრივ უფლებათა დარღვევასთან. არაქონებრივი უფლებები წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის იმ ობიექტს, რომელსაც გააჩნია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. არსებითი განსხვავება მდგომარეობს არაქონებრივი უფლების ხელყოფის შედეგად დამდგარი ზიანის შინაარსში. სამოქალაქო სამართლის აღნიშნული ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, მისი ხელყოფის შედეგად დამდგარ ზიანს ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია. ამდენად, არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის წარმოშობისათვის საკმარისია არსებობდეს არაქონებრივი უფლების ხელყოფის ფაქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მორალური ზიანის მიყენება არ უკავშირდება უშუალოდ ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების მომენტს, მორალური ზიანი შესაძლოა მოგვიანებით, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობის, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობის, ცხოვრების ნესისა და რიტმის შეცვლის, დათრგუნულობის, გაურკვევლობის, ცხოვრების ხალისის დაქვეითების, ნერვიული დაძაბულობის, არასრულფასოვნების კომპლექსის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით დადგეს. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ არაქონებრივი ზიანი, თავისი ბუნებით, არ წარმოადგენს დაზარალებულისთვის რაიმე მატერიალური დანახარჯის კომპენსაციის წყაროს. იგი მიეცემა დაზარალებულს სულიერი ტანჯვის საკომ-

პენსაციოდ. ამდენად, არაქონებრივი ზიანი, თავისი შინაარსით არამატერიალური ცნებაა და აქედან გამომდინარეობს კანონის დანაწესი მისი ოდენობის დასადგენად მხოლოდ გონივრულობისა და სამართლიანობის და არა რაიმე ფაქტობრივი მატერიალური დანაკარგის გათვალისწინების თაობაზე.

რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას, სააპელაციო პალატის მითითებით, მას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. მოსარჩელე უფლებამოსილია სარჩელში მიუთითოს ფულადი თანხა, რომელსაც ის ითხოვს მიყენებული სულიერი თუ ფიზიკური ტკივილის კომპენსაციისათვის, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს შეხედულებით უნდა გადაწყდეს. არაქონებრივ ურთიერთობებს, თავისთავად, მოკლებულია რა ეკონომიკურ შინაარსს, არ გააჩნია ღირებულება, სწორედ ამიტომ, ამგვარი ზიანის დამტკიცებისთვის კანონით დაცული უფლების დარღვევაც საკმარისია. მორალური ზიანი გულისხმობს ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას, რასაც პირი განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით და მისი ანაზღაურების უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს დააკმაყოფილოს დაზარალებული, ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე და თავიდან აიცილოს პიროვნული უფლების ხელყოფა სხვა პირების მხრიდან.

მორალური ზიანის შეფასებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება ასეთი ზიანის სიმძიმის მიმართ, ასევე, ობიექტური გარემოებები, რითაც შეიძლება მისი ამ კუთხით შეფასება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს მორალური ზიანის არსებობა და მისი გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმები.

მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს დაზარალებულის ცხოვრების პირობებს (საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სოციალური სტატუსი, ასაკი და ა.შ.), ბრალის ხარისხს და სხვა გარემოებებს. ვინაიდან მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების სრული რესტიტუცია, კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული უხერხულობის, ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი განონასწორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს. ვერც ამ ნაწილში წარმოადგინა აპელანტმა დასაბუთებული პრეტენზია, რაც გასაჩივრებელი

გადანყვეტილების გაუქმების საფუძველი გახდებოდა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა მოპასუხისათვის სარჩოს დაკისრებასთან დაკავშირებით. პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა და დამატებით ყურადღება გაამახვილა იმ უდავო გარემოებაზე, რომ ვ. ე-მა მიღებული ტრავმის შედეგად შრომისუნარიანობა 2/3-ზე მეტი ნიშნით დაკარგა, შესაბამისად, ამ უკანასკნელმა დასაქმების და საკუთარი შრომის შედეგად ანაზღაურების მიღების შესაძლებლობაც დაკარგა. ამდენად, ამ მოცემულობაში, ყოველთვის ურად ხელფასის ოდენობით დაკისრებული თანხა წარმოადგენს იმ მინიმალურ ხელფასს, რომელსაც მიიღებდა, შრომის უნარი რომ არ დაეკარგა და აღნიშნული არ უნდა იქნეს გაიგივებული საარსებო მინიმუმთან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი საკასაციო საჩივარს აფუძნებდა ძირითადად იმავე გარემოებებზე, რაზეც მიუთითებდა სააპელაციო საჩივარში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 22 იანვრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 5 აპრილის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ვ. ე-ის სასარგებლოდ მორალური ზიანისა და პროთეზის ღირებულების ანაზღაურების დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ვ. ე-ის სასარგებლოდ მორალური ზიანისა და პროთეზის ღირებულების ანაზღაურების დაკისრების ნაწილში; ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი ვ. ე-ის სასარგებლოდ სარჩოსა და სამედიცინო მომვლელის ხარჯის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებლად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების დაშვებულ ნაწილში კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2004 წლის 21 აგვისტოს ვ. ე-ი მეგობრებთან ერთად გადაადგილდებოდა ავტომანქანით აჭარაში, ..., როდესაც მანქანა აფეთქდა ტანკსაწინააღმდეგო ნაღმზე. მიღებული დაზიანებების შედეგად საჭირო გახდა მოსარჩელის ქვედა კიდურების ამპუტაცია. ამპუტირებულ იქნა მარჯვენა ფეხის მუხლს ზედა, ხოლო მარცხენა ფეხის მუხლს ქვედა სეგმენტი.

ვ. ე-ის მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლები განეულ იქნა შემდეგი ოდენობით: 1) 2004 წ. ... ცენტრში – 1 186 ლარი; 2) 2005 წ. ... ცენტრში – 6 745,13 ლარი; 3) 2005 წ. ... საავადმყოფოში – 3000 ლარი; 4) 2005 წ. გერმანიაში – 22 427,07 ლარი; 5) 2005 წ. გერმანიაში – 32 978,2 ლარი; 6) 2006 წ. გერმანიაში – 7 000 ევრო; 7) 2007 წ. გერმანიაში – 793,14 ევრო. ამასთან, ვ. ე-ი მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსით სოციალური პაკეტის მიმღებად რეგისტრირებულია სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრში. მას სახელმწიფო გასაცემელი დანიშნული აქვს 2004 წლის 19 ნოემბრიდან და 2013 წლის 1 სექტემბრიდან ერიცხება შესაბამისი კატეგორიისათვის განსაზღვრული ფულადი გასაცემელი 150 ლარის ოდენობით.

2004 წლის 13 დეკემბრის №162073 ცნობით, ვ. ე-ს დაუდგინდა მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი.

2005 წლის 28 ივლისს, ვ. ე-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ, 2004 წლის 21 აგვისტოს ინციდენტთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ სამინისტროს პასუხისმგებლობას წარმოადგენდა ..., მდინარე ... გასწვრივ განაღმვითი სამუშაოების დროულად და გულდასმით ჩატარება. ვინაიდან, სამინისტრომ ვერ შეასრულა ვალდებულება, მათ უნდა აენაზღაურებინათ მომჩივნისთვის მატერიალური და მორალური ზიანი, დელიქტის შესაბამისი ნორმების საფუძველზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ვ. ე-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელ-

მნიფომ მას უკვე გაუნია შესაბამისი უფასო სამედიცინო მკურნალობა და პროთეზირება. მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში, სასამართლომ განაცხადა, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებით არ დგინდებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუდევრობა განალმვითი ოპერაციების დროს. შეუძლებელი იყო იმის დადგენა, რომ 2004 წლის 21 აგვისტოს ინციდენტამდე სამინისტროსთვის ან რომელიმე სხვა სახელმწიფო უწყებისთვის ცნობილი იყო ... მიმდებარე ზღვის სანაპიროს დანალმვის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2008 წლის 14 მაისის განჩინებით ძალაში დატოვა 2006 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, 2009 წლის 18 თებერვლის განჩინებით, უცვლელად დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 14 მაისის განჩინება.

2009 წლის 9 ივლისს, ვ. ე-მა საჩივრით მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. საჩივარში მომჩივანი კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე მიუთითებდა, რომ მოპასუხე მთავრობამ დროულად და სათანადო გულმოდგინებით არ შეასრულა განალმვითი სამუშაოები ... და ამ დაუდევრობის შედეგად მან სერიოზული, სიცოცხლისთვის საშიში დაზიანებები მიიღო და გახდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. კონვენციის 6.1 მუხლის შესაბამისად, მომჩივანი ასევე პრეტენზიას გამოთქვამდა სამოქალაქო სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. ბოლოს, კონვენციის მე-13 მუხლის და პირველი ოქმის 1-ლი მუხლის შესაბამისად, მომჩივანმა კიდევ ერთხელ გაიმეორა თავისი პრეტენზია შინაგან საქმეთა სამინისტროსგან ზიანის ანაზღაურების მიღების შეუძლებლობის შესახებ. ვ. ე-ის საჩივართან დაკავშირებით, მთავრობამ წარადგინა ცალმხრივი დეკლარაცია, რომლითაც აღიარა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა იმის გამო, რომ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობამ – მიეღოთ ყველა საჭირო პრევენციული უსაფრთხოების ზომა 2004 წლის 21 აგვისტოს, სიცოცხლისათვის საშიში ინციდენტის თავიდან ასაცილებლად – მომჩივნის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი გამოიწვია. კონვენციის დარღვევით გამოწვეული მდგომარეობის გამოსასწორებლად მთავრობამ მზადყოფნა გამოთქვა მომჩივნისთვის გადაეხადა 8 000 (რვა ათასი) ევრო. მთავრობამ აღნიშნა, რომ ეს თანხა განკუთვნილია ნებისმიერი მორალური ან მატერიალური ზიანის, ყველა ხარჯისა და დანახარჯის ასანაზღაურებლად. ამასთან, მოითხოვა საჩივრის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვა კონვენციის 37-ე მუხლის შესაბამისად. მომჩივანი არ დაეთანხმა ცალმხრივ დეკლარაციას და მიუთითა, რომ მას არ აკმაყოფილებდა ცალმხრივი დეკ-

ლარაციის პირობები შეთავაზებული კომპენსაციის სიმცირის გამო.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 24 ნოემბრის განჩინებით, საჩივარზე №40085/09, სასამართლომ გაითვალისწინა რა მთავრობის ცალმხრივ დეკლარაციაში არსებული აღიარებების ხასიათი, ასევე მომჩივნის შესაძლებლობა – მოითხოვოს შესაბამისი შიდა სამართალწარმოების განახლება და შეთავაზებული კომპენსაციის ოდენობა, მიიჩნია, რომ აღარ იყო გამართლებული საჩივრის შემდგომი განხილვის გაგრძელება. სამართალწარმოების ხანგრძლივობასა და შედეგთან დაკავშირებით საჩივარზე სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ ნაწილში იგი უსაფუძვლო იყო და არ დააკმაყოფილა.

შპს „...ცენტრის“ მიერ 2016 წლის 4 თებერვალს გაიცა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ №493 ცნობა მასზედ, რომ ვ. ე-ს ამპუტირებული აქვს ორივე ქვედა კიდური, მარჯვნივ ბარძაყის ქვედა მესამედში, მარცხნივ წვივის ზედა მესამედში. აქვს ალერგიული კონიუნქტივიტი და ნევროზული მდგომარეობა. საჭიროებს მუდმივ მკურნალობას და ზედამხედველობას ტრავმატოლოგის, ნევროლოგის, ოფთალმოლოგის. საჭიროებს ორივე ქვედა კიდურის პროთეზის შეცვლას.

ლიონის ნევროლოგის, ნევროფსიქიატრიისა და სამედიცინო ექსპერტიზის კაბინეტის ექიმის – ა. შ-ოს მიერ 2013 წლის 6 ნოემბერს გაცემულ სამედიცინო ცნობაში აღინიშნა ვ. ე-ის ჩივილები: მარჯვენა მხარეს ყურში შუილები, რომლებსაც თან ახლდა ჰომოლატერალური სმენის სიმკვეთრის დაქვეითება; უძილობა; ფსიქოტრავმული სინდრომი; ზედა კიდურების პერიფერიული სეგმენტის ტკივილები, განსაკუთრებით კიდურების ფანტომური ტკივილები, რომლებიც დაკითხვის კრიტერიუმებით შეესაბამებოდა ნევროპათიულ ტკივილებს. სამედიცინო დათვალეობის შედეგად ექიმმა დაადასტურა ჩივილები, რომლებიც ფსიქოტრავმული სინდრომით იყო გამოწვეული, რაც განაპირობებდა 2004 წლის აგვისტოს მოვლენის რემინისცენციამ, რომლის მსხვერპლიც გახდა ის. კერძოდ: კოშმარი, ძილის მნიშვნელოვნად დარღვევა, საერთო შფოთი, რომელსაც ემატებოდა გუნება-განწყობის დეპრესიული გაუარესება; პაციენტს კიდურების მიმედ ასატანი ნეიროპათიული ტკივილები ურღვევდა ძილს; კლინიკური მდგომარეობა საჭიროებდა რეგულარულ სამედიცინო ზედამხედველობას, რომლის გარეშეც შეიძლება ადგილი ჰქონოდა განსაკუთრებული ხასიათის სერიოზულ შედეგებს, რასაც თან ერთვის პროთეზის არქონა, რის გამოც მას არ შეეძლო ყოფილიყო დამოუკიდებელი და არსებობდა თვითმკვლელობის საფრთხე მტკივნეული პროცესების ფსიქოლოგიუ-

რი ზემოქმედების გამო.

გერმანიის ორთოპედიული ტექნოლოგიის სახელოსნოს „T...-ის“ 2014 წლის 7 ივლისის წერილში აღინიშნა, რომ პროთეზები, რომელსაც ვ. ე-ი (მარჯვენა ბარდაყის ზედა ნაწილის პროთეზი – მარცხენა ბარდაყის ქვედა ნაწილის პროთეზი) გამოიყენებდა, გამოუსადეგარია მოცულობის შემცირების გამო. შესაბამისად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ახლად მორგებული პროთეზის დიაფიზი. მარჯვენა ბარდაყის ზედა ნაწილში მუხლის სახსრის კომპონენტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ C-ფეხის-მუხლის სახსრის სისტემა ე-ს უფრო მეტ მხარდაჭერას მისცემდა მისი მიკროპროცესორის მიერ კონტროლირებული ჰიდრაულიკის გამო. მას მნიშვნელოვანი უპირატესობები ექნებოდა ალტერნატიული ასვლის-დახრის-ნაბიჯების გადადგომის დროს და უზრუნველყოფდა მეტ უსაფრთხოებას და დინამიურობას სიარულის სხვადასხვა სიჩქარეზე. მუხლის სახსრის პროთეზი, რომელიც გამოიყენება ე-ის მიერ და ფეხის სისტემები ორივე პროთეზში აღარ შეესაბამება თანამედროვე ტექნოლოგიას. რეკომენდირებულია მათი შეცვლა ახლით, ისე რომ მას მიეცეს საშუალება იყოს შრომისუნარიან ადამიანებთან თანასწორი.

გერმანიის ორთოპედიული წარმოების კომპანიის O...-ის მიერ დაანგარიშებულ იქნა ვ. ე-ისთვის ფროტეზების დამზადებისთვის საჭირო ხარჯი, რამაც ერთი პროთეზის შემთხვევაში შეადგინა 64 494,05 ევრო, ხოლო მეორის შემთხვევაში – 25 080,80 ევრო.

შპს „ნ...“ მიერ, რომლის იურიდიული მისამართია: ქ. მოსკოვი, ..., გაიცა ცნობა მასზე, რომ ვ. ე-ი ნამდვილად მუშაობდა შპს „ნ...“ მძღოლის ვაკანსიაზე, 1998 წლის იანვრიდან 2004 წლის აგვისტომდე. ხელფასები წლების მიხედვით იყო: 1998 წელს ყოველთვიურად 20 000 რუბლი, 1999 წელს – 22 000 რუბლი, 2000 წელს – 24 500 რუბლი, 2001 წელს – 25 572 რუბლი, 2002 წელს – 27 200 რუბლი, 2003 წელს – 29 352 რუბლი და 2004 წელს – 31 200 რუბლი.

შპს „ს...“ მიერ, რომლის იურიდიული მისამართია მოსკოვის ოლქი, ..., გაცემულ იქნა ცნობა მასზე, რომ ი. კ-ი ნამდვილად მუშაობდა შპს „ს...“ გამყიდველად 2002 წლის 15 იანვრიდან 2004 წლის 10 აპრილის ჩათვლით. მისი სარგო შეადგენდა: 2002 წელს ყოველთვიურად 24 500 რუბლს, 2003 წელს – 26 500 რუბლს, 2004 წელს – 28 500 რუბლს.

ა(ა)იპ-ის „...“-ს მიერ, 2016 წლის 19 მაისს, ვ. ე-ზე გაიცა №10/16 ცნობა მასზე, რომ იგი საჭიროებდა მნიშვნელოვან დახმარებას მზრუნველისგან ან გადაყვანას სპეციალურ მოვლით დაწესებულებაში. იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი დაწესებულება საქართველოში არ არსებობს, შეფასდა ვ. ე-ის ბინაზე მოვლის საჭი-

როებები და განისაზღვრა მომსახურების პაკეტი, რაც მოიცავს 24-საათიან მოვლას და რეაბილიტაციას. შედგა 1 თვის მომსახურების ღირებულების გაანგარიშება და სანიმუშო ანგარიშ-ფაქტურა.

მომსახურების ღირებულების გაანგარიშებაში გათვალისწინებულ იქნა ვ. ე-ისათვის საჭირო კონკრეტული პროცედურები, ერთი თვის ქრილში, რაოდენობისა და ღირებულების მითითებით, კერძოდ, ჰიგიენური მოვლა: აბაზანის მიღება, ტანსაცმლის ჩაცმა-გახდაში დახმარება, სანოლის მონესრიგება, საკვების მიღებაში დახმარება, ეტლზე გადაჯდომაში დახმარება, ჰიგიენურ პროცესებში დახმარება – ჯამში სულ 877,50 ლარის ღირებულების; სამედიცინო მოვლა: სასიცოცხლო მაჩვენებლების კონტროლი, ფეხების სამკურნალო აბაზანა, ნანოლის, კონტრაქტურის, თრომბოზის, სოკოვანი დაავადებების პროფილაქტიკა, სხვა პროფილაქტიკური ღონისძიებები – სულ 765 ლარის ღირებულების; მეთვალყურეობა: მარტივი ძირეული, საექთნო პოსტი – სულ 2 760 ლარის ღირებულების; რეაბილიტაცია: რიტმული მასაჟი, სამკურნალო მასაჟი – სულ 1 050 ლარი. მომსახურების ღირებულების გაანგარიშებამ ჯამში შეადგინა – 5 452,50 ლარი.

წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელემ მოპასუხისათვის ვ. ე-ის სასარგებლოდ 64 494,05 ევროსა და 25 080,80 ევროს (ეროვნულ ვალუტაში ეკვივალენტის) ოდენობით პროთეზების დამზადების ღირებულების ანაზღაურების, თვეში 3000-3000 ლარის ოდენობით 2004 წლის 24 აგვისტოდან მიუღებელი შემოსავლისა და სარჩოს ანაზღაურების, 2004 წლის 24 აგვისტოდან თვეში 5 452,50 ლარის ოდენობით სამედიცინო მომვლელის ხარჯების ანაზღაურებისა და 500 000 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით ვ. ე-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურება 20 000 ლარის ოდენობით; მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ პროთეზის ღირებულების – 64 494,05 ევროსა და 25 080,80 ევროს ეკვივალენტის ოდენობით ეროვნულ ვალუტაში ანაზღაურება; მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ სარჩოს ანაზღაურება 1903 ლარის ოდენობით ყოველთვიურად, 2004 წლის 24 აგვისტოს პერიოდიდან; მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ სამედიცინო მომვლელის ხარჯის ანაზღაურება 1642,5 ლარის ოდე-

ნობით ყოველთვიურად, 2004 წლის აგვისტოს პერიოდიდან; სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 5 აპრილის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ვ. ე-ის სასარგებლოდ მორალური ზიანისა და პროთეზის ღირებულების ანაზღაურების დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუმეგბლად და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ვ. ე-ის სასარგებლოდ მორალური ზიანისა და პროთეზის ღირებულების ანაზღაურების დაკისრების ნაწილში; ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი ვ. ე-ის სასარგებლოდ სარჩოსა და სამედიცინო მომვლელის ხარჯის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განხილულ იქნეს მხარეთა დასწრების გარეშე.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს მხოლოდ ვ. ე-ის სასარგებლოდ სარჩოსა და სამედიცინო მომვლელის ხარჯის განვლილ პერიოდზე სრულად ანაზღაურების დაკისრების ნაწილში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის დადგენა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის 42.9 მუხლის საფუძველზე ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან, ხოლო სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა პირის სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზი-

ანისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ წესს ადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე-209-ე მუხლები.

საკაცაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პირს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამავე კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, იმისთვის, რომ წარმოიშვას ზიანის ანაზღაურების მოვალეობა, სახეზე უნდა იყოს პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, წარმოშობილი ზიანი, ამასთან, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი. ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სავალდებულო პირობას და გამოიხატება იმაში, რომ პირველი წარმოშობს მეორეს. პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი. დელიქტის შედეგად დამდგარი ზიანი შესაძლოა იყოს ქონებრივი (მატერიალური) და არაქონებრივი (მორალური). სამართალდარღვევის მატერიალური შედეგი, რომელსაც აქვს ღირებულებითი ფორმა მიიჩნევა მატერიალურ ზიანად, ხოლო პირის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისა და თავისუფლებისთვის მიყენებული ზიანი, რომელიც დაკავშირებულია პირის სულიერ ტანჯვასთან არამატერიალური ზიანია.

სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გა-

დახდით.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში უდავოდ დასტურდება, რომ სახელმწიფო ორგანოების პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობამ – მიედოთ ყველა საჭირო პრევენციული უსაფრთხოების ზომა სიცოცხლისათვის სამიში ინციდენტის თავიდან ასაცილებლად – გამოიწვია ვ. ე-ისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭება, რაც ქმნის ვ. ე-ისათვის ზიანის ანაზღაურების ზოგად საფუძველს ყოველთვიური სარჩოს გადახდით.

საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს კონკრეტულ შემთხვევაში ყურადღება გაამახვილოს ხანდაზმულობის ინსტიტუტის არსებობის მიზნებზე, რაც უმთავრესად სამართლებრივი სტაბილურობის ხელშეწყობასა და პირის უფლებების დროულად განხორციელებაში გამოიხატება. ხანდაზმულობის ვადების არარსებობის პირობებში უფლება უსასრულოდ იქნებოდა გაურკვეველ მდგომარეობაში და მისი არა მარტო დაცვა, არამედ არსებობაც ეჭვის ქვეშ დადგებოდა. ხანდაზმულობის ვადების არსებობა კი სამართალური თიერთობის მონაწილეებს აიძულებს დროულად იზრუნონ საკუთარი უფლებების განხორციელებასა და დაცვაზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებს ხანდაზმულობის ინსტიტუტს სასამართლოსათვის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის გაადვილების, ვალდებულების შესრულებაზე კონტროლის, მოვალის დაცვის და ბრუნვის მონაწილეთა აქტიურობის სტაბილურობის მიზნით. ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაში უფლებადარღვეულ პირს ეძლევა შესაძლებლობა მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ხანდაზმულობის ვადა არ გულისხმობს დროის გაურკვეველ პერიოდს. მას აქვს დასაწყისი და დასასრული. ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისას კი მნიშვნელოვანია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა. ამასთან, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე ვრცელდება კანონმდებლობით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა.

საკასაციო სასამართლო განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის მიხედვით დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა სამი წელია იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვედა ინსტანციების სასამართლოების მსჯელობას მოსარჩელისათვის სარჩოსა და სამედიცინო მომვლელის ანაზღაურ-

რების ნაწილში, მაგრამ არ იზიარებს მის ანაზღაურებას 2004 წლის 24 აგვისტოს პერიოდიდან და მიაჩნია, რომ ამ ნაწილში სარჩელის მთლიანად დაკმაყოფილება არ არის საკმარისად დასაბუთებული. რის გამოც აღნიშნულთან მიმართებაში განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნათა ეს ნაწილი პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებათა რიგს განეკუთვნება, რომელზედაც ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა, რომლის ათვლაც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. პერიოდულად შესასრულებელი თითოეული ვალდებულების დარღვევა ცალ-ცალკე წარმოშობს მოთხოვნის უფლებას და ცალკე ქმნის ხანდაზმულობის ვადას. ხანდაზმულობის ვადის წარმოშობის საფუძველია უფლების დარღვევა, თუმცა ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება უკავშირდება სუბიექტურ ფაქტორს, ანუ იმ მომენტს, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლებების დარღვევის – ზიანის დადგომისა და ზიანის მიმყენებლის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, ზიანის დადგომის შესახებ მოსარჩელისათვის ცნობილი იყო 2004 წლის 21 აგვისტოს მომხდარი ავტომანქანის ტანკსაწინააღმდეგო ნაღმზე აფეთქების შედეგად დაზიანებების მიღების, ორგანიზმის მნიშვნელოვანი ფუნქციების დარღვევისა და შრომის უნარის დაკარგვისთანავე. ვ. ე-ს პირველი ჯგუფის ინვალიდობა დაუდგინდა ტრავმის მიღებიდან მოკლე პერიოდში, კერძოდ, 2004 წლის 19 ნოემბერს. ამდენად, შესაძლებლობის მკვეთრად შეზღუდული ხარისხი, დასახიჩრების შეუქცევადი შედეგი, ჯანმრთელობის მოშლა ორგანიზმის ფუნქციის მყარი და მკვეთრი დარღვევით, აღნიშნულის შედეგად აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა, ცხოვრების წესის და რიტმის შეცვლა, ნერვიული განცდები ტრავმის მიღებისთანავე იყო ცხადი. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საყურადღებოა ის გარემოება, რომ მოსარჩელე ითხოვდა სარჩოსა და სამედიცინო მომვლელის ხარჯების ანაზღაურებას 2004 წლიდან, საქმის მასალების მიხედვით, სარჩელი მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ აღძრულია 2016 წლის 31 მაისს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელიათ ხანდაზმულობის საკითხზე, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ვ. ე-მა 2005 წლის 28 ივლისს მიმართა სასამართლოს და თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობისათვის მის სასარგებლოდ სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის (სურსათ-სანოვაგითა და სახალხო მომსახურების საგნებით უზრუნველყოფისათვის) 2004 წლის სექტემბრიდან უვადოდ, ყოველთვიურად 300 ლა-

რის გადახდის დაკისრება, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის ვ. ე-ის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის – 46695,66 (ორმოცდაექვსი ათას ექვსას ოთხმოცდათხუთმეტი ევრო და სამოცდაექვსი ცენტი) ევროს ეკვივალენტის ლარის სოლიდარულად გადახდის დაკისრება და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის მორალური ზიანის – 1000000 (ერთი მილიონი) ევროს ეკვივალენტი ლარის დაკისრება მოითხოვა, სხვა მოთხოვნები მის მიერ დაყენებული არ ყოფილა.

ამასთან, საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ დაცვას და უქმნის მათ საჭირო პირობებს ინდივიდუალური განვითარების, შემოქმედებით და სწარმოო შესაძლებლობების რეალიზაციისთვის., ამავე კანონის 26.1 მუხლის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებსაც მომვლელი ან დამხმარე სჭირდებათ, სოციალური მომსახურების ორგანოები უნიშნავენ სამედიცინო ან საყოფაცხოვრებო მომსახურებას. აღნიშნული ვალდებულების უზრუნველყოფა საქართველოს მთავრობის 31.12.05წ. №249 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების ნორმების გათვალისწინებით, სწორედ აღნიშნული სამინისტროს უფლებამოსილებას განეკუთვნება. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ სკ-ის 409-ე მუხლის შესაბამისად, ზიანის ფულადი ანაზღაურება დარღვეული უფლების აღდგენის უკანასკნელი ღონისძიებაა, აღნიშნული შესაძლებელია მაშინ, როდესაც ერთი მხრივ შეუძლებელია ზიანის ანაზღაურება მისი ნატურით ან მაშინ, როდესაც ნატურით რესტიტუცია არათანაზომიერად დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს 2004 წლის 24 აგვისტოდან 2016 წლის 31 მაისამდე (სარჩელის აღძვრამდე) სარჩოსა და სამედიცინო მომვლელის ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, ვინაიდან, როგორც საქმის მასალებით დასტურდება, არ იკვეთება ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სასამართლოსადმი მიმართვის, ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების, შეწყვეტის, მატერიალურ და მორალურ ზიანთან ერთად სარჩოსა და სამედიცინო მომვლელის ხარჯების ხანდაზმულობის ვადის ათვისის გამომრიცხავი

გარემოება, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელის მოთხოვნათა ეს ნაწილი პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებათა რიგს განეკუთვნება, რომელზედაც ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინება დაშვებულ ნაწილში და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლომ, თავის მხრივ, საქმის ხელახლა განხილვისას, საკასაციო სასამართლოს მითითებების გათვალისწინებით, საქმეზე უნდა მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინება სარჩოსა და სამედიცინო მომვლელის ხარჯის განვლილ პერიოდზე სრულად ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურების წარმოშობის წინაპირობები

ბანკინება საქართველოს სახელით

№ბს-344-342(2კ-17)

29 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე
ვ. როინიშვილი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლისა და 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ზეპირი განხილვის გარეშე, შეამოწმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის საკასაციო საჩივრების დასაშვებობის საფუძველების არსებობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 11 იანვრის განჩინების გაუქმების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 22 იანვარს ფ. ჭ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ.

მოსარჩელემ თავდაპირველად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავარი პროკურატურისათვის მის სასარგებლოდ მორალური ზიანის – 20 000 ლარის, ხოლო საბოლოოდ დაზუსტებული სარჩელით – 200 000 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით ფ. ჭ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავარ პროკურატურას ფ. ჭ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 20 000 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს მთავარმა პროკურატურამ, რომლებმაც

გასაჩივრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 11 იანვრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 11 იანვრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს მთავარმა პროკურატურამ, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

კასატორმა – საქართველოს მთავარმა პროკურატურამ განმარტა, რომ 2013 წლის 31 აგვისტოს განცხადების განხილვით არ გამოიკვეთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები. კონკრეტულ დროს კონკრეტული ქმედება უნდა მოიცავდეს იმ სტანდარტის დასაბუთებულ ვერაუდს, რაც გახდება გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი, რასაც აღნიშნულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, არამართებულია სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ პროკურატურამ არ განახორციელა სხვა სახის ღონისძიება საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით, ვინაიდან პროკურატურა მოქმედებდა მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში და კასატორისთვის გაუგებარია სხვა რა ღონისძიება უნდა განხორციელებინა ... რაიონულ პროკურატურას. ამასთან, სასამართლო უთითებს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონზე და მიუთითებს, რომ საქართველოს პროკურატურის მიერ უგულებელყოფილ იქნა ვალდებულება სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირებისა, რაც კასატორის მოსაზრებით ასევე არამართებულია, ვინაიდან პროკურატურის მიერ მოცემულ ფაქტზე მოხდა შესაბამისი რეაგირება.

კასატორის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამავე კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ-

ღვევს თავის სამსახურეობრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. აღნიშნული მუხლების დეფინიცია ცხადყოფს, რომ პირს ზიანი უნდა მიადგეს ქმედების განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობის ბრალის ფორმით, ამასთან, მიზეზობრივი კავშირი უნდა არსებობდეს განხორციელებულ ქმედებას და დამდგარ შედეგს – ზიანს შორის. ასევე მოხელის უკანონო ქმედება, რომელმაც პირისათვის ზიანი გამოიწვია, უნდა გამომდინარეობდეს მოხელის სამსახურეობრივი მდგომარეობიდან ბრალეული, განზრახი ან უხეში გაუფრთხილებელი და უნდა არსებობდეს პირდაპირი და არა სავარაუდო მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

კასატორის მითითებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საკმარისია დადგინდეს ქმედების უკანონობა. პროკურატურის მიერ გამოძიების არ დაწყება არ შეიძლება განმარტებულ იქნეს, როგორც უკანონობა, ზემოთ მითითებული სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით.

კასატორი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უსაფუძვლოდ მიიჩნევს სასამართლოს მსჯელობას თითქოსდა პოლიციის თანამშრომლებმა ვერ შეძლეს მათთვის დაკისრებული მოვალეობის ჯეროვნად შესრულება, პოლიციელთა მხრიდან არ მოხდა შესაბამისი რეაგირება, მოპასუხეებმა არ განახორციელეს კანონით განსაზღვრული შესაბამისი რეაგირება და ვალდებულებები ჯეროვნად, არ გაატარეს სათანადო ღონისძიებები დანაშაულის თავიდან აცილებისა და ს. ჯ-ის მიმართ განხორციელებული სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის აღკვეთისა და სიცოცხლის უფლების დასაცავად.

კასატორის განმარტებით, ს. ჯ-ესა და ს. ც-ის შორის კონფლიქტის ფაქტთან დაკავშირებით 112-ში შეტყობინება განხორციელდა 2013 წლის 31 აგვისტოს. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, ცალსახა და უდავო ფაქტია, რომ პოლიციელთა მხრიდან ფაქტზე რეაგირება მოხდა, ადგილზე მივიდნენ პოლიციელები, ს. ჯ-ესთან შედგენილ იქნა გასაუბრების ოქმი და 2013 წლის 2 სექტემბერს 112-ის შეტყობინება შემდგომი რეაგირებისათვის გადაგზავნილ იქნა ... რაიონულ პროკურატურაში. ს. ც-ეს ჩამოერთვა ხელწერილი იმის თაობაზე, რომ ს. ჯ-ეს არ მიაყენებდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, წინააღმდეგ შემთხვევაში

გაფრთხილებულ იქნა კანონის წინაშე პასუხისმგებლობის თაობაზე, ჩამოერთვა ახსნა-განმარტებები ს. ც-ეს, ს. ჯ-ესა და ადგილზე გამოცხადებულ პოლიციელებს, ხოლო რაც შეეხება 2014 წლის 5 ივლისს ს. ჯ-ის მიერ შს გენერალურ ინსპექციაში განხორციელებულ ზარს, აღნიშნულის საფუძველზე დაუყოვნებლივ განხორციელდა მასთან დაკავშირება იმის გასარკვევად, კონკრეტულ მომენტში ემუქრებოდა თუ არა რამე საფრთხე. აღნიშნულის შემდგომ კვლავ შედგა კავშირი გამოკითხვისა და დეტალების გარკვევის მიზნით, ხოლო შეხვედრა მისივე თხოვნით გადაიდო გარკვეული დროით, რის მიზეზადაც ს. ჯ-ემ დაასახელა გამოცდები და განაცხადა, რომ თვითონ დაუკავშირდებოდა შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, გარკვეული პერიოდის შემდგომ, ვინაიდან ინიციატორმა გათიშა ტელეფონი, ხელახლა მოხდა მასთან დაკავშირება საკონტაქტო ნომრის მოძიების გზით, რაც ასევე დასტურდება შს ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის 2014 წლის 26 სექტემბრის წერილით. ასევე საგულისხმოა ის გარემოება, რომ 2014 წლის 25 ივლისს შსს გენერალური ინსპექციის მიერ ს. ჯ-ეს ჩამოერთვა ახსნა-განმარტება.

შესაბამისად, კასატორის მოსაზრებით, სახეზე არ არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით გთვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. აღნიშნული მუხლის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურობრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. კონკრეტულ შემთხვევაში კი, სახელმწიფო მოსამსახურეთა (პოლიციელთა) მხრიდან არც განზრახ და არც გაუფრთხილებლობით არ ყოფილა სამსახურობრივი მოვალეობის დარღვევის ფაქტი და სასამართლოს მითითება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 407-ე მუხლზე უსაფუძვლოა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები მოქმედებდნენ კანონის სრული დაცვით და სახეზე არ გვაქვს ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 20 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის საკასაციო საჩივრები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრების დასაშვებობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის საკასაციო საჩივრები არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ამომწურავ საფუძვლებს, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები არ არის დასაშვები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

საკასაციო საჩივრები არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით და ამასთან, არ არსებობს საკასაციო საჩივრების განხილვის შედეგად მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გა-

დანყვეტილების მიღების ვარაუდი. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ასევე არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ამასთან, საქმის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორები ვერ ასაბუთებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით. კასატორები საკასაციო საჩივრებში ვერ აქარწყლებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და დასკვნებს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ, #7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

საკასაციო სასამართლო იზიარებს მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ამ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეთებულ სამართლებრივ შეფასებებს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელე ფ. ჭ-ის შვილი – ს. ჯ-ე 2011 წლის 27 დეკემბრიდან იმყოფებოდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში ს. ც-ესთან, რომელიც იყო შსს ... რაიონული სამმართველოს თანამშრომელი. 2013 წლის 31 აგვისტოს ს. ც-ე მივიდა ს. ჯ-ესთან და მიაყენა მას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, აღნიშნული ფაქტის შესახებ ს. ჯ-ემ აცნობა პოლიციას. 2013 წლის 31 აგვისტოს ს. ჯ-ემ მიმართა ... რაიონულ პროკურატურას განცხადებით და აცნობა ს. ც-ის მიერ განხორციელებული მუქარისა და შეურაცხყოფის ფაქტის შესახებ. 2013 წლის 12 სექტემბერს ... რაიონულმა პროკურატურამ აცნობა ს. ჯ-ეს, რომ 2013 წლის 31 აგვისტოს შეტყობინების საფუძველზე გამოძიება არ დაწყებულა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. 2014 წლის 5 ივლისს ს. ჯ-ე იმყოფებოდა ... და ასეირნებდა შვილს. მასთან მივიდა ყოფილი მეუღლე ს. ც-ე და ბავშვი წაიყვანა. ბავშვის წაყვანის შემდეგ ს. ც-ე

ტელეფონით დაუკავშირდა ს. ჯ-ეს და მიაყენა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა. მოგვიანებით, ს. ჯ-ესთან მივიდა ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ს. ც-ე და ქუჩაში კვლავ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ასევე ემუქრებოდა. აღნიშნული ფაქტის შესახებ ს. ჯ-ემ აცნობა სატელეფონო შეტყობინებით შსს გენერალურ ინსპექციას, ასევე ითხოვდა დახმარებას და ს. ც-ისაგან მოსალოდნელი საფრთხისაგან დაცვას. 2014 წლის 5 ივლისს ს. ც-ის მიერ ს. ჯ-ეზე განხორციელებული ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით ს. ჯ-ეს ახსნა-განმარტება ჩამოართვეს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში 2014 წლის 25 ივლისს. 2014 წლის 25 ივლისს ს. ც-ე პარკში დახვდა ს. ჯ-ეს და ტაბელური იარაღიდან გასროლის შედეგად მოკლა.

საქართველოს კონსტიტუციის 42.9 მუხლის საფუძველზე ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან, ხოლო სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა პირის სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ წესს ადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე-209-ე მუხლები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა ხორციელდება მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა, ხოლო თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში, უფლებამოსილი პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც. ამასთან, მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისგან დამოუკიდებლად.

ზიანი ანაზღაურდება რეალურად არსებული, დამდგარი საზიანო შედეგისათვის, აუცილებელია პირდაპირი არსებობის კონკრეტულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა ანუ ქმედება უშუალო წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს დამდგარი შედეგისათვის. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია პირდაპირი და უშუალო მიზეზობრივი კავშირის არსებობა ადმინისტრაციული ორგანოების – საქართველოს პროკურატურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მათთვის კანონით დაკისრებული ვალდებულებების სათანადოდ

შეუსრულებლობას – არადროული რეაგირების გამო პირის სიცოცხლის უფლების ხელყოფას შორის, როდესაც დადგენილია, რომ ს. ჯ-ე მიმართავდა როგორც შსს-ს, ისე პროკურატურის ორგანოებს მის მიმართ ს. ც-ის მხრიდან განხორციელებული მუქარის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტების და მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ და ითხოვდა დახმარებას, ხოლო აღნიშნულმა ორგანოებმა არა თუ არ უზრუნველყვეს მისი სიცოცხლის დაცვა მოძალადისგან, არამედ არ განახორციელეს ყველა ის კანონით განსაზღვრული ქმედება და პროცედურა, რაც შეამცირებდა ს. ც-ისგან მომდინარე საფრთხეს. სახეზეა ს. ჯ-ის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3, მე-8 მუხლების დარღვევა, იმდენად, რამდენადაც სახელმწიფო ორგანოებმა მიუხედავად მათი ინფორმირებულობისა, არ მიიღეს ყველა გონივრული ღონისძიება ს. ჯ-ის ხელშეუხებლობის დასაცავად, არ მოახდინეს მის მიმართ განხორციელებული არაადამიანური მოპყრობის გამოძიება და პასუხისმგებელი პირის დასჯა, რაც გახდა ს. ჯ-ის მკვლელობის მიზეზი.

ამასთან, ოჯახის წევრების დაკარგვის გამო მორალური ზიანის ანაზღაურების პრაქტიკას ადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. საქმეზე „ჩელებილექი თურქეთის წინააღმდეგ“ (განაცხადი №27693/95) სასამართლომ გარდაცვლილი პატიმრის ოჯახის წევრებს: ძმას, გარდაცვლილის ქვრივსა და ბავშვებს მიანიჭა კომპენსაცია ოჯახის წევრის დაკარგვით განცდილი მორალური ზიანის გამო. ასევე საქმეზე „ფინოგენოვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ“ (განაცხადი №18299/03). საქმეში „მახარაძე და სიხარულიძე საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადი №5608-05) სასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე გამოტანილი დასკვნების გათვალისწინებით ჩათვალა, რომ განმცხადებლებმა გადაიტანეს ტანჯვა და იმედგაცრუება, რადგან მოპასუხე სახელმწიფომ არ დაიცვა თავისი ქვეყნის მოქალაქე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ხოლო საკასაციო საჩივრებს – წარმატების პერსპექტივა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგლამენტირებული არც ერთი საფუძველი, რის გამოც საკასაციო საჩივრები არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 11 იანვრის განჩინება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურების წარმოშობის წინაპირობები

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-372-369(კ-17)

29 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

ვ. როინიშვილი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლისა და 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ზეპირი განხილვის გარეშე, შეამონმა გ. ნ-ის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლების არსებობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 თებერვლის განჩინების გაუქმების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 18 სექტემბერს გ. ნ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმ-

მეთა კოლეგიას, მოპასუხის – თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიმართ.

მოსარჩელემ მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილების აღუსრულებლობით მიყენებული ზიანის – 70 000 აშშ დოლარისა და სარჩელის აღძვრიდან (2015 წლის სექტემბრიდან) გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილების აღსრულებაზე ყოველთვიურად 1000 აშშ დოლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 14 აპრილის საოქმო განჩინებით საქმეში მოპასუხედ ჩაერთო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიურო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით გ. ნ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ნ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 თებერვლის განჩინებით გ. ნ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ნ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს გადაწყვეტილება არის ზოგადი და ტრაფარეტული ხასიათის იმ თვალსაზრისით, რომ მხოლოდ ციტირებას შეიცავს საქართველოს კანონმდებლობისა და დაწვრილებით არის მოყვანილი ციტატები კანონიდან, თუმცა მის მიერ სასამართლო სხდომაზე გაჟღერებულ და თავად სარჩელში მითითებულ გარემოებებზე სასამართლომ საერთოდ ვერ გასცა დამაჯერებელი და არგუმენტირებული პასუხი. უფრო მეტიც, იგი სასამართლოს ყურადღებას მიაპყრობდა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე, რომ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღუსრულებლობა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარ-

ღვევას წარმოადგენდა.

კასატორის მითითებით, მოპასუხე კეთილსინდისიერად არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და არ ცდილობს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას. ნ. მ-ემ 2015 წლის 7 ივლისს განცხადებით მიმართა თბილისის სააღსრულებო ბიუროს და აცნობა, რომ მის სახელზე არანაირი ქონება არ ირიცხებოდა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნდა. აღმასრულებელმა არ გამოიკვლია თუ სად ცხოვრობდა ფაქტობრივად მოვალე ნ. მ-ე და დასჯერდა მის განცხადებას. კასატორის მოსაზრებით, აღმასრულებელს უნდა მოეძია ინფორმაცია შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურებიდან ნ. მ-ე ხომ არ იყო ბენეფიციარი უსახლკარო პირთათვის განკუთვნილი სოციალური სახლისა. კასატორის მითითებით, ნ. მ-ეს აქვს საცხოვრებელი ადგილი, მას ჰყავს ორი შვილი, აღნიშნული გარემოება კი უნდა დაედგინა აღმასრულებელს.

კასატორის განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის შესაბამისად სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება არის სავალდებულო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული გ. ნ-ის საკასაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ნ-ის ნ-ის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ამომწურავ საფუძვლებს, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე სა-

ქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით და ამასთან, არ არსებობს საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების ვარაუდი. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ასევე არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ამასთან, საქმის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით. კასატორი საკასაციო საჩივარში ვერ აქარწყლებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და დასკვნებს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯღარკავა საქართველოს

წინააღმდეგ, №7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანია მოპასუხეებისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილების აღსრულებლობით მიყენებული ზიანის – 70 000 აშშ დოლარისა და სარჩელის აღძვრიდან (2015 წლის სექტემბრიდან) გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად 1000 აშშ დოლარის ანაზღაურების დაკისრება. მოსარჩელე დავის საგნისადმი კანონიერ ინტერესს ასაბუთებს იმ საფუძველზე, რომ თბილისის სააღსრულებო ბიურო კეთილსინდისიერად არ ასრულებს თავის მოვალეობებს გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, რის გამოც მას მიადგა ზიანი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ამ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეთებულ სამართლებრივ შეფასებებს და მიიჩნევს, რომ სასამართლომ არსებითად სწორად გადაწყვიტა მოცემული დავა. წარმოდგენილი მასალების მიხედვით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს საქმიანობაში არ ვლინდებოდა კანონსაწინააღმდეგო ქმედების ნიშნები, რის გამოც სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ ზიანის ანაზღაურების პირობები არ არსებობდა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, აღმასრულებლის მიერ განხორციელებულ იქნა შემდეგი ქმედებები: მოვალე ნ. მ-ეს გაეგზავნა 2015 წლის 20 მაისის №... წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ, ამავე წერილით მოვალე ნ. მ-ეს გაეგზავნა ინფორმაცია სააღსრულებო წარმოების მხარეთა უფლებების და სააღსრულებო წარმოების განხორციელების პროცედურების შესახებ; ვინაიდან დოკუმენტი ადრესატს არ ჩაბარდა, წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ გამოქვეყნდა საჯაროდ www.nbe.gov.ge-ზე; აღმასრულებელმა 2015 წლის 20 მაისის №... წერილით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა ინფორმაცია ნ. მ-ის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების თაობაზე, ასევე, მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან ინფორმაცია – იყო თუ არა მოვალე რეგისტრირებული მენარმე-გადამხდელად, ფლობდა თუ არა წილს კომერციულ საწარმო-დანესებულებებსა და ორგანიზაციებში, ვინ იყო საწარმოს პარტნიორები და წარმო-

მადგენლობაზე უფლებამოსილი პირები; 2015 წლის 21 მაისის №... წერილით მიმართა ბანკებს და მოითხოვა მოვალე ნ. მ-ის ანგარიშების შესახებ ინფორმაცია, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში, მათზე აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დადებული ყადაღის რეგისტრაცია; 2015 წლის 20 მაისს შეადგინა ქონებრივი ნუსხის წარდგენის თაობაზე №... შეტყობინება, რომლითაც მოვალე ნ. მ-ეს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის საფუძველზე დაავალა სააღსრულებო ბიუროსათვის წარედგინა წერილობითი ინფორმაცია მისი ქონების შესახებ (როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში); შუამდგომლობით მიმართა გორის რაიონული სასამართლოს მოვალე ნ. მ-ის ძებნის გამოცხადების მოთხოვნით; ნ. მ-ის პირადად გადაეცა 2015 წლის 20 მაისის №... შეტყობინება ქონებრივი ნუსხის წარდგენის თაობაზე; მოვალე შეყვანილ იქნა მოვალეთა რეესტრში.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებიდან გამომდინარე დადგენილად მიიჩნევს, რომ აღმასრულებლის მიერ გატარებულ იქნა თანხის გადახდევინების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება, თუმცა მოვალის ქონების (მათ შორის მოძრავი ქონების) მოძიება ვერ მოხერხდა.

საკასაციო სასამართლო საქართველოს კონსტიტუციის 42.9 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურების უფლება სახელმწიფო სახსრებიდან ყველასთვის გარანტირებულია. ხოლო სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა პირის სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ წესს ადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-209-ე მუხლები.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით, იქედან გამომდინარე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო-პირის ანალოგიური ქმედებისაგან, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო

კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

ამდენად, მოქმედი კანონმდებლობა ადგენს საჯარო მოხელის ქმედებით ან გადაწყვეტილებით მიყენებული ზიანის სახელმწიფოს მხრიდან ანაზღაურების ვალდებულებას. ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის კი აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა: ქმედება, რამაც ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოშვა, დაკავშირებული უნდა იყოს საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან, ამ უფლებამოსილების განხორციელების პროცესში დაშვებული დარღვევა მიმართული უნდა იყოს სხვა პირის უფლებების შელახვისკენ, სახეზე უნდა იყოს ზიანის მიმყენებლის ბრალი და მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი. საქმის მასალების შესაბამისად, კი არ დასტურდება სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს ბრალეული ქმედებით მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტი.

ამასთან, როგორც საქმის მასალებით დასტურდება, მოვალე რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში და საქმეს მინიჭებული აქვს პასიურის სტატუსი. სააღსრულებო ფურცელი ისევ სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ხოლო საკასაციო საჩივარს – წარმატების პერსპექტივა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგლამენტირებული არც ერთი საფუძველი, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დაადგინა:

1. გ. ნ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 თებერვლის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურების წარმოშობის საფუძვლები

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-445-442(2კ-17)

20 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლისა და 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ზეპირი განხილვის გარეშე, შეამონმა ბ. მისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრების დასაშვებობის საფუძვლების არსებობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 23 მაისს ბ. მ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის ზიანის სახით – 20 860 აშშ დოლარის (ექვივალენტი ლარის), მის მიერ წარმომადგენლისათვის განეული ხარჯების, ასევე აუდიტორული (საექსპერტო) მომსახურებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ცნობების გამოთხოვისათვის განეული ხარჯის ანაზღაურე-

ბის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით ბ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მოსარჩელე ბ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მიყენებული მატერიალური ზიანის 18 000 ლარის ოდენობით ანაზღაურება; მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მოსარჩელე ბ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მის მიერ გადახდილი აუდიტორული მომსახურეობისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ეროვნული სააგენტოდან ცნობების გამოთხოვისათვის გაწეული ხარჯის – 160 ლარის ანაზღაურება; ხოლო დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბ. მ-ემ, რომელმაც სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით ბ. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ბ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 15 996 ლარის გადახდა; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ბ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მის მიერ გადახდილი აუდიტორული მომსახურეობისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ეროვნული სააგენტოდან ცნობების გამოთხოვისათვის გაწეული ხარჯის ნახევარი – 80 ლარის ანაზღაურება; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ და ბ. მ-ემ.

კასატორი – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სა-

კასაციო საჩივრით ითხოვდა სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

კასატორი – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სა-კასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები, ამდენად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებისას, მან არასწორად დაადგინა მიზეზობრივი კავშირის არსებობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებულ რეგისტრაციებსა და დამდგარ შედეგს შორის.

კასატორი მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 412-ე მუხლებზე და განმარტავს, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ერთდროულად არსებობს ოთხი პირობა: 1. სახეზე უნდა იყოს ზიანი; 2. მიყენებული ზიანი უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო; 3. უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი პირის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის; 4. ზიანის მიმყენებელს ბრალი უნდა მიუძღოდეს ზიანის მიყენებაში.

კასატორის მითითებით, საჯარო რეესტრის მიმართ სარჩელის საფუძვლიანობის შემოწმების დროს სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მარეგისტრირებულ ორგანოში დაცული არ ყოფილა გ. მ-ის (პირის, რომელმაც დაუთმო ბ. მ-ეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება) 300 კვ.მ მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა, რაც არ იძლეოდა უძრავი ნივთის იდენტიფიცირების საშუალებას. კონკრეტულ შემთხვევაში გ. მ-ის საკუთრების უფლების რეალიზაციას ხელი შეეშალა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ უძრავი ნივთის განკარგვისა და მისი სხვა ფიზიკური პირის საკუთრებაში მოქცევის გამო. სააპელაციო სასამართლოს საფუძვლიანად უნდა შეემოწმებინა იკვეთებოდა თუ არა დამდგარ შედეგში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბრალი, რომელიც წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების აუცილებელ წინაპირობას.

ამასთან, სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა ის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოება, რომ გ. მ-ეს მიმართული ჰქონდა სასამართლოსათვის აუქციონის შედეგებისა და იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნით, რომლითაც მოხდა მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია ჯერ ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის (№...), შემდგომ კი თ. გ-ის საკუთრებაში (№...). კასატორის მითითებით, ცნობილია, რომ ვინაიდან მან

არ აღმოფხვრა სარჩელზე დადგენილი ხარვეზი, მისი სასარჩელო მოთხოვნები დარჩა განუხილველი. ამდენად, არ მომხდარა სასამართლოს გზით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მართლწინააღმდეგობის დადგენა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ იმსჯელა ზიანის დაკისრების საკითხზე, იმ პირობებში, როდესაც სათანადო წესით დადგენილი არ ყოფილა რეგისტრირებული მონაცემების უკანონობა. შესაბამისად, სახეზე არ არის მართლწინააღმდეგობა, როგორც ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობა.

გარდა ამისა, კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიქმნა ერთგვარი სამართლებრივი ლაფსუსი, ვინაიდან მან საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დააკისრა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, იმ პირობებში, როდესაც ძალაშია როგორც თ. გ-ის (რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველისგან გადაეცა საკუთრების უფლება), ასევე თავად გ. მ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია, რომელმაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება დაუთმო მოსარჩელე ბ. მ-ეს.

კასატორის განმარტებით, სასამართლოს უნდა შეეფასებინა გ. მ-ის/ უფლებამონაცვლე ბ. მ-ის ქმედება (მათ შორის უმოქმედობაც), რამდენად იყო მიზეზობრივ კავშირში ზიანის დადგომასთან, შესაბამისად, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 415-ე და 1005-ე მუხლები.

კასატორი – ბ. მ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვდა მისი სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას. კასატორის განმარტებით, საჯარო რეესტრს ჰქონდა ვალდებულება აენაზღაურებინა ზიანი იმ მომენტიდან, რა მომენტიდანაც მან განახორციელა ზიანის მომტანი ქმედება, მიუხედავად იმისა, გამოიყენებდა თუ არა კრედიტორი მის ხელთ არსებულ მოთხოვნის უფლებას ან როდის გამოიყენებდა მას. სსკ-ის 408-ე-409-ე მუხლების შესაბამისად, საჯარო რეესტრს წარმოეშვა არა თანხის გადახდის ვალდებულება, არამედ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება – პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ვალდებულება და იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი არ მოითხოვდა ვალდებულების შესრულებას კონკრეტულ მომენტში მოვალეს შეეძლო მისი შერჩევით აენაზღაურებინა ზიანი ნებისმიერ მომენტში, მაშინ როდესაც ეს მისთვის იქნებოდა ყველაზე ხელსაყრელი. კრედიტორმა საჯარო რეესტრს მოთხოვნა წაუყენა 2014 წელს, მან მოითხოვა საჯარო რეესტრისათვის ნაკვეთის მიმდინარე საბაზრო ღირებულების ანაზღაურება ანუ იმ ღირებულების, რომლის მიღების შემთხვევაშიც ის შეძლებდა ჩაენაცვლებინა მიღებული თანხით დაკარგულის მსგავსი თვისებებით შემკუ-

ლი ნაკვეთი. კასატორის განმარტებით, იმისათვის, რომ აღდგეს პირვანდელი მდგომარეობა აუცილებელია, რომ ბ. მ-ის მიერ მისაღები კომპენსაცია იძლეოდეს იდენტური ნაკვეთის ყიდვის შესაძლებლობას.

კასატორის განმარტებით, სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტიზა და მის შედეგად მიღებული დასკვნა არ წარმოადგენდა საქმისათვის მნიშვნელოვანი რომელიმე გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებას, ვინაიდან, ექსპერტმა ქონება შეაფასა 2010 წლის მდგომარეობით, ხოლო ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავდა მიყენებული ზიანის ობიექტურ ღირებულებას არის შპს „...“ მიერ მომზადებული აუდიტორული დასკვნა, რომლის თანახმად, ნაკვეთის საბაზრო ღირებულება შეადგენს 20 860 აშშ დოლარს.

ამასთან, კასატორის განმარტებით, მოპასუხეს არ დაეკისრა იურიდიული მომსახურების ხარჯი, რომელიც ფაქტობრივად თითოეულ ინსტანციაში უდრიდა 1500 ლარს. იგი ვერ წარმოადგენდა გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, ვინაიდან, გადახდის მოთხოვნის უფლება წარმოიშვება სასამართლოს პროცესის სრულად დასრულების შემდეგ, მაგრამ თავისთავად ვალდებულების არსებობა ნიშნავს მხარის ქონებრივ დანაკლისს, რომელიც ექვემდებარება ანაზღაურებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 29 მაისისა და 27 ივნისის განჩინებებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ბ. მ-ისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრების დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ბ. მ-ისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრები არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დასაშვებობის ამომწურავ საფუძვლებს, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომ-

ლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები არ არის დასაშვები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

საკასაციო საჩივრები არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით და ამასთან, არ არსებობს საკასაციო საჩივრების განხილვის შედეგად მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების ვარაუდი. სააპელაციო სასამართლოს საჩივრებული გადაწყვეტილება ასევე არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ამასთან, საქმის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორები ვერ ასაბუთებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით. კასატორები საკასაციო საჩივრებში ვერ აქარწყლებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და დასკვნებს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ, №7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

საკასაციო სასამართლო იზიარებს მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ამ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეთებულ სამართლებრივ შეფასებებს და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არსებითად სწორად გადაწყვიტა მოცემული დავა.

განსახილველ შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებით დასტურდება, სარჩელის საგანს წარმოადგენს მოსარჩელის – ბ. მ-ის სასარგებლოდ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება, იმ საფუძველით, რომ მარეგისტრირებული ორგანოს ქმედებით მას მიაღდა ზიანი, კერძოდ, მარეგისტრირებულმა ორგანომ ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების საქალაქო სამსახურის 2010 წლის 17 თებერვლის განცხადების საფუძველზე მოახდინა თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლების რეგისტრაცია უძრავ ნივთზე მდებარე – ქ. თბილისი, ..., რომელიც წარმოადგენდა მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას.

საკასაციო სასამართლო საქართველოს კონსტიტუციის 42.9 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურების უფლება სახელმწიფო სახსრებიდან ყველასთვის გარანტირებულია. ხოლო სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა პირის სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ წესს ადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-209-ე მუხლები.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით. იქედან გამომდინარე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში

დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი ქმედების უშუალო შედეგს, ანუ უნდა არსებობდეს ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებასა (მოქმედება ან უმოქმედობა) და დამდგარ შედეგს (ზიანი) შორის პირდაპირი და უშუალო მიზეზობრივი კავშირი. პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემთა მიმართ მოქმედებს უტყუარობის პრეზუმფცია, ვიდრე ისინი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად არ იქნება ცნობილი. ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, მარეგისტრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებენ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე. ისინი პასუხისმგებელი არიან მხოლოდ რეგისტრირებული მონაცემებისა და მათთან დაკავშირებული სარეგისტრაციო თუ სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშეხაბამისობასა და უსაფრთხოებაზე.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ გ. მ-ის სახელზე 2007 წლის 31 იანვარს საკუთრების უფლებით აღრიცხული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 300 კვ.მ (დაუზუსტებელი) მიწის ნაკვეთი (... საკრებულო ..., სარეგისტრაციო ზონა: ..., კოდი: ..., სექტორი: კოდი: ..., კვარტლის №..., ნაკვეთის №..., სარეგისტრაციო კოდი №...) და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2010 წლის 24 თებერვალს თვითმმარ-

თველი ერთეულის საკუთრებაში რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 298 კვ.მ მიწის ნაკვეთი (თბილისი, ..., საკადასტრო კოდი №...), რომელიც შემდგომში ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 10 მაისის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობისა (№ა-161) და 2011 წლის 11 თებერვლის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (№18-6-431) საფუძველზე საკუთრებაში გადაეცა თ. გ-ს არის ერთი და იგივე მიწის ნაკვეთი.

დ. მ-ე საკუთრების უფლებით ფლობდა 0,08 ჰა მიწის ნაკვეთს, საკადასტრო კოდით №... (14.09.2006 მიწის (უძრავი ქონების) სააღრიცხვო ბარათი). მითითებული მიწის ნაკვეთის ნაწილი საკუთრების უფლებით შეიძინა გ. მ-ემ, რის საფუძველზეც 2007 წლის 31 დეკემბერს საჯარო რეესტრმა გასცა ამონაწერი, რომლითაც დასტურდება გ. მ-ის საკუთრების უფლება 300 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით №..., ხოლო ამავე თარიღის ამონაწერით დ. მ-ის საკუთრებაში დარეგისტრირდა 500 კვ.მ მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით №.... მიწის (უძრავი ქონების) ნაკვეთების საკადასტრო კოდით №... და №... წინა ნომრად მითითებულია №.... გ. მ-ის უძრავი ქონება, ასევე მისი მომიჯნავე დ. მ-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი დარეგისტრირებულ იქნა მარეგისტრირებელ ორგანოში 2007 წლის 31 იანვარს. თბილისის თვითმმართველობის ორგანოს მიერ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით №... საკუთრების უფლება რეგისტრირებულია 2010 წლის 24 თებერვალს. ამასთან, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აღნიშნული მიწის ნაკვეთი (მითითებული საკადასტრო კოდით) აღრიცხულ იქნა დ. მ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდით №...) მომიჯნავედ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ ვინაიდან გ. მ-ის კუთვნილ უძრავ ქონებაზე მარეგისტრირებელმა ორგანომ შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის გარეშე დაარეგისტრირა სხვა პირის საკუთრების უფლება, რასაც შედეგობრივად მოჰყვა გ. მ-ის საკუთრების უფლების გაუქმება, რამდენადაც სხვა პირზე უფლების რეგისტრაციით მოისპო გ. მ-ის საკუთრების უფლების ობიექტი, სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ თავისი ქმედებით (გ. მ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე სხვა პირის უფლების რეგისტრაციით) განახორციელა მართლსაწინააღმდეგო ქმედება. შესაბამისად, ქმედება უშუალო წინაპირობას წარმოადგენს დამდგარი შედეგისათვის და სახეზეა მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ გ. მ-ისთვის ზიანის მიყენების ფაქტი, რაც ექვემდებარება

რება ანაზღაურებას.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას ზიანის ანაზღაურების შემცირებასთან მიმართებაში და აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ზიანის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება საჯარო და კერძო პირის ინტერესების შეფასების საფუძველზე.

რაც შეეხება ბ. მ-ის საკასაციო პრეტენზიას წარმომადგენლისათვის განუხლები ხარჯის ანაზღაურების თაობაზე, საკასაციო სასამართლო ამ შემთხვევაშიც იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის ადვოკატის დახმარების საფასურის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ხოლო საკასაციო საჩივარს – წარმატების პერსპექტივა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრების დასაშვებობის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგლამენტირებული არც ერთი საფუძველი, რის გამოც საკასაციო საჩივრები არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილზე და აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შემთხვევაში პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს საკასაციო საჩივარზე 2017 წლის 26 ივნისს გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარის ოდენობით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი – 210 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილით და

დაადგინა:

1. ბ. მ-ისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება;

3. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე 2017 წლის 26 ივნისს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის 70 პროცენტი – 210 ლარი;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება

ბანჩინება საქართველოს სახელით

№ბს-436-433(კ-17)

13 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლისა და 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ზეპირი განხილვის გარეშე, შეამოწმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძველების არსებობა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 სექტემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 7 ივლისს ე. და ა. ს-ებმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის – საქარ-

თველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქუთაისის საქალაქო სამმართველოს მიმართ.

მოსარჩელებმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტისთვის ე. და ა. ს-ების სასარგებლოდ 1326,547 ლარის, 2500 ევროს, 205 აშშ დოლარის და 25 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვეს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 27 იანვრის განჩინებით მოსარჩელების – ე. და ა. ს-ების სარჩელი მოპასუხე შსს ქუთაისის საქალაქო სამმართველოს მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე განსჯადობის წესის დაცვით განსახილველად გადაეცა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით ე. ს-ის და ა. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტს ე. ს-ის და ა. ს-ის სასარგებლოდ 1326,547 ლარის, 2500 ევროს, 205 აშშ დოლარის და 25 ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 სექტემბრის განჩინებით შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას იმის თაობაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი შეფასება მისცა წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

კასატორი აღნიშნავს, რომ ს-ების კუთვნილი ოქროს ნაკეთო-

ბების და ფულადი თანხის განადგურება არ მომხდარა შსს ქუთაისის საქალაქო სამმართველოს ბრალეული ქმედების შედეგად, არამედ გამოწვეულ იქნა 2009 წლის 24 ივნისს შსს ქუთაისის საქალაქო სამმართველოს შენობაში მომხდარი ხანძრით. კასატორის განმარტებით, შენობაში მომხდარი ხანძრის დროს არ არის გამოკვეთილი მიზეზობრივი კავშირი სამმართველოს ქმედებებსა და დამდგარ შედეგს შორის, ხანძარი არ ყოფილა გამოწვეული სამმართველოს ბრალეულობით, შესაბამისად, კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სამმართველოს მიერ მოქმედების განუხორციელებლობით ანუ უმოქმედობით მიადგა ზიანი ე. და ა. ს-ებს. კასატორის მითითებით, ს-ების კუთვნილი ნივთები ინახებოდა სპეციალურ საცავში. კასატორი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 993-ე მუხლზე მითითებით აღნიშნავს, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი არ არსებობს, ვინაიდან სამმართველოს ბრალეულ ქმედებას ადგილი არ ჰქონია.

კასატორის განმარტებით, ქუთაისის საქალაქო სამმართველოს შენობაში მომხდარი ხანძრის ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება, შესაბამისად, სასამართლო თავისივე გადაწყვეტილებით წინააღმდეგობაში მოდის სადავო ფაქტობრივ გარემოებების დადგენა/ შეფასებისას და სცილდება ადმინისტრაციული წესით საქმის განმხილველი სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებს.

კასატორი არ იზიარებს სასამართლოს მოსაზრებას, რომ ს-ების კუთვნილი ოქროს ნაკეთობები და ფულადი თანხა ინახებოდა საპროცესო ნორმების დარღვევით. ასევე, კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განმარტა სსსკ-ის 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსი და ის ფაქტი, რომ ოქროს ნაკეთობები და ფულადი თანხა არ ინახებოდა ბანკის საცავში, არ წარმოადგენს საპროცესო ნორმების არსებით დარღვევას, ვინაიდან სსსკ-ის 79-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით ნივთიერი მტკიცებულება შეიძლება ინახებოდეს ასევე სხვა ადგილას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 18 მაისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართვე-

ლოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ამომწურავ საფუძვლებს, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით და ამასთან, არ არსებობს საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების ვარაუდი. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ასევე არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის

უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ამასთან, საქმის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით. კასატორი საკასაციო საჩივარში ვერ აქარწყლებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და დასკვნებს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ, №7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

საკასაციო სასამართლო იზიარებს მოცემულ საქმეზე ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ამ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეთებულ სამართლებრივ შეფასებებს და მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არსებითად სწორად გადაწყვიტეს მოცემული დავა.

საქართველოს კონსტიტუციის 42.9 მუხლის საფუძველზე ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან, ხოლო სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა პირის სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ წესს ადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე-209-ე მუხლები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამი-

სად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულა აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, იმისთვის, რომ წარმოიშვას ზიანის ანაზღაურების მოვალეობა, სახეზე უნდა იყოს პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, წარმოშობილი ზიანი, ამასთან, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი. ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სავალდებულო პირობას და გამოიხატება იმაში, რომ პირველი წარმოშობს მეორეს. პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნივთიერი მტკიცებულება ინახება ისეთ პირობებში, რომლებიც გამორიცხავს მის დაკარგვას და მისი თვისებების შეცვლას.

საქმის მასალებით დადგენილია და კასატორიც სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ ა. ს-ის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებული და პროცესის მწარმოებელ ორგანოსთან შენახული ოქროს ნივთების ნაწილი და ფულადი თანხა, რაც სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენის საფუძველზე ექვემდებარებოდა დაბრუნებას, განადგურდა 2009 წლის 24 ივნისს ქუთაისის საქალაქო სამმართველოში მომხდარი ხანძრის შედეგად. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ გამოძიების ორგანოს მხრიდან ვერ იქნა უზრუნველყოფილი მათი, როგორც ნივთიერი მტკიცებულების ისეთ პირობებში შენახვა, რაც გამორიცხავდა განადგურებას, შესაბამისად, სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობდა ადმინისტრაციულ ორგანოზე ზიანის დაკისრების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ხოლო საკასაციო საჩივარს – წარმატების პერსპექტივა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგლამენტირებული არც ერთი საფუძველი, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;

2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 სექტემბრის განჩინება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურება ადმინისტრაციული ორბანოს მიერ

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-818-810(2კ-16)

15 თებერვალი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება; უსაფუძვლო გამდიდრება

აღწერილობითი ნაწილი:

დ. ო-ემ 04.02.2015წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიმართ ქ. თბილისში, ... მდებარე 933 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ღირებულების – 48 516 აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში) ანაზღაურების მოთხოვნით. მოსარჩელემ აგრეთვე მოითხოვა სასაქონლო ექსპერტიზის საფასურის – 101 ლარის, სახელმწიფო ბაჟის, ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის – 1200 ლარის და მიწის ნაკვეთის

აზომებითი ნახაზის შედგენის ხარჯის – 50 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად 12.10.2010წ. აუქციონში გამარჯვების შედეგად შეიძინა ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში რეგისტრირებული ქ. თბილისში, ... მდებარე 933 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და 26.11.2010წ. აღრიცხა თავის სახელზე საჯარო რეესტრში. მოსარჩელის მითითებით დავის წარმოშობამდე დ. ს-ი და ვ. მ-ი ამტკიცებდნენ, რომ აუქციონზე გატანილი მიწის ნაკვეთი იჭრებოდა მათი საკუთრების საზღვრებში, აღნიშნულის შეტყობის შემდეგ დ. ო-ემ წერილობით მიმართა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ჩატარებული აუქციონის ბათილად ცნობისა და თანხის დაბრუნების მოთხოვნით, რაც არ დაკმაყოფილდა. ვ. მ-მა და დ. ს-მა დავა წამოიწიეს სასამართლოში, რაც მათ სასარგებლოდ დასრულდა, სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილებებით ბათილად იქნა ცნობილი აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი და დ. ო-ის სახელზე გაცემული საკუთრების მოწმობა. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ არის ქონების კეთილსინდისიერი შემძენი, მისი ქონებრივი ინტერესების შელახვა მოხდა მოპასუხის ბრალეული ქმედებების შედეგად. შესაბამისად, სზაკ-ის 207-ე, სკ-ის 992-ე, 1005-ე მუხლების საფუძველზე მოპასუხემ უნდა აანაზღაუროს მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება მოთხოვნის წარმოშობის დროისთვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 14.04.2015წ. სხდომაზე დაზუსტდა მოპასუხეთა წრე და მოპასუხეებად დამატებით მიეთითნენ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 08.10.2015წ. გადაწყვეტილებით დ. ო-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხეებს: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დ. ო-ის სასარგებლოდ თანაბარწილად დაეკისრათ 50 000 ლარის გადახდა, მოპასუხეებს დაეკისრათ აგრეთვე დ. ო-ისათვის მის მიერ გადახდილი ბაჟის ნაწილის – 1 116 ლარის, ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის ნაწილის – 516 ლარის და ექსპერტიზის ხარჯის ნაწილის – 43 ლარის ანაზღაურება.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 19.08.2010 წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს განცხადება და ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლება დარე-

გისტირდა ქ.თბილისში, ... მდებარე 933 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ ...). სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ 12.10.2010 წ. ჩატარებულ აუქციონზე აღნიშნული მიწის ნაკვეთი გასხვისდა დ. ო-ეზე. 12.10.2010 წ. გაიცა აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №9-4-248 ოქმი, ხოლო 16.11.2010 წ. გაიცა №... საკუთრების დამადასტურებელი მონმოზა, ნაკვეთი საჯარო რეესტრში აღირიცხა დ. ო-ის საკუთრებად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 17.04.2014 წ. განჩინებით (№ბს-92-90(2-კ-14)) ქ.თბილისის მერიისა და ქ.თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად (დ.ს-ის სასარგებლოდ), ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.11.2013 წ. №3ბ/1053-13 გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 12.10.2010წ. №9-4-248 აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი და დ. ო-ის სახელზე გაცემული საკუთრების მონმოზა დ. ს-ის მიწის ნაკვეთის გადაფარვის ნაწილში (ს.კ. ...). საქართველოს უზენაესი სასამართლოს 24.04.2014 წ. განჩინებით (№ბს-359-349(4კ-13)) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ვ.მ-ის საკასაციო საჩივარი, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 12.08.2010წ. №06-8/8207 წერილი და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 19.08.10წ. №...-03 გადაწყვეტილება, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 12.10.2010 წ. №9-4-248 აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი, №... საკუთრების დამადასტურებელი მონმოზა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 26.11.2010წ №... გადაწყვეტილება ვ.მ-ის საკუთრების გადაფარვის ნაწილში. ამდენად, დ. ო-ეს გაუქმდა საკუთრების უფლება იმ მიწის ნაკვეთზე, რომელიც შეიძინა აუქციონში გამარჯვების შედეგად, შესაბამისად, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ არამართლობიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის შედეგად დ. ო-ეს მიადგა ზიანი.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42.9, სზაკ-ის 207-ე, 208-ე მუხლები ადგენს საჯარო მოხელის ქმედების ან გადაწყვეტილების შედეგად გამონვეული ზიანის სახელმწიფოს მიერ სრულ ანაზღაურებას. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით დასტურდება, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან ადგილი ჰქონდა საჯარო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში კანონის მოთხოვნათა დარღვევას, რამაც გამოიწვია აუქციონში გამარჯვების ოქმისა და თანმდევი შედეგების ბათილად ცნობა. სასამართლომ აღნიშნა, რომ სზაკ-ის მე-60¹ მუხლის მე-4 ნაწილის შესაბა-

მისად, დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს. მოცემულ საქმეზე სახეზეა აღმჭურველი კანონსაწინააღმდეგო აქტები, რომლითაც შეილახა დ. ო-ის კონსტიტუციური – საკუთრების უფლება. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად იქნა ცნობილი, დაინტერესებულ მხარეს, კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთგანონისწორების საფუძველზე უნდა აუნაზღაურდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მიყენებული ქონებრივი ზიანი. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 12.10.2010 წ. №9-4-248 აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის თანახმად, სადავო მიწის ღირებულება განისაზღვრა 27990 ლარით. ამავდროულად, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ 85 141 ლარს შეადგენს. სასამართლომ მიიჩნია, რომ ზიანის ოდენობის განსაზღვრისას უნდა შეფასდეს საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთმიმართება და, ამგვარად, დადგინდეს მათ შორის პროპორცია, რათა ერთმანეთს არ დაუპირისპირდეს კერძო პირისა და საჯარო ინტერესები. საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპის დაცვა ემსახურება საჯარო და კერძო ინტერესის თანაზომიერების დაბალანსების მიზანს, რათა უსაფუძვლოდ არ მოხდეს კერძო ინტერესის დაცვა საჯარო ინტერესის ხარჯზე, ან პირიქით. სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ დ. ო-ესათვის მიყენებული ზიანი გამოწვეულია მოპასუხეთა მიერ განხორციელებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებებითა და კანონსაწინააღმდეგოდ გამოცემული აქტებით, რის გამოც მოსარჩელემ ვერ შეძლო საკუთრების უფლების რეალიზება და შესაბამისი მატერიალური სიკეთის მიღება, თუმცა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება გამოიწვევს კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობის პრინციპის დარღვევას, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და მოპასუხეებს უნდა დაეკისროთ მოსარჩელის სასარგებლოდ თანაბარწილად ზიანის სახით 50 000 ლარის გადახდა, პროპორციულად უნდა ანაზღაურდეს ასევე ექსპერტიზისა და ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯები, გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 08.10.2015წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დ. ო-ემ, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ და სსიპ ქონების მართვის სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.07.2016წ. გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, დ. ო-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით დ. ო-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისრათ დ. ო-ის სასარგებლოდ 111 586 ლარის გადახდა, აგრეთვე სასამართლოს გარეშე ხარჯის: ადვოკატის მომსახურების – 1200 ლარის, აზომვითი ნახაზის შედგენის – 50 ლარის, ექსპერტიზის – 101 ლარის ანაზღაურება. მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისრათ აგრეთვე დ. ო-ის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის – 5 301,58 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მოსაზრება, რომ სარჩელი საფუძვლიანია, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, თუმცა მიუღებლად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ზიანის ოდენობის განსაზღვრის დადგენილი წესი. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ განცდილი ფაქტობრივი ქონებრივი დანაკლისის ოდენობის განსაზღვრა კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობის პრინციპზე დაყრდნობით მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს, რადგან მოსარჩელის მიერ განცდილი ზიანი მომდინარეობს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების დროს ადმინისტრაციულ ორგანოთა არამართლზომიერი ქმედებებიდან, შესაბამისად, სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საქართველოს კონსტიტუციის 42.9 მუხლით დადგენილი პრინციპის შესაბამისად, რომლის მიხედვით ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო ან/და თვითმმართველობის ორგანოთა მიერ მიყენებული ზარალის სრული ანაზღაურების სახელმწიფო სახსრებიდან მიღება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 19.08.2010 წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს განცხადება და ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლება დარეგისტრირდა ქ. თბილისში, ... მდებარე 933 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ

...). სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ 12.10.2010 წ. ჩატარებულ აუქციონზე აღნიშნული მიწის ნაკვეთი გასხვისდა დ. ო-ზე, 12.10.2010 წ. გაცა აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №9-4-248 ოქმი, ხოლო 16.11.2010 წ. გაცემულ იქნა №... საკუთრების დამადასტურებელი მონმობა, რის საფუძველზეც საჯარო რეესტრში აღრიცხა დ. ო-ის საკუთრება. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ დასტურდება დ. ო-ის მიერ საკუთრების მოპოვება კანონის მოთხოვნათა დაცვით. ამასთანავე, ვ. მ-ისა და დ. ს-ის საქმეზე კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილებებით დგინდება, რომ საჯარო უფლებამოსილება მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელდა კანონდარღვევით, რასაც მოჰყვა დ. ო-ის მიერ კანონიერად შექმნილი საკუთრების უფლების ხელყოფა. სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული გარემოება ერთმნიშვნელოვნად წარმოშობს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, ხოლო ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა უპირობოდ არის დაკავშირებული იმ ქონების საბაზრო ღირებულებასთან, რომელზეც მოხდა საკუთრების ხელყოფა.

სასამართლომ არ გაიზიარა ადმინისტრაციულ ორგანოთა მოსაზრება, რომ არ დგინდება ორგანოების მიერ ზიანის წარმოშობი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებების არსებობა და აღნიშნა, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული ორგანოების მიერ უძრავი ქონების საკუთრებაში აღრიცხვისა და შემდგომი გასხვისებისაკენ მიმართული ღონისძიებების შედეგად გამოცემული აქტების ბათილად ცნობა არამართლზომიერების საფუძველით მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ არ მოხდა სადავო მიწის ნაკვეთის უფლებრივი მდგომარეობის საფუძველიანი გამოკვლევა, მისი უფლებრივი ნაკლის დადგენა. სსიპ ქონების მართვის სააგენტომ, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმ უძრავი ნივთის მიმართ განახორციელეს სამართლებრივი ქმედებები, რომელიც წარმოადგენდა სხვა პირთა უფლების ობიექტს.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მოსაზრება, რომ მას გააჩნდა კანონიერი ნდობა სადავო მიწის ნაკვეთის თვითმმართველი ერთეულის სახელზე რეგისტრაციასთან მიმართებით, რადგან რეგისტრაცია განხორციელდა მისი მოთხოვნით, მის მიერვე წარდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტების საფუძველზე, რა დროსაც თვითონ მუნიციპალიტეტი იყო ვალდებული პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით განეხორციელებინა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები და არ დაეშვა მესამე პირთა უფლებების შელახვა. კანონიერი ნდობა გა-

მოირიცხება, თუ მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება. პალატამ მიიჩნია, რომ სადავო სამართალურთიერთობის მონაწილეთაგან კანონიერი ნდობა წარმოეშობა მხოლოდ დ. ო-ეს, რადგან ქონების გასხვისების პროცესში არ დასტურდება მისი მხრიდან რაიმე უკანონო ქმედების განხორციელება.

სზაკ-ის 207-ე, 208-ე, სკ-ის 992-ე, 412-ე მუხლების საფუძველზე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სახეზეა ზიანის ანაზღაურების სავალდებულო წინაპირობები: ზიანი, მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის და ბრალი. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ქმედების მართლსაწინააღმდეგობა გულისხმობს არა მარტო კონკრეტული სამართლებრივი დანაწესების დარღვევას, არამედ ის მოიცავს ისეთ ქმედებებსაც, რომლებიც ეწინააღმდეგება სამართლის ზოგად პრინციპებს და ლახავს სხვათა უფლებებს ან/და თავისუფლებებს. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებიდან დგინდება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა გამოსცნეს ისეთი კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რომლებმაც ზიანი მიაციენეს დ. ო-ის საკუთრების უფლებას, ამასთანავე, თვით ზიანის არსებობის ფაქტს არც ერთი მხარე სადავოდ არ ხდის. სახეზეა ასევე მიზეზობრივი კავშირიც, რადგან რომ არა ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ გამოცემული კანონსაწინააღმდეგო აქტები და მათ მიმართ დ. ო-ის კანონიერი ნდობა, მოპოვებული საკუთრების უფლება იქნებოდა ნამდვილი და არ დადგებოდა ფაქტობრივი ზიანი. რაც შეეხება ადმინისტრაციული ორგანოების ბრალეულობას, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზეა მათი გაუფრთხილებელი მოქმედება, რადგან მათ დაარღვიეს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი აუცილებელი ყურადღებიანობა, სათანადოდ არ გამოიკვლიეს სადავო უძრავი ნივთის უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული ყველა გარემოება და დოკუმენტაცია.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან დ. ო-ემ ადმინისტრაციული ორგანოების მართლსაწინააღმდეგო ქმედებების გამო დაკარგა საკუთრების უფლება მიწის ნაკვეთზე და შესაბამისად ვერ შეძლო სათანადო მატერიალური სიკეთის მიღება, სასამართლოს მიერ რეალიზებული უნდა იქნეს მისთვის საქართველოს კონსტიტუციის 42.9 მუხლით გარანტირებული უფლება და უნდა აუნაზღაურდეს დაკარგული ქონების საბაზრო ღირებულება 13.06.2014 წ. მდგომარეობით (როდესაც უზენაესმა სასამართლომ ბათილად სცნო დ. ო-ის საკუთრების უფლების დამადასტურებელი ოქმი), რაც მოსარჩელის მიერ ჩატარებული სასაქონლო ექსპერ-

ტიზის მიხედვით შეადგენს 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე 52 აშშ დოლარს, მთლიანი მიწის ნაკვეთზე (933 კვ.მ.) – 48 516 აშშ დოლარს (უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების შესახებ ექსპერტიზის დასკვნა მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ).

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტების მოსაზრება იმის შესახებ, რომ ზიანის ოდენობა უნდა განისაზღვროს ქონების ნორმატიული ფასის შესაბამისად და აღნიშნა, რომ სახელმწიფო ორგანოებმა მათივე ბრალით ვერ უზრუნველყვეს დ. ო-ის საკუთრების უფლების დაცვა და მიაყენეს ზიანი, რის შედეგადაც მათ წარმოეშვათ ანაზღაურების ვალდებულება. სამართლიანი წესით ანაზღაურება გულისხმობს არა ნორმატიული ფასით, არამედ საბაზრო ღირებულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურებას, რადგან მოსარჩელემ შეიძინა საკუთრების უფლება მიწის ნაკვეთზე, რომლის საბაზრო ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატებოდა ნორმატიულ ფასს, რაც დასტურდება სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, მას, როგორც მესაკუთრეს, შეეძლო მიეღო სარგებელი შეძენილი უძრავი ნივთიდან, გაესხვისებინა ან გამოეყენებინა იგი სხვაგვარად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.07.2016წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ და სსიპ ქონების მართვის სააგენტომ.

კასატორმა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, არ არსებობდა ადმინისტრაციული ორგანოებისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი, რადგან კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლო გადაწყვეტილებებით არ დადგენილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების არსებობა. მოსარჩელე მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძლად უთითებს სკ-ის 992-ე მუხლს, თუმცა ვერ ასაბუთებს აღნიშნული მუხლით დადგენილი ზიანის ანაზღაურების დაკისრების წინაპირობების არსებობას. არასწორია სასამართლოს მოსაზრება საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიმართ მხოლოდ დ. ო-ის კანონიერი ნდობის არსებობის შესახებ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასაც ჰქონდა კანონიერი ნდობა საჯარო რეესტრის იმ გადაწყვეტილების მიმართ, რომლითაც სადავო მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად, რადგან საკუთრების უფლების რეგისტრაციას ახდენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სარეგისტრაციო სამსახური, რა დროსაც სწავლობს სარეგისტრაციოდ წარდგენილ დოკუმენტაციას, იკვლევს გარემოებებს და ამის შემდგომ

იღებს გადაწყვეტილებას უფლების რეგისტრაციის შესახებ. ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულისათვის უცნობი იყო სადავო მიწის ნაკვეთზე სხვა პირთა უფლების არსებობა, შესაბამისად, იგი უფლებამოსილი იყო „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის 47-ე მუხლის გათვალისწინებით მოეთხოვა სადავო მიწის ნაკვეთის თავის სახელზე აღრიცხვა. მარეგისტრირებელ ორგანოს თავის მხრივ გააჩნდა ვალდებულება სრულყოფილად გამოეკვლია თვითმმართველი ერთეულის მიერ წარდგენილი და საჯარო რეესტრში დაცული დოკუმენტაცია, სრულად შეესწავლა საქმის გარემოებები და შემდგომ მიეღო გადაწყვეტილება საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ, რადგან უპირველესად სწორედ მარეგისტრირებელი ორგანოსათვის არის ცნობილი ყველა მიწის ნაკვეთის ელექტრონული სისტემით აღურიცხაობის შესახებ.

კასატორი მიიჩნევს, რომ პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობების დადასტურების შემთხვევაშიც კი დ. ო-ეს უნდა აუნაზღაურდეს მხოლოდ აუქციონზე სადავო მიწის ნაკვეთის შესაძენად გადახდილი თანხა – 27 990 ლარი და არა ნივთის საბაზრო ღირებულება – 48 516 აშშ დოლარი. ამასთანავე, სააპელაციო პალატა გასცდა სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, რადგან ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა დაიანგარიშა დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის და არა ვალდებულების წარმოშობის დროს არსებული კურსის გათვალისწინებით, რითაც დაარღვია სკ-ის 389-ე მუხლით გათვალისწინებული ნომინალიზაციის პრინციპი.

კასატორი თვლის, რომ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შემთხვევაში დ. ო-ე უსაფუძვლოდ გამდიდრდება, რადგან იგი მიიღებს მიწის ნაკვეთის შესაძენად გაწეულ ხარჯზე გაცილებით მეტ ქონებრივ სიკეთეს. სკ-ის 408-ე, 409-ე მუხლები ზიანის ანაზღაურების წინაპირობების არსებობისას ითვალისწინებენ მხოლოდ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის საჭიროებას. ამასთანავე, სამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით განხორციელდა დ. ო-ის საკუთრების წარმომშობი აქტების ბათილად ცნობა, რაც ძალადაკარგულად გამოცხადებისაგან განსხვავებით გულისხმობს, რომ საკუთრება არც წარმომშობილა, დ. ო-ე არ ყოფილა ნამდვილი სამოქალაქო უფლების მატარებელი, შესაბამისად, დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მოსაზრება უფლების რეალიზაციის და მატერიალური სიკეთის მიღების შესაძლებლობაზე.

კასატორმა, სსიპ ქონების მართვის სააგენტომ საკასაციო საჩივარში აღნიშნა, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 3.6 მუხლის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო არის პასუხისმგებელი რეგისტრირებული მონაცემებისა და მათთან დაცული სარე-

გისტრაციო თუ სხვა დოკუმენტების ურთიერთშესაბამისობაზე, ხოლო ამავე კანონის 23-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, თუ რეგისტრირებული უფლება გამოირიცხავს იმავე უძრავ ნივთზე სარეგისტრაციოდ წარდგენილი უფლების დარეგისტრირებას. ამდენად, სწორედ მარეგისტრირებელი ორგანო იყო ვალდებული თვითმმართველი ერთეულის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციამდე დაედგინა მიწის ნაკვეთზე სხვა უფლების არსებობა. რეესტრის მონაცემთა მიმართ მოქმედი სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ჰქონდა კანონიერი ნდობა საჯარო რეესტრის იმ გადაწყვეტილების მიმართ, რომლითაც მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა თვითმმართველი ერთეულის სახელზე. აუქციონი ჩატარდა კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით, არ არსებობს სკ-ის 1005-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების საფუძვლები, არ დასტურდება სააგენტოს მიერ ზიანის გამომწვევი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების არსებობა. ამასთანავე, თუ სასამართლო მიიჩნევდა, რომ არსებობს ზიანის ანაზღაურების საფუძვლები, დ. ო-ისათვის უნდა მომხდარიყო მხოლოდ აუქციონში ნივთის შესაძენად გადახდილი თანხის და არა ნივთის საბაზრო ღირებულების ანაზღაურება, რათა არ მოხდეს მოსარჩელის უსაფუძვლო გამდიდრება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების და საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 19.08.2010 წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს განცხადება და ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლება დარეგისტრირდა ქ.თბილისში, ... მდებარე 933 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ ...). სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ 12.10.2010 წ. ჩატარებულ აუქციონზე აღნიშნული მიწის ნაკვეთის შემქენი 27 990 ლარის გადახდის სანაცვლოდ გახდა დ. ო-ე, რომლის სახელზე 12.10.2010 წ. გაიცა აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №9-4-248 ოქმი, ხოლო 16.11.2010 წ. საკუთრების დამადასტურებელი №... მოწმობა. აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე 26.11.2010წ. დ. ო-ის საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში აღირიცხა. დ. ო-ის მიერ

აუქციონზე შეძენილი ნაკვეთის მათ ნაკვეთებთან ზედდების გამო ვ. მ-ისა და დ. ს-ის მიერ სადავოდ იქნა გამხდარი თბილისის თვითმმართველი ერთეულის სახელზე, ხოლო შემდგომ დ. ო-ის სახელზე საკუთრებაში მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 17.04.2014 წ. განჩინებით (№ბს-92-90(2კ-14)) ქ.თბილისის მერიისა და ქ.თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად (მონინალმდეგე მხარე: დ.ს-ი), ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.11.2013 წ. გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 12.10.2010წ. №9-4-248 აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი და დ. ო-ის სახელზე გაცემული საკუთრების მონმოზა და დ. ს-ის მიწის ნაკვეთის გადაფარვის ნაწილში (ს.კ. ...). საქართველოს უზენაესი სასამართლოს 24.04.2014 წ. განჩინებით (№ბს-359-349(4კ-13)) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ვ.მ-ის საკასაციო საჩივარი, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 12.08.2010წ. №06-8/8207 წერილი და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 19.08.10წ. ... გადაწყვეტილება, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 12.10.2010 წ. №9-4-248 აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი, №... საკუთრების დამადასტურებელი მონმოზა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 26.11.2010წ №... გადაწყვეტილება ვ.მ-ის საკუთრების გადაფარვის ნაწილში. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით დადგინდა იქნა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიმართვის, თვითმმართველი ერთეულის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილების, აუქციონში გამარჯვების ოქმის, დ. ო-ის სახელზე გაცემული საკუთრების მონმოზისა და შესაბამისად, მათ საფუძველზე განხორციელებული დ. ო-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების არამართლზომიერება. ამასთანავე, საკასაციო პალატამ 24.04.2014 წ. განჩინებაში (№ბს-359-349(4კ-13)) აღნიშნა, რომ დ.ო-ის კანონიერი ნდობა 16.11.10წ. საკუთრების დამადასტურებელი მონმოზის და 12.10.10წ. №9-4-248 ოქმის, როგორც დაპირებისადმი, გამოირიცხება ვ.მ-ის კანონიერი ნდობის დაცვის უპირატესი ინტერესის გათვალისწინებით. ამდენად, კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილებების საფუძველზე, გაუქმდა დ. ო-ის საკუთრების უფლება აუქციონზე შეძენილ მიწის ნაკვეთზე, როგორც ვ. მ-ის ასევე დ. ს-ის მიწის ნაკვეთთან ზედდების ნაწილში, ასევე გაუქმდა დ. ო-ის საკუთრების წარმომშობი უფლებადამდგენი დოკუმენტებიც. კანონ-

ნიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე სარეგისტრაციო სამსახურის 03.06.14წ. №... და 24.07.14წ. №... გადაწყვეტილებებით გაუქმდა დ. ო-ის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლოების კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით დადგენილია საჯარო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ადმინისტრაციული ორგანოების მიერ კანონის მოთხოვნათა დარღვევა, ნაკვეთის უფლებრივი მდგომარეობის არასაკმარისი გამოკვლევა-შეფასება. მართებულია სააპელაციო პალატის მოსაზრება მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების კანონიერი ნდობის გამორიცხვის შესახებ, რადგან სზაკ-ის 60¹.5 მუხლის თანახმად, კანონიერი ნდობა არ არსებობს, თუ მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება. განსახილველ შემთხვევაში, კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილებებით დადასტურებულია მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ გამოცემული აქტების უკანონობა. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორების მოსაზრებას სარეგისტრაციო დოკუმენტაციის გამოკვლევის მხოლოდ და მხოლოდ საჯარო რეესტრის ექსკლუზიური ვალდებულების შესახებ, რადგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და სსიპ ქონების მართვის სააგენტოზე, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოებზე, ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება, მათ შორის საქმიანობის კანონიერების, მტკიცებულებათა მოძიების, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი გამოკვლევის მოთხოვნები (სზაკ-ის 96-ე, 53-ე მუხ.).

ამასთანავე, არ არის დასაბუთებული სააპელაციო პალატის მოსაზრება დ. ო-ის მიერ კანონიერი საფუძვლებით შექმნილ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ხელყოფის შესახებ, დაუსაბუთებელია აგრეთვე სააპელაციო პალატის მოსაზრება პირვანდელი მდგომარეობის, კერძოდ, ნივთზე საკუთრების უფლების აღდგენის შეუძლებლობის გამო, მოსარჩელისათვის უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების ფულადი ანაზღაურების მიცემის თაობაზე. სკ-ის 408-ე მუხლის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. სააპელაციო პალატის გასაჩივრებულ განჩინებაში არ არის დასაბუთებული, თუ რატომ არის ნაკვეთის შესაძენად გადახდილ თანხაზე ჯერადობით მეტი თანხის გადახდის დაკისრება მოპასუხეებზე კანონიერი და რატომ არის დაუშვებელი პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა ჩატარებულ აუქციონზე მო-

სარჩელის მიერ გადახდილი თანხის დაბრუნებით (ქ. თბილისის მე-რიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 12.10.10წ. №9-4-248 აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის მიხედვით მინის ნაკვეთის ღირებულება 27900 ლარს შეადგენდა), მით უფრო, რომ არ დასტურდება მოსარჩელის მიერ უძრავი ქონების კეთილმონყობისათვის ხარჯების განევა, არსებითი გაუმჯობესება, ხოლო წინა დავებში მინის ნაკვეთების მესაკუთრეებს აღძრული სარჩელეებით არ დაუსვიათ მიუღებელი სარგებლის დაკისრების, ზიანის ანაზღაურების საკითხი. გასაჩივრებული გადანყვეტილების კანონიერებას არ ადასტურებს და მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს არ ქმნის სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ დ. ო-ემ აღმინისტრაციული ორგანოების მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისა და აქტების გამო დაკარგა საკუთრების უფლება მინის ნაკვეთზე. სააპელაციო პალატას ყურადღების მიღმა რჩება ის, რომ, სახელდობრ, აღმინისტრაციული ორგანოების მიერ დაშვებული დარღვევების შედეგად მოხდა კერძო პირების საკუთრებაში მყოფი მინის ნაკვეთების დ. ო-ის სახელზე აღრიცხვა, სწორედ აღნიშნული დასტურდება საქმის მასალებით, კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლო გადანყვეტილებებით.

დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ დ. ო-ემ საკუთრების უფლება შეიძინა კანონიერად, რადგან კანონიერ ძალაში მყოფი გადანყვეტილებებით დადასტურებულია თვითმმართველი ერთეულის სახელზე საკუთრების აღრიცხვის არამართლობიერება, ბათილად არის ცნობილი შესაბამისი სარეგისტრაციო ჩანაწერი, დადგენილია, რომ უძრავი ნივთი განიკარგა არაუფლებამოსილი პირის მიერ, რაც ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს განკარგვის კანონშესაბამობას. ამასთანავე, მხოლოდ განკარგვის არამართლობიერება თავისთავად არ იწვევს მის ბათილად ცნობას, სანივთო უფლების კეთილსინდისიერი შექმნა, ობიექტურად არამართლობიერი ხასიათის მიუხედავად, საკანონმდებლო დაცვას მოკლებული არ არის. კეთილსინდისიერი არამართლობიერი შემქმენი მიიჩნევა ნივთზე უფლებამოსილ პირად სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეების ინტერესების დაცვის მიზნით. კეთილსინდისიერად არ მიიჩნევა შემქმენი, თუ მისთვის ცნობილია ისეთი გარემოებები, რომლებიც ბრუნვის საშუალო მონაწილეს ეჭვს აღძვრავდა უფლების ნამდვილობასთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით მოქმედებს წინდახედულობის გონივრული მასშტაბი: შემქმენს არ მოეთხოვება ისეთი გარემოებების ცოდნა, რომელიც სცილდება მისი შესაძლებლობის ფარგლებს. სკ-ის 185-ე მუხლი უფლების შემქმენს მხოლოდ საჯარო რეესტრის ჩანაწერის შემოწმების ვალდებულებას აკისრებს და ადგენს, რომ შემდე-

ნის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება უძრავი ნივთის მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. კეთილსინდისიერი შემძენის საკუთრების უფლების წარმოშობა უნდა წყვეტდეს თავდაპირველი მესაკუთრის საკუთრების უფლებას. საკასაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ დ. ო-ის სახელზე ნაკვეთის რეგისტრაციის მომენტში ნაკვეთზე ვ. მ-ის და დ. ს-ის რეგისტრაციები ძალაში იყო, რეგისტრაციები ინარჩუნებდნენ თავიანთ ძალას ნაკვეთის დ. ო-ის სახელზე რეგისტრაციის შემდეგაც, მათი კანონიერება ეჭვქვეშ არ დამდგარა. ერთი და იგივე ობიექტზე რამდენიმე ჩანაწერის კონკურენციის პირობებში უპირატესობა მიენიჭა იმ უფლებას, რომელიც ქრონოლოგიურად უფრო ადრე იყო რეგისტრირებული. სასამართლომ მიუთითა, რომ საჯარო რეესტრში ვ. მ-ის სახელზე რეგისტრაცია ძალაშია, ის არ გასაჩივრებულა, არ გაუქმებულა შემდეგი რეგისტრაციებით, მის მიმართ მოქმედებს რეგისტრაციის კანონიერების და უტყუარობის პრეზუმფცია, შესაბამისად დ. ო-ე არ იქნა მიჩნეული უძრავი ქონების კეთილსინდისიერ შემძენად, წინააღმდეგ შემთხვევაში, დ. ო-ის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველი – სსიპ ქონების მართვის სააგენტოს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი, სარეგისტრაციო სამსახურის აქტი (კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილებებით ბათილად იქნა ცნობილი არა მხოლოდ თბილისის თვითმმართველი ერთეულის, არამედ აგრეთვე დ. ო-ის საკუთრების უფლების წარმოშობი დოკუმენტაცია და რეგისტრაცია), კანონიერების პრინციპის ერთგვარი შემზღუდავი კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტის საფუძველზე, არ იქნებოდა ცნობილი ბათილად.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განკარგვის აქტის ბათილად ცნობის პირობებში, შემძენი არ რჩება სამართლებრივი დაცვის გარეშე, მას უფლება აქვს დაიბრუნოს ნასყიდობის ფასი. სკ-ის 976.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა გარემოების გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში. განსახილველ შემთხვევაში ბათილად იქნა ცნობილი დ. ო-ისათვის ნივთის საკუთრებაში გადაცემის საფუძველი: აუქციონში გამარჯვების ოქმი და საკუთრების მოწმობა. როგორც წესი, აქტის ბათილად ცნობის მიზნებიდან გამომდინარე, აქტის მოქმედების შეწყვეტა განისაზღვრე-

ბა მისი ძალაში შესვლის დღიდან, თუმცა სზაკ-ის მე-60¹ მუხლის მე-7 ნაწილი გამონაკლისის სახით უშვებს ასევე აქტის მოქმედების შეწყვეტის სხვა თარიღის განსაზღვრის შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლო 24.04.14წ. №ბს-359-349(4კ-13) კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილებით არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 12.08.2010წ. №06-8/8207 წერილის და სარეგისტრაციო სამსახურის 19.08.2010წ. №... გადაწყვეტილების, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, მოქმედება შეწყდა მათი ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან, ხოლო ვ. მ-ის მოთხოვნა 12.10.2010წ. აუქციონის, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 12.10.10წ. ოქმის, 16.11.10წ. საკუთრების დამადასტურებელი მონუმბის ნაწილში არ დაკმაყოფილდა. ხსენებული გადაწყვეტილებით საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო აქტების ძალაში შესვლის დღიდან ბათილად ცნობა ლახავს ვ. მ-ის უფლებებს, საკასაციო პალატამ ბათილად ცნო სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 12.08.2010წ. №06-8/8207 წერილი, სარეგისტრაციო სამსახურის 19.08.2010წ. №... გადაწყვეტილება, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 12.10.10წ. №9-4-248 აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი, 16.11.10წ. №... საკუთრების დამადასტურებელი მონუმბა და სარეგისტრაციო სამსახურის 26.11.2010წ. №... გადაწყვეტილება გამოცემის მომენტიდან. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კონკრეტული ურთიერთობების მონესრიგების ერთ-ერთი ფორმა არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუმცა ადმინისტრაციული აქტი არის ნორმის (გენერალური მონესრიგება) ინდივიდუალური შემთხვევებისადმი მისადაგების საშუალება, კონკრეტული სამართალურთიერთობის მონესრიგების ერთ-ერთი ფორმა, ამასთანავე ფაქტობრივი და სამართლებრივი ხარვეზის შემთხვევაში, აქტმა შესაძლოა ვერ უზრუნველყოს საკითხის კანონშესაბამისი მონესრიგება, რაც იწვევს მის ბათილად ცნობას, ხოლო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ზოგადად, თავის მხრივ იწვევს თანამდევი სამართლებრივი შედეგების გაუქმებასაც. მართალია, ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს მიერ აქტის ბათილად ცნობამდე იგი ძალაშია და არა-რა აქტისაგან განსხვავებით, შესასრულებლად სავალდებულოა, თუმცა უფლებამოსილი ორგანოს მიერ აქტის არამართლზომიერად ცნობა ადასტურებს აქტის გამოცემის მომენტიდანვე მის საფუძველზე განხორციელებული ქმედებების და წარმოშობილი შედეგების არამართლზომიერებას. ბათილი გარიგების შესრულების შედეგად ადგილი ჰქონდა ქონების უსაფუძვლოდ შექმნას, სხვა პი-

რის ხარჯზე ქონების გაზრდას. ბათილობა ინვესტორს ორმხრივ რესტიტუციას, რომლის შედეგად მხარეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ ის, რაც მათ მიიღეს. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, მართალია, სასამართლოს მიერ დ.ო-ის საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტების ბათილად ცნობამდე, ისინი მიიჩნეოდა ნამდვილად, თუმცა ფაქტობრივად, უძრავი ნივთის თვითმმართველი ერთეულის სახელზე აღრიცხვა, გასხვისება და ახალ შემძენზე საკუთრების რეგისტრაცია იმთავითვე იყო არამართლზომიერი, რაც მოგვიანებით დადასტურდა კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლო გადაწყვეტილებებით, ამდენად, უფლებადამდგენი დოკუმენტაციის კანონშეუსაბამობის, აქტების გამოცემის მომენტიდან ბათილად ცნობის გამო დ.ო-ეს საკუთრების უფლება არ წარმოშობია. აღნიშნულიდან გამომდინარე, დ.ო-ემ შესრულება განახორციელა სათანადო საფუძვლის არსებობის გარეშე, რაც სკ-ის 976-ე, 979.1 მუხლების საფუძველზე წარმოქმნის სადავო მიწის ნაკვეთის შესაძენად განეული ხარჯის და არა ნაკვეთის საბაზრო ღირებულების უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლებას. კასატორთა მითითება ადმინისტრაციული ორგანოების არაბრალეულობის შესახებ არარელევანტურია, რადგან შესრულების კონდიქციის არსებობისას, აუცილებელი არ არის ურთიერთობის სუბიექტთა ბრალეულობის დადგენა, ვითომ-კრედიტორისათვის (თანხის მიმღებისთვის) ვალდებულების შესასრულებლად გადაცემული სიკეთის უკან დაბრუნება ხორციელდება შესრულების – თანხის გადახდის ვალდებულების წარმოშობის საფუძვლის უკანონობის და არა ვალდებულებითი ურთიერთობის მხარეთა ბრალეული ქმედების გამო. ზოგადი წესის თანახმად, უსაფუძვლოდ განეული ხარჯის ანაზღაურებაზე ვალდებული პირია ვითომ-კრედიტორი – პირი, რომელმაც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიიღო შესრულება, თუმცა განსახილველი დავის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ვინაიდან სამივე თანამოპასუხე საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი სუბიექტია და შესრულების უსაფუძვლობა განპირობებულია ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დაშვებულ სამართალდარღვევათა ერთობლიობით, მართებულია სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება მოპასუხეთათვის სოლიდარულად (და არა მხოლოდ შესრულების მიმღები მოპასუხე ორგანოსათვის ინდივიდუალურად) 27 990 ლარის დაკისრების ნაწილში.

დაუსაბუთებელია კასატორ ქ. თბილისის მთავრობის მოსაზრება მისთვის თანხის გადახდის ვალდებულების დაკისრების უსაფუძვლობის შესახებ, რადგან აუქციონის გამართვის დროს მოქმედი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ კანონის 19¹ მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, თვითმმართველი ერ-

თეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო, ამასთანავე, თვითმმართველი ერთეულის ქონებაზე ქონებრივი უფლებების განხორციელების შედეგად შემოსული თანხები მთლიანად ირიცხებოდა შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში. ამავე პერიოდში მოქმედი „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ კანონის 23¹ მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი საკუთრების განკარგვა თბილისის მთავრობის უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა. ქ. თბილისის ცენტრალური ორგანო – ქ. თბილისის მთავრობა უფლებამოსილი იყო შეექმნა საქალაქო სამსახურები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები (ქ. თბილისის საკრებულოს 12.10.2006წ. №1-1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მერიის დებულების“ 4.1 მუხ., მე-14 მუხლის „ე“ ქვ.პ.). აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში ქ. თბილისის მთავრობის 30.03.2010წ. №08.32.412 დადგენილებით შეიქმნა სსიპ ქონების მართვის სააგენტო, რომლის ფუნქციებში შედიოდა ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების რეალიზაციის მიზნით, აუქციონის ორგანიზება, ჩატარება და შედეგების გაფორმება (№08.32.412 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს შექმნისა და მისი წესდების (დებულების)“ 2.2 მუხ. „ბ“ ქვ.პ.). ამდენად, სადავო პერიოდში, ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა და ქონების საწყის ფასს განსაზღვრავდა ქ. თბილისის მთავრობა, თუმცა აუქციონს ატარებდა ქ. თბილისის მთავრობის უფლებამოსილი წარმომადგენელი – სსიპ ქონების მართვის სააგენტო, თბილისის მთავრობის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის საფუძველზე. მხედველობაშია აგრეთვე მისაღები, რომ შეძენილი უძრავი ქონების საფასურის გადახდა ხორციელდებოდა ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში (ქ. თბილისის საკრებულოს 27.08.2010წ. №9-63 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის“ 1.2, 1.4, 3.1, 3.2, 3.6, 8.7, 12.3 მუხ., მე-2 მუხლის „გ“ ქვ.პ.). ამდენად, ქ. თბილისის მთავრობა, სსიპ ქონების მართვის სააგენტოსთან ერთად, არის უსაფუძვლო შესრულების მიმღები სუბიექტი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების საფუძველს არ ქმნის მოსარჩელის მითითება სკ-ის 490-ე და 409-ე მუხლებზე. სკ-ის 487-ე მუხლის თანახმად, გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფ-

ლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი, წინააღმდეგ შემთხვევაში მყიდველს წარმოეშობა რიგი მოთხოვნები, მათ შორის ნაკლის აღმოფხვრის ან ნივთის ჩანაცვლების მოთხოვნის უფლება (სკ-ის 490.1 მუხ.). აღნიშნული მოწესრიგება ეხება ნივთის გასხვისებაზე უფლებამოსილი პირის მიერ ნაკლიანი ნივთის გასხვისების თანამდეგ შედეგებს, ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობისას ნასყიდობის საგნის ნაკლის გამოსწორების საშუალებებს და არა არაუფლებამოსილ გამყიდველთან არსებულ ურთიერთობებს, რადგან, გასხვისებაზე არაუფლებამოსილი პირის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას, ხელშეკრულება ბათილია, მას არ მოჰყვება ნამდვილი ხელშეკრულების თანამდევნი სამართლებრივი შედეგები. თუ ნასყიდობის საგანი არა გამყიდველის, არამედ მესამე პირის საკუთრებაა, მიიჩნევა, რომ შესრულება საერთოდ არ განხორციელებულა, შესაბამისად, არ წარმოიშობა შესრულების ნაკლის გამოსწორების საჭიროება. ამასთანავე, სკ-ის 408-ე, 409-ე მუხლებიც აწესრიგებს სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების წესს და არ ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც სახელშეკრულებო ვალდებულებები, ხელშეკრულების არანამდვილობის გამო, საერთოდ არ წარმოშობილა.

დ. ო-ე ითხოვს ნივთის საბაზრო ფასის ანაზღაურებას, რასაც ასაბუთებს იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მას ჩამოერთვა საკუთრება უძრავ ნივთზე, შესაბამისად, მიაღდა ზიანი უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულების ოდენობით. მოსარჩელის აღნიშნული მოსაზრება გაზიარებულ იქნა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ერთსადაიმევე ნივთზე საკუთრების უფლების დაკარგვისას ზიანის ანაზღაურების ოდენობა შესაძლოა სხვადასხვა იყოს საკუთრების დაკარგვის სამართლებრივი საფუძვლის გათვალისწინებით. განსახილველ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ დ. ო-ის საკუთრება არასდროს ყოფილა მართლზომიერი, შესაბამისად, მისი მოითხოვნა ნივთის ჩამორთმევისათვის მისი სრული ღირებულების ოდენობით კომპენსაციის გაცემის შესახებ დაუსაბუთებელია, თუმცა ნასყიდობის ფასის გარდა შესაძლოა საფუძვლიანი იყოს მოითხოვნა ზიანის ანაზღაურების შესახებ, უკეთეს მისი არსებობა და ოდენობა სარწმუნოდ დადასტურდება. ამდენად, დ. ო-ის მოთხოვნა შესაძლოა პირობითად დაიყოს ორ ნაწილად: ერთი მხრივ, სკ-ის 976.1 მუხლის საფუძველზე დ. ო-ე უფლებამოსილია ვითომ-კრედიტორისაგან მოითხოვოს გადახდილი ნასყიდობის ფასის დაბრუნება, რადგან ორგანო უსაფუძვლოდ მდიდრდება, ხოლო მეორე მხრივ, ნასყიდობის ფასის გარდა, სკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე დ. ო-

ეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება სათანადო წინაპირობების არსებობის დადასტურების შემთხვევაში. სააპელაციო პალატა მსჯელობს ორგანოთა მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების არსებობაზე, თუმცა ვერ ასაბუთებს მათი ქმედების შედეგად წარმოშობილი ზიანის ოდენობას. აუქციონის ფორმით თვითმმართველი ერთეულის ქონების განკარგვის მიზანია საკუთრების უფლების მინიჭება აუქციონში მონაწილე იმ პირისათვის, რომელიც ვაჭრობის პროცესში თვითმმართველი ერთეულის ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს. ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს აუქციონში გამარჯვების 12.10.2010წ. №9-4-248 დამადასტურებელი ოქმის თანახმად, ქონების საწყისი ფასი 1 კვ.მ.-ზე 25 ლარს შეადგენდა, სააუქციონო კონკურენციის შედეგად შეთავაზებულ იქნა 27 990 ლარი, ანუ 1 კვ.მ.-ზე 30 ლარი. დაუსაბუთებელია საკასაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფი გადანყვეტილების მიღების მომენტისათვის საბაზრო ფასით ზიანის განსაზღვრა, ვინაიდან საკასაციო სასამართლომ ბათილად ცნო სადავო აქტები მათი გამოცემის მომენტიდან. საკუთრება ზოგადად პირისათვის ქონებრივი სიკეთის სამართლებრივი მიკუთვნებაა, დ. ო-ეს ფაქტობრივად საკუთრების უფლება არ წარმოშობია, შესაბამისად, მოსაზრება საკუთრების ჩამორთმევის გამო ნივთის საბაზრო ღირებულების სრული ანაზღაურების შესახებ დაუსაბუთებელია. სააპელაციო პალატის მოსაზრება მოპასუხეთა უკანონო აქტებით დ. ო-ის კონსტიტუციური უფლებისათვის – საკუთრებისათვის ზიანის მიყენების შესახებ ასევე მოკლებულია სათანადო დასაბუთებას, რადგან საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი, ერთი მხრივ, იცავს საკუთრების ინსტიტუტს, ხოლო მეორე მხრივ, ახდენს საკუთრების, როგორც პიროვნული უფლების დაცვას, თუმცა აღნიშნული მუხლის დაცვის სფეროში ექცევა მხოლოდ მართლზომიერი საკუთრება. ამასთანავე, საქართველოს კონსტიტუციის 42.9 მუხლი ითვალისწინებს სახელმწიფო ორგანოების მიერ მიყენებული ზიანის სრული ოდენობით ანაზღაურების გარანტიას, თუმცა აღნიშნული გარანტია ამოქმედებას იწყებს მხოლოდ ზიანის არსებობის დადასტურების შემთხვევაში. სააპელაციო პალატას არ დაუდგენია ზიანის კონკრეტული ოდენობა, ამ მხრივ არ შეფასებულა საქმეში დაცული მტკიცებულებები (მაგ. 933 კვ.მ. ნაკვეთის წითელი ხაზების WGS 1984 UTM კოორდინატთა სისტემაში დაკვალვაზე, საჯარო რეესტრში რეგისტრაციაზე განეული ხარჯი), ზიანის ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების არასაკმარისობის შემთხვევაში სააპელაციო პალატა უფლებამოსილი იყო დამატებით გამოეთხოვა ისინი და სრულად დაედგინა დავის გადანყვეტისათვის სა-

ჭირო ფაქტობრივი გარემოებები. ზიანის ოდენობის დადგენის გარეშე მოპასუხეთათვის სადავო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების ანაზღაურების დაკისრება სცდება როგორც უსაფუძვლო გამდიდრების, ასევე ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ნორმების დანაწესს და, შესაძლოა, დ. ო-ეს ზიანის ანაზღაურების სახით აძლევს იმაზე მეტ სიკეთეს, ვიდრე ფაქტობრივად განცდილი დანაკლისია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება სოლიდარული მოპასუხეთათვის ზიანის სახით 83 596 (111 586 (საბაზრო ღირებულება) – 27 990 (ნასყიდობის ფასი)) ლარის დაკისრების ნაწილში იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონახვა შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად ქმნის განჩინების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს მოსარჩელის მიერ დასახელებული ყველა სოლიდარული მოპასუხის: სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ. შესაბამისად, აღნიშნულ ნაწილში სახეზეა სსკ-ის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოში დაბრუნების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.07.2016წ. გადაწყვეტილება სოლიდარული მოპასუხეებისათვის ზიანის სახით 83 596 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.07.2016წ. გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;

3. სასამართლოს ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო განწყვეტილების მიღებისას;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის
უზრუნველსაყოფად სადაპოზიტო ანგარიშზე
განთავსებული თანხის გადარიცხვა**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-664-660(3კ-17)

27 მარტი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. გ-ამ 2014 წლის 25 თებერვალს აღძრა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე საქართველოს პროკურატურის მიმართ. მოსარჩელემ საქართველოს მთავარი პროკურატურის საპროკურორო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსის – პროკურორ ვ. ნ-ის 2013 წლის 27 დეკემბრის №13/17523 მითითების ბათილად ცნობა მოითხოვა.

ნ. გ-ამ 2014 წლის 18 მარტს ასევე აღძრა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის დავალება – თავი შეეკავოს აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე ნ. გ-ას სახელით განთავსებული თანხის – 1116856,40 სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვისაგან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 28 აპრილის საოქმო განჩინებით ნ. გ-ას სარჩელზე მოპასუხე საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-

16 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩართულ იქნა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 11 ივნისის საოქმო განჩინებით №3/617-14 ადმინისტრაციული საქმე (მოსარჩელე- ნ. გ-ა; მოპასუხე – საქართველოს მთავარი პროკურატურა; მესამე პირები – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო; დავის საგანი – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა) და №3/887-14 ადმინისტრაციული საქმე (მოსარჩელე – ნ. გ-ა; მოპასუხე – აღსრულების ეროვნული ბიურო; დავის საგანი – დაევალოს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს თავი შეიკავოს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე ნ. გ-ას სახელზე განთავსებული 1 116 856,24 ლარის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის გადარიცხვისაგან) გაერთიანდა ერთ წარმოებად და გაერთიანებულ ადმინისტრაციულ საქმეს მიენიჭა ნომერი 3/617-14.

მოსარჩელემ სარჩელის არაერთგზის დაზუსტების შემდეგ საბოლოოდ მოითხოვა: დაევალოს საქართველოს მთავარ პროკურატურას თავი შეიკავოს აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე ნ. გ-ას სახელით განთავსებული თანხის – 1 116 856,40 სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის გადარიცხვის მითითების მიცემისაგან; დაევალოს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს თავი შეიკავოს აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე ნ. გ-ას სახელით განთავსებული თანხის – 1 116 856,40 სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვისაგან.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ 2011 – 2012 წლებში აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე, მისი დეიდაშვილის – „ზ. ჩ-ის მიერ მიყენებული ზიანის“ ანაზღაურების უზრუნველსაყოფად შეტანილი ჰქონდა 1 900 000 ლარი, ამჟამად სადეპოზიტო ანგარიშზე დარჩენილია 1 116 856,24 ლარი. ზ. ჩ-ს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 9 მარტის განაჩენით დაედო მსჯავრი და ამ განაჩენით მას ზიანის ანაზღაურება არ დაკისრებია. საქართველოს მთავარი პროკურატურის საპროკურორო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი პროკურორის ფ. წ-ის მიერ 2013 წლის 27 დეკემბერს აღსრულების ეროვნულ ბიუროს გაეგზავნა №13/17523 წერილი, რომლითაც იგი იძლევა მითითებას აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე დარჩენილი 1 116 856,24 ლარი, კანონით დადგენილი წესით მიმართონ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2006 წლის 27 სექტემბრის №3 ხელშეკრულებით გაცემული კრედიტის ფარგლებში არსებული დავა-

ლიანების – 1389 190,098 ლარის დასაფარავად. ნ. გ-ამ 2014 წლის 17 იანვარს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას, რომლითაც ითხოვდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების შესაბამისად ბათილად ეცნოთ ზემოაღნიშნული მითითება, როგორც კანონთან წინააღმდეგობაში მყოფი. მთავარი პროკურორის მოადგილის 2014 წლის 18 თებერვლის №13/9936 პასუხით განემარტა, რომ სადავო წერილი არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რის გამოც არ ექვემდებარებოდა ამ წესით გასაჩივრებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმეში მესამე პირად ჩართულ იქნა ზ. ჩ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. გ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. გ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ნ. გ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა; საქართველოს მთავარ პროკურატურას დაევალა, თავი შეიკავოს აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე ნ. გ-ას სახელით განთავსებული თანხის – 1116856,40 ლარის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის გადარიცხვის თაობაზე მითითების მიცემისაგან; სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს დაევალა თავი შეიკავოს აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე ნ. გ-ას სახელით განთავსებული თანხის – 1116856,40 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვისაგან.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის პროკურორსა და ზ. ჩ-ს შორის 2012 წლის 7 მარტს შედგა საპროცესო შეთანხმება. ოქმის თანახმად, მხარეები დაეთანხმნენ განაჩენის დადგენას არსებითი განხილვის გარეშე. განაჩენის დადგენის პირობად განისაზღვრა: 1. ზ. ჩ-ი ცნობილი იქნებოდა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებითა და 208-ე მუხლის მე-2 ნაწილით; 2. სასჯელის სახედ და ზომად სა-

ბოლოოდ განესაზღვრებოდა 1 წლით, 4 თვით თავისუფლების აღკვეთა; 1 წელი, 11 თვე და 26 დღე პირობითი მსჯავრი, 2 წლის, 11 თვის და 26 დღის გამოსაცდელი ვადით; 3. ზ. ჩ-ი სახელმწიფოზე მიყენებულ ზიანს (იაფი კრედიტის ფარგლებში მიღებულ სესხს) აანაზღაურებდა 2012 წლის 1 ივნისამდე.

საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და მსჯავრდებულ ზ. ჩ-ს შორის დამტკიცდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 9 მარტის განაჩენით, რომლის საფუძველზეც დადგინდა, რომ საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და მსჯავრდებულ ზ. ჩ-ს შორის მტკიცდებოდა შემდეგი სახით: ზ. ჩ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 208-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა: საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით, საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე – თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლით; საქართველოს სსკ-ის 208-ე მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე – თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) თვის ვადით; საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე მოსახდელად განესაზღვრა 1 (ერთი) წლით და 4 (ოთხი) თვით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ახლად დანიშნულ სასჯელს დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 4 თებერვლის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 1 (ერთი) წელი, 11 (თერთმეტი) თვე და 26 (ოცდაექვსი) დღე და საბოლოოდ, მოსახდელად განესაზღვრა 3 (სამი) წლით, 3 (სამი) თვით და 26 (ოცდაექვსი) დღით თავისუფლების აღკვეთა. ამავე განაჩენით განისაზღვრა სასჯელის მოხდის წესი, საქმეზე თანდართული წერილობითი მტკიცებულებების ბედი და განიმარტა განაჩენის გასაჩივრების უფლება.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ზემოაღნიშნული საპროცესო დოკუმენტების შინაარსზე და არსებითად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ საპროცესო შეთანხმება, კერძოდ, შეთანხმების პირობები (შუამდგომლობით ნაწილში აღნიშნულზე მითითება არ არის), შეიცავს მხოლოდ ზოგად მითითებას ზ. ჩ-ის მიერ სახელმწიფოზე მიყენებული ზიანის (იაფი კრედიტის ფარგლებში მიღებული სესხის) ანაზღაურების თაობაზე, რომლის გადახდის ვადაც განისაზღვრა 2012 წლის 1 ივნისამდე. თანხის ოდენობა შეთანხმებაში განსაზღვრული არ არის. რაც შეეხება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 9 მარტის განაჩენს მასში ზიანის ანაზღაურების შესა-

ხებ (მათ შორის, ზოგადი სახით), ჩანანერი არ არის.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2011 წლის 20 დეკემბერს ნ. გ-ამ ზ. ჩ-ის მიერ ზიანის ანაზღაურების მიზნით აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე შეიტანა 600 000 ლარი. 2012 წლის 24 მაისს და 2012 წლის 25 მაისს ნ. გ-ამ ზ. ჩ-ის მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე დამატებით შეიტანა 1 300 000 ლარი. 2012 წლის 23 ოქტომბერს ნ. გ-ამ განცხადებით მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს და მიუთითა, რომ მან აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე შეიტანა 1 900 000 ლარი, საიდანაც 783 143,76 ლარი უნდა გადარიცხულიყო მუნიციპალური განვითარების ფონდში სახელმწიფო პროგრამა იაფი კრედიტის ფარგლებში რიცხული დავალიანების დასაფარავად.

საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 27 დეკემბერის №13/17523 წერილით თბილისის სააღსრულებო ბიუროს ეცნობა, რომ 2012 წლის ნოემბერში აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე რიცხული 1 900 000 ლარიდან 783 143,76 ლარი გადარიცხული იყო საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში 2008 წლის 28 მაისის №CCE-025 სესხის ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული კრედიტის დასაფარად, ხოლო დარჩენილი 1 116 856,24 ლარი, კანონით დადგენილი წესით, მიმართული უნდა ყოფილიყო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2006 წლის 22 სექტემბრის №3 ხელშეკრულებით გაცემული კრედიტის ფარგლებში არსებული დავალიანების – 1389190,09 ლარის დასაფარად, რისი განხორციელებაც ეთხოვა აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილი დაეფუძნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2013 წლის 28 მაისის წერილს, რომელშიც აღნიშნულია, რომ შპს „...“ გაკოტრების საქმისწარმოების დასრულების შემდეგ, შპს „...“ დავალიანება შეადგენს 1 389 190,09 ლარს.

საქმეში დაცულია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება, საიდანაც დგინდება, რომ გადაწყვეტილებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხე – შპს „...“ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა 1 404 000 ლარის გადახდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება ეფუძნება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შპს „დ...“ (უფლებამონაცვლე შპს „...“) შორის 2006 წლის 22 სექტემბერს დადებული

№3 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტს.

ზემოაღნიშნული მტკიცებულებების გამოკვლევისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის საფუძველზე სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 27 დეკემბერის №13/17523 წერილი, დარჩენილი 1 116 856,24 ლარის კანონით დადგენილი წესით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დავალიანების დაფარვის მიზნით მიმართვის თაობაზე, ემსახურება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 1 ნოემბრის განწყვეტილების აღსრულებას.

საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 27 დეკემბრის №13/17523 მიმართვა აღსრულების ეროვნული ბიუროსადმი ნ. გ-ამ გაასაჩივრა ადმინისტრაციული წესით, რაზეც საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 18 თებერვლის №13/9936 წერილით ეცნობა, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 27 დეკემბრის №13/17523 წერილი არ ექვემდებარება ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის გზით გასაჩივრებას.

განსახილველი სარჩელით მოთხოვნილია, დაევალოს საქართველოს მთავარ პროკურატურას, თავი შეიკავოს აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე ნ. გ-ას სახელით განთავსებული თანხის – 1 116 856,40 ლარის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის გადარიცხვის თაობაზე მითითების მიცემისაგან; დაევალოს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს თავი შეიკავოს აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე ნ. გ-ას სახელით განთავსებული თანხის – 1 116 856,40 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვისაგან; სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და მიიჩნია, რომ საქმეზე დადგენილი და გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები არ იძლევა იმ მოსაზრების მტკიცების საფუძველს, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართვა აღსრულების ეროვნული ბიუროსადმი ეფუძნება პროკურორსა და მსჯავრდებულ – ზ. ჩ-ს შორის გაფორმებულ საპროცესო შეთანხმებას.

სააპელაციო სასამართლო ასევე არ დაეთანხმა ადმინისტრაციული ორგანოებისა და სასამართლოს მხრიდან ნ. გ-ას ინტერესის გამოორიცხვის ფაქტს და მიიჩნია, რომ წარმოდგენილი შეფასებები არ არის გამყარებული სათანადო მტკიცებულებებით. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის არსებითად განხილვის მიუხედავად, პირველი ინსტანციის სასამართლოს შემაჯამებელი დასკვნა ფაქტობრივად ემყარება იმ მოსაზრებას, რომ ნ. გ-ას ინტერესი დავის საგნისადმი არ იკვეთება, რა მიზნითაც სააპელაციო სა-

სამართლო საჭიროდ მიიჩნევს აღნიშნულის თაობაზე საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 24-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი ქმედების განხორციელების ან ისეთი ქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ადმინისტრაციული აქტის გამოცემას; სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

რამდენადაც წინამდებარე სარჩელი აღძრულია ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, სააპელაციო სასამართლო, ბუნებრივია, ადასტურებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლით დაწესებული დასაშვებობის კრიტერიუმის დაცვის სავალდებულობას, რაც ვლინდება მოსარჩელის კანონიერი უფლებების ან ინტერესებისათვის პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანის მიყენებაში, თუმცა მიიჩნევს, რომ ნ. გ-ას კანონიერი უფლება და ინტერესი განსახილველ შემთხვევაში გამოკვეთილია და არ არსებობს ამ უფლების ეჭვქვეშ დაყენების საფუძველი.

როგორც ზემოთ მიეთითა, სადავო არ არის ის გარემოება, რომ ზ. ჩ-ის მიერ ზიანის ანაზღაურების მიზნით აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე 2011 წლის 20 დეკემბერს 600000 ლარი შეტანილია ნ. გ-ას მიერ, ასევე მის მიერაა შეტანილი სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე დამატებით 1300000 ლარი. ნ. გ-ას განცხადების საფუძველზე 783143,76 ლარი გადარიცხულია მუნიციპალური განვითარების ფონდში სახელმწიფო პროგრამა იაფი კრედიტის ფარგლებში რიცხული დავალიანების დასაფარავად, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, საქმეში წარმოდგენილია სესხის ხელშეკრულებები, რომლითაც დასტურდება, რომ სესხი ამავე პერიოდში აღებულია ნ. გ-ას მიერ, შესაბამისად, მითითება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის ინტერესი დავის საგნის მიმართ არ დასტურდება, მოკლებულია ფაქტობრივ საფუძველს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა სარჩელის უსაფუძვლობის თაობაზე, დაეთანხმა აპელანტის შეფასებებს სასამართლო გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობის შესახებ და მიიჩნია, რომ სახზე იყო გადანყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საფუძველი. დავის არსებითად გადანყვეტის პროცესში სააპელაციო სასამართლომ პრინ-

ციპულად მიიჩნია საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 27 დეკემბერის №13/17523 წერილის სამართლებრივი მნიშვნელობის და მისი აღსრულებაქვემდებარეობის საკითხის დადგენა.

საერთო სასამართლოების, ადმინისტრაციული ორგანოების (თანამდებობის პირების), არბიტრაჟის, რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიისა და მისი კომიტეტის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული აქტების აღსრულების წესი და პირობები რეგულირდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს იმ აქტების ჩამონათვალს, რომელიც ექვემდებარება აღსრულებას. აღსრულებაქვემდებარე აქტებიდან სააპელაციო სასამართლო გამოჰყოფს მხოლოდ ორ მათგანს, კერძოდ, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, ამ კანონით დადგენილი წესით აღსრულებას ექვემდებარება: ბ) სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი სასამართლო განაჩენი ფიზიკური პირისათვის ან/და იურიდიული პირისათვის სასჯელის სახით ჯარიმის დაკისრების ან/და ქონების ჩამორთმევის შესახებ; კ) უცხო ქვეყნის სასამართლოს, აგრეთვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის აღსრულებაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით; როგორც აღინიშნა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 9 მარტის განაჩენი არ შეიცავს მითითებას ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაზე, მათ შორის ზოგადი სახით. შესაბამისად, საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილი ვერ განიხილება როგორც განაჩენის აღსრულების მოთხოვნა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს სასამართლოს მიერ გამოწერილი სააღსრულებო ფურცელი. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, სააღსრულებო წარმოება არ დაიშვება სააღსრულებო ფურცლის (დედნის) გარეშე, გარდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258¹-ე მუხლით გათვალისწინებული გირავნობის მოწმობის, დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანებისა და აღსრულების შესახებ ბრძანების აღსრულებასთან დაკავშირებული საქმეებისა; სააღსრულებო ფურცელი გაიცემა იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც ამ კანონით ექვემდებარება აღსრულებას. სააღსრულებო ფურცელი გაიცემა კრედიტორზე.

ერთადერთ დოკუმენტად, რომლის აღსრულებაც დასაშვებია

სააღსრულებო ფურცლის გარეშე, იმავე მუხლის საფუძველზე მიჩნეულია სასამართლოს განჩინება, რომელიც მიიღება სააღსრულებო წარმოების პროცესში სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინების ან ისეთი განჩინების საფუძველზე, რომელზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პროკურატურის წერილისათვის აღსრულებაქვემდებარე აქტის სტატუსის მინიჭება ასევე გამოირიცხება ნორმათა სისტემური განმარტების საფუძველზე, რა მიზნითაც სააპელაციო სასამართლო მიუთითებს „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონზე. „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, პროკურატურა კანონით დადგენილი წესით ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას, მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მონაწილეობს როგორც მხარე.

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე, პროკურორი უფლებამოსილების განხორციელებისას, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ადგენს შემდეგ აქტებს: მოთხოვნას, წარდგინებას, პროტესტს, დადგენილებას, თანხმობას, მითითებას, საჩივარს, ინფორმაციას. პროკურატურის საქმიანობის პრინციპები, მისი ამოცანები, პროკურორის საპროცესო სტატუსი და კომპეტენციის ფარგლებში მისაღები აქტების ამომწურავი ჩამონათვალი, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, გამოირიცხავს პროკურორის წერილისათვის აღსრულებაქვემდებარე აქტის სტატუსის მინიჭების შესაძლებლობას. სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მოტივაცია საქმეში დაცული საპროცესო შეთანხმების პროკურატურის წერილის საფუძველზე აღსრულების სავალდებულობის თაობაზე არ ემყარება შესაბამის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა კომპეტენციის თაობაზე მოპასუხე საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ გაკეთებული განმარტებები და მიიჩნია, რომ საპროცესო შეთანხმების არსებობა არ წარმოშობს პროკურატურის უფლებას მოითხოვოს აღსრულების დაწყება და თანხების საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ არსებული დავალიანების დასაფარად წარმართვა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის შესაბამისად, პროკურორი უფლებამოსილია: კ) ბრალდებულთან დადოს საპროცესო შეთანხმება და სასამართლოში წარადგინოს შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის არსებითი

განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობას თან ერთვის საპროცესო შეთანხმების ოქმი.

იმავე საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის 12 პუნქტის თანახმად, საპროცესო შეთანხმების დადებისას პროკურორი ვალდებულია გააფრთხილოს ბრალდებული საპროცესო შეთანხმების შედეგების შესახებ და განუმარტოს მას, რომ საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში სასამართლოს გამამტყუენებელი განაჩენი მტკიცებულებების უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის გარეშე გამოაქვს და საპროცესო შეთანხმების დადება არ ათავისუფლებს ბრალდებულს სამოქალაქო და სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან; საქმეში დაცული საპროცესო შეთანხმების ოქმი უდავოდ შეიცავს მითითებას ზ. ჩ-ის გაფრთხილების თაობაზე და მასში აღნიშნულია, რომ საპროცესო შეთანხმების დადება ზ. ჩ-ს არ ათავისუფლებს სამოქალაქო და სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან. თუმცა, ამ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პრინციპული დადგინდეს, არსებობს თუ არა სამოქალაქო ან/და სხვა სახის პასუხისმგებლობა, რომელიც წარმოშობს ზ. ჩ-ის ვალდებულებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლის ფაქტობრივი აღსრულების მიზნითაც მიმართულია აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის, მიღებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარჩელის საფუძველზე, რომლითაც დაკმაყოფილდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოთხოვნა და მოპასუხე – შპს „...“ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა 1 404 000 ლარის გადახდა. ზ. ჩ-ის ვალდებულებებზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილებაში მითითებული არ არის. საქმეზე კრედიტორ მხარეს წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ხოლო მოვალეს – შპს „...“. სააპელაციო სასამართლო წინამდებარე დავის არსიდან გამომდინარე გაუმართლებლად მიიჩნევს კერძო სამართლის იურიდიული პირის, მისი დირექტორის ან/და პარტნიორის ვალდებულებების ურთიერთგამიჯვნის თაობაზე საკუთარი მოსაზრებისა და მოტივაციის წარმოდგენას, თუმცა, ცალსახად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ აღნიშნული ეტაპისათვის საქმეში წარმოდგენილი არ არის აღსრულებას დაქვემდებარებული აქტი. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაცია-

ციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება, არსებული შინაარსით, აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის არ ქმნის საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილის საფუძველზე ზ. ჩ-ის მიმართ აღსრულების განხორციელების შესაძლებლობას.

ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განხორციელოს რაიმე ქმედება. აღნიშნული პრინციპის დაცვის მიზნით სააპელაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს დაკმაყოფილდეს სარჩელი და მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოებს დაევალოთ, თავი შეიკავონ სარჩელით მოთხოვნილი ქმედებების განხორციელებისაგან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ; საქართველოს მთავარმა პროკურატურამ და სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ. კასატორებმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საკასაციო პალატის მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

კასატორმა სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა შემდეგი საფუძველებით: საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის პროკურორსა და ზ. ჩ-ს შორის 2012 წლის 7 მარტს შედგა საპროცესო შეთანხმება. ოქმის თანახმად, მხარეები დაეთანხმნენ განაჩენის დადგენას არსებითი განხილვის გარეშე. განაჩენის დადგენის პირობად განისაზღვრა: 1. ზ. ჩ-ი ცნობილი იქნებოდა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით და 208-ე მუხლის მე-2 ნაწილით. 2. სასჯელის სახედ და ზომად საბოლოოდ განისაზღვრებოდა 1 წლით, 4 თვით თავისუფლების აღკვეთა; 1 წელი, 11 თვე და 26 დღე პირობითი მსჯავრი; 2 წლის, 11 თვის და 26 დღის გამოსაცდელი ვადით; 3. ზ. ჩ-ი სახელმწიფოზე მიყენებულ ზიანს (იაფი კრედიტის ფარგლებში მიღებულ სესხს) აანაზღაურებდა 2012 წლის 1 ივნისამდე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 9 მარტის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და მსჯავრდებულ – ზ. ჩ-ს შორის. 2012 წლის 24 მაისს და 2012 წლის 25 მაისს ნ. გ-ას მიერ ზ. ჩ-ის მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით სააღსრულებო ბიუროს სადევოზიტო ანგარიშზე შეტანილ იქნა 1300 000 ლარი ანუ 2012 წლის 1 ივნისამდე. 2012 წლის 23 ოქტომბერს ნ. გ-ამ განცხა-

დებით მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს და აცნობა, რომ მის მიერ აღსრულების ეროვნულ ბიუროს ანგარიშზე შეტანილი იქნა 1900 000 ლარი. საიდანაც 7833143,76 ლარი უნდა გადარიცხულიყო მუნიციპალური განვითარების ფონდში სახელმწიფო პროგრამა იაფი კრედიტის ფარგლებში რიცხული დავალიანების დასაფარავად.

საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 27 დეკემბრის №13/17523 წერილით თბილისის სააღსრულებო ბიუროს ეცნობა, რომ 2012 წლის ნოემბერში აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე არსებული 1900 000 ლარიდან 783143,76 ლარი გადაირიცხა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში 2008 წლის 28 მაისის №CCE-025 სესხის ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული კრედიტის დაფარვის მიზნით. აღსრულების ეროვნულ ბიუროს ეთხოვა დარჩენილი 1116856,24 ლარი კანონით დადგენილი წესით მიემართა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2006 წლის 22 სექტემბრის №3 ხელშეკრულებით გაცემული კრედიტის ფარგლებში არსებული დავალიანების – 1389190,09 ლარის დასაფარავად.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმადაც, ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორს სასჯელზე. ბრალდების შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე, საპროცესო შეთანხმების დადებისას ბრალდებული პროკურორს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ პირობებთან ერთად, შეიძლება შეუთანხმდეს თანამშრომლობაზე ან/და ზიანის ანაზღაურებაზე, ამავე კოდექსის 210-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, საპროცესო შეთანხმების შესახებ დგება ოქმი, რომელშიც ასახულია ბრალდებულსა და პროკურორს შორის მოლაპარაკების პროცესი (საპროცესო შეთანხმების ოქმი). საპროცესო შეთანხმების ოქმის ასლი ბრალდებულსა და მის ადვოკატს გადაეცემა. ბრალდებულსა და მის ადვოკატს უფლება აქვთ, საპროცესო შეთანხმების ოქმზე გამოთქვან შენიშვნები. ისინი თან ერთვის ამ ოქმს. საპროცესო შეთანხმების ოქმს ხელს აწერენ: პროკურორი, ბრალდებული და მისი ადვოკატი, აგრეთვე ბრალდებულის კანონიერი წარმომადგენელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. საპროცესო შეთანხმების დამტკიცების წესი მოცემულია ამავე კოდექსის 211-213-ე მუხლებში. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ მსჯავრდებულმა დაარღვია საპროცესო შეთანხმების პირობა, პროკურორი უფლებამოსილია დარღვევის გამოვლენიდან 1 თვის

ვადაში ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში შეიტანოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს გა-
ნაჩინის გაუქმების თაობაზე.

კასატორის მოსაზრებით, მოცემული დავის ფარგლებში ვერ შე-
ფასდება ის გარემოება, იაფი კრედიტის ფარგლებში სანარმოსათ-
ვის სესხის სახით გადაცემული თანხის ანაზღაურების ვალდებუ-
ლება ზ. ჩ-ს გააჩნდა თუ არა. ვინაიდან ზ. ჩ-ი უშუალოდ მონაწილე-
ობდა საპროცესო შეთანხმების მიღწევაში და იგი დაეთანხმა საპ-
როცესო შეთანხმების ოქმში ასახულ პირობას. ასევე მნიშვნელო-
ბა არ აქვს თანხის სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანილი წარმოშობი-
სა თუ კუთვნილების ფაქტს, ვინაიდან აღნიშნული სცილდება და-
ვის ფარგლებს. ნ. გ-ას მიერ სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო
ანგარიშზე პროკურორსა და ზ. ჩ-ს შორის მიღწეული საპროცესო
შეთანხმების პირობის შესრულების მიზნით 1900000 ლარი იქნა შე-
ტანილი (ამჟამად ანგარიშზე განთავსებული თანხა 1116856,24
ლარს შეადგენს). წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნებოდა საპ-
როცესო შეთანხმების საფუძველზე მიღებული განაჩენის გაუქმე-
ბის ფაქტობრივი საფუძველი. ამდენად, ხსენებული თანხა სახელ-
მწიფოზე მიყენებული ზიანის (იაფი კრედიტის ფარგლებში) მიღე-
ბული სესხის) ანაზღაურებას ემსახურებოდა მიზნად. ამისათვის,
განსახორციელებელი მოქმედება, კერძოდ, პროცესის მწარმოე-
ბელი ორგანოს მითითება თანხის გადარიცხვის თაობაზე და თავის
მხრივ, სააღსრულებო ბიუროს მიერ თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში
გადარიცხვა უნდა განხორციელდეს კონკრეტული ფაქტობრივი
მიზნის მისაღწევად.

სააპელაციო სასამართლო „სააღსრულებო წარმოებათა შესა-
ხებ“ საქართველოს კანონის აღსრულების ქვემდებარე აქტებიდან
გამოჰყოფს ორ მათგანს. კერძოდ, უთითებს, რომ „სააღსრულებო
წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესა-
ბამისად, ამ კანონით დადგენილი წესით აღსრულებას ექვემდება-
რება სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გა-
მამტყუნებელი განაჩენი ფიზიკური პირისათვის ან/და იურიდიუ-
ლი პირისათვის სასჯელის სახით ჯარიმის დაკისრების ან/და ქო-
ნების ჩამორთმევის შესახებ; უცხო ქვეყნის სასამართლოს, აგრეთ-
ვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გადანყვე-
ტილება, რომლის აღსრულებაც გათვალისწინებულია საქართვე-
ლოს კანონმდებლობით. მოცემულ შემთხვევაში საუბარია იმ განა-
ჩენის აღსრულებაზე, როდესაც მსჯავრდებულს ძირითად სასჯელ-
თან ერთად დაკისრებული აქვს თანხა. ანუ არანაირი კავშირი მო-
ცემულ დავასთან მითითებულ მუხლებს არ გააჩნიათ, ვინაიდან აღ-
სრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე თანხა შე-

მოვიდა არა რომელიმე აღსრულების ქვემდებარე აქტის აღსრულების მიზნით, არამედ ბრალდებულის (მესამე პირის მეშვეობით) მიერ ანაზღაურებულ იქნა საპროცესო შეთანხმების წესით დადგენილი თანხა. აღსრულების ეროვნულ ბიუროს არანაირი აღსრულების ქვემდებარე აქტი არ ჰქონია და არც შეიძლებოდა ჰქონოდა, ვინაიდან მისი სადეპოზიტო ანგარიში განკუთვნილია სწორედ სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულის მიერ ზიანის ანაზღაურების თანხის განსათავსებლად. ამდენად, აღსრულების ეროვნულ ბიუროს ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა მოხდა არა რომელიმე აქტის აღსასრულებლად, არამედ საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მიზნით. აღსრულების ეროვნული ბიურო არის საჯარო დაწესებულება და მისი მეშვეობით ხორციელდება ამ თანხების შემდგომი სახელმწიფოსათვის ან შესაბამისი საჯარო დაწესებულებისათვის გადარიცხვა. აღსრულების ეროვნული ბიუროს შემდგომი მოქმედებების განხორციელება მოსარჩელის კანონიერ ინტერესებს არ ეხება.

კასატორმა – სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შესასება მისცა 2012 წლის 7 მარტის საპროცესო შეთანხმების ოქმს. აღნიშნული საპროცესო შეთანხმების ოქმი ზედმინევით შეიცავს ინფორმაციას ზ. ჩ-ის მიერ ჩადენილი ბრალის შესახებ. კერძოდ, მასში ასახულია, რომ დამნაშავე ზ. ჩ-მა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან 2006 წლის 22 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მიზნობრივი საშეღავათო კრედიტით, სესხის სახით აღებული 1 300 000 ლარი გამოიყენა არადანიშნულებისამებრ და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2009 წელს არ გადაუხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული 2009 წლის IV კვარტალში გადასახდელი პირველადი შენატანი – 260 000 ლარი. ამის საპირისპიროდ ზ. ჩ-მა დანაშაულებრივი გზით მოახდინა ზემოაღნიშნული თანხის არამიზნობრივად გამოყენება, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, რამაც სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. აღნიშნული საპროცესო შეთანხმებით განისაზღვრა, რომ ზ. ჩ-ს სახელმწიფოზე მიყენებული ზიანი (იაფი კრედიტის ფარგლებში აღებული სესხი) უნდა აენაზღაურებინა 2012 წლის 1 ივნისამდე, რაც მან არ განახორციელა. აღნიშნულ გარემოებას სასამართლომ არანაირი შეფასება არ მისცა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 9 მარტის (საქმე №1/ზ-13-12) განაჩენით და საპროცესო შეთანხმების ოქმის თანახმად, დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურატურასა და ზ. ჩ-ს შორის და ზ. ჩ-ს დაე-

კისრა სახელმწიფოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება 2012 წლის 1 ივნისამდე. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ რადგან განაჩენი არ შეიცავდა „ზიანის ანაზღაურების შესახებ ჩანაწერს“ და დეტალური თანხა არ იყო განსაზღვრული, ამიტომ ის იყო ზოგადი მითითება და ისეთი გარემოება, რომლის თაობაზეც სასამართლოს საერთოდ არ უნდა ემსჯელა. სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა განჩინების შინაარსობრივ მხარეზე, თუ რატომ და რის გამო იქნა ზ. ჩ-ი პასუხისმგებელი მიცემული და გადაწყვეტილება დააფუძნა გაურკვეველ არგუმენტაციას. ნ. გ-ას მიერ ზ. ჩ-ის სახელით აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, შეტანილ იქნა 1 900 000 (1 300 000 სოფლის მეურნეობის სამინისტროს + 600 000 მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხები) ლარი. სასამართლომ უბრალოდ აღნიშნა, რომ ნ. გ-ას მიერ შეტანილ იქნა 1 900 000 ლარი. თუმცა უგულებელყო საქმეში არსებული ყველანაირი სახის მტკიცებულება: თუ რისთვის იყო თანხა შეტანილი, რომელი სესხების უზრუნველსაყოფად და რა იყო ამ 1 900 000 ლარის მიზნობრივი დანიშნულება.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორი ინტერპრეტაცია მისცა, საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 27 დეკემბრის №13/17523 წერილს და აღნიშნა, რომ ის არ იყო აღსრულების ქვემდებარე აქტი. აღნიშნული დასკვნა დაუსაბუთებელია, ვინაიდან, ზემოაღნიშნული წერილით აღსრულების ეროვნულ ბიუროს ეცნობა, რომ ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე ზ. ჩ-ის სახელით სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანის უზრუნველსაყოფად განთავსებული 1 900 000 ლარიდან, 783 143,76 ლარი გადაირიცხა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, ხოლო დარჩენილი 1 116856,24 ლარი (რომელიც ასევე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზიანის უზრუნველყოფისთვის შეტანილ თანხას წარმოადგენდა) კანონით დადგენილი წესით მიმართული უნდა ყოფილიყო 2006 წლის 22 სექტემბრის №3 ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული სოფლის მეურნეობის სამინისტროს დავალიანების – 1 389 190,09 ლარის დასაფარავად.

სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა იმაზე, რომ ზემოაღნიშნული წერილის საფუძველი იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 9 მარტის (საქმე №1/ზ-13-12) განაჩენისა და საპროცესო შეთანხმების ოქმის თანახმად, დამტკიცებული საპროცესო შეთანხმებით პროკურატურასა და ზ. ჩ-ს შორის და ზ. ჩ-ს დაეკისრა სახელმწიფოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება 2012 წლის 1 ივნისამდე. აღნიშ-

ნული განჩინების უზრუნველსაყოფად, 2012 წლის ნოემბერში მსჯავრდებულ ზ. ჩ-ის სახელით აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად ნ. გ-ას მიერ შეტანილ იქნა 1 900 000 ლარი. სასამართლომ აღნიშნა, რომ ნ. გ-ამ მის მიერ შეტანილი 1900 000 ლარიდან 2012 წლის 23 ოქტომბრის აღსრულების ეროვნული ბიუროს სახელზე შეტანილი განცხადების საფუძველზე 783 143,76 ლარი გადარიცხა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.

კასატორი მიუთითებს, რომ სასამართლო უგულებელყოფს მთავარს – იმას, რომ ნ. გ-ამ ზ. ჩ-ის სახელით აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე, სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად შეიტანა 1 900 000 ლარი, საიდანაც 783 143,76 ლარი გადარიცხა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, ხოლო დარჩენილი 1 116 856,24 ლარი (რომელიც ასევე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზიანის უზრუნველყოფისთვის შეტანილ თანხას წარმოადგენდა) განთავსებულია აღსრულების სადეპოზიტო ანგარიშზე, რომელიც კანონით დადგენილი წესით მიმართული უნდა ყოფილიყო 2006 წლის 22 სექტემბრის №3 ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული დავალიანების – 1 389 190,09 ლარის დასაფარავად. კასატორისთვის გაუგებარია თუ რატომ მიიჩნევს სასამართლო ნ. გ-ას კანონიერ ინტერესს და უფლებებს დადასტურებულად აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე არსებულ თანხასთან მიმართებაში, მაშინ როდესაც კანონით დადგენილი წესით პატიმრობაში მყოფი განსასჯელის სახელით, საპროცესო შეთანხმებისთვის განკუთვნილი თანხა შეაქვს არა მსჯავრდებულ პირს თავად, არამედ სხვა პირს – ამ შემთხვევაში ნ. გ-ას. შესაბამისად, ნ. გ-ას მიერ სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე პროკურორსა და ზ. ჩ-ს შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმების პირობის შესრულების მიზნით 1 900 000 ლარი იქნა (ამჟამად 1 116 856,24 ლარი) შეტანილი. აღნიშნული თანხის ნ. გ-ას (თუ სხვა დაინტერესებული პირის) მიერ შეუტანლობის შემთხვევაში სახელზე იქნებოდა საპროცესო შეთანხმების საფუძველზე მიღებული განაჩენის გაუქმების ფაქტობრივი საფუძველი. დადგენილია, რომ განაჩენი არ გაუქმებულა, ვინაიდან ზ. ჩ-ის სახელით შეტანილ იქნა სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანის თანხა და მსჯავრდებულის მიმართ გაფორმდა საპროცესო შეთანხმება კანონით დადგენილი წესით. ამდენად, ხსენებული თანხა, მიმართული უნდა იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტში, გაცემული სესხის თანხის ასანაზღაურებელი ნაწილის დასაფარავად. აღნიშნულის განსახორციელებლად საქართველოს პროკურატურის მიერ განხორციელებული მოქმედება – მითითება თანხის გადარიცხვის თაობაზე

და თავის მხრივ, სააღსრულებო ბიუროს მიერ თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვა უნდა განხორციელდეს კონკრეტული ფაქტობრივი მიზნის მისაღწევად – იმ მიზნის რა მიზნითაც გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და რა დანიშნულებითაც იქნა ნ. გ-ას მიერ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე შეტანილი თანხა.

კასატორმა საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად იმავე გარემოებებზე მიუთითა, რომლებზეც მიუთითებენ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო თავიანთ საკასაციო საჩივრებში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს მთავარი პროკურატურისა და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს მთავარი პროკურატურისა და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. გ-ას სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნაა: დაევალოს საქართველოს მთავარ პროკურატურას თავი შეიკავოს აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე ნ. გ-ას სახელით განთავსებული თანხის – 1116856,40 ლარის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის გადარიცხვის მითითების მიცემისაგან; დაევალოს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავი შეიკავოს აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე ნ. გ-ას სახელით განთავსებული თანხის – 1116856,40 სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვისაგან.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელი აღძრულია ადმი-

ნისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე ნ. გ-ას მიერ და მოსარჩელის საბოლოო ინტერესს წარმოადგენს მის მიერ 2011 წელს აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანილი თანხიდან დარჩენილი ნაწილის – 1116856,40 ლარის დაბრუნება. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია ნ. გ-ას მიერ თანხის სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანის კანონიერი საფუძვლისა და მიზნის დადგენა.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ 2004 წლის 14 სექტემბერს შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლ...“, მის., ქ. კასპი, ... №7, (ს/ნ ...), რომლის საქმიანობის სფეროდ განისაზღვრა სასოფლო-სამეურნეო მარცვლოვანი კულტურების დათესვა, მოყვანა და რეალიზება. შპს „ლ...“ ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო ზ. ჩ-ი, რომელიც ფაქტობრივად თავად უძღვებოდა ფირმის საქმიანობას.

2006 წლის 30 ივნისს საქართველოს მთავრობის №129 დადგენილებით დამტკიცდა კონკურსის მონაცემების წესი, რომელიც შეეხებოდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მეთესლეობის განვითარების პროგრამის განხორციელებას, აღნიშნული მიზნად ისახავდა „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის პროგრამის „სურსათის პროგრესისათვის“ აქტის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო საქონლის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ხელშეკრულებების საფუძველზე ამერიკის შეერთებული შტატების მიერ უსასყიდლოდ გადაცემული სასურსათო ხორბლის რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხებიდან სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მეთესლეობის განვითარებას. ხსენებული სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო შპს „ლ...“, რომელმაც მის მიერ წარდგენილი ბიზნეს-გეგმის მეშვეობით, სახელმწიფოსაგან მიიღო 7 წლის ვადით მიზნობრივი საშელავათო კრედიტი 1300 000 ლარის ოდენობით, რის თაობაზეც 2006 წლის 22 სექტემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა (გამსესხებელს) და შპს „ლ...“ (მსესხებელს) შორის გაფორმდა №3 ხელშეკრულება. ხელშეკრულების მე-3 მუხლის თანახმად, შპს „ლ...“ სესხის დაფარვა უნდა დაეწყო 2009 წლის მე-4 კვარტიდან, ყოველწლიურად 260 000 ლარის ოდენობით და სრულად დაეფარა 2013 წელს. გარდა აღნიშნულისა, შპს „ლ...“ მეთესლეობის პროგრამის განვითარებისათვის უნდა განეხორციელებინა თანადაფინანსება 520 00 ლარის ოდენობით. 2007 წელს შპს „ლ...“ გადაერქვა სახელი და ეწოდა „...“, ხოლო საიდენტიფიკაციო ნომერი დარჩა იგივე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-

თა კოლეგიის 2010 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე შპს „...“ დაეკისრა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასარგებლოდ 1 404 000 ლარის გადახდა. გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ შპს „...“ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება არ შეასრულა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, კერძოდ, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 3.3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში არ განახორციელა ათვისებული სესხის დაფარვა ხელშეკრულებით დადგენილი გრაფიკის მიხედვით. ამდენად, შპს „...“ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო 1 300 000 ლარისა და პირგასამტეხლოს – 104 000 ლარის გადახდა.

საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პირის ბრალდების შესახებ საქართველოს მთავარი პროკურატურის 2011 წლის 6 მაისის დადგენილებით ზ. ჩ-ი ცნობილ იქნა ბრალდებულად სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ესე იგი უკანონო ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა, მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება) და 208-ე მუხლის მე-2 ნაწილით (სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტის არადანიშნულებისამებრ გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) გათვალისწინებულ დანაშაულში. დადგენილებაში მითითებულია, რომ სახელმწიფოსაგან 1 300 000 ლარის კრედიტის მიღების შემდგომ, შპს „დ...“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ზ. ჩ-მა, იმავე ფირმის დირექტორმა თ. დ-მ და სს „ს...“ (კასპის ... ქარხანა) დირექტორმა ვ. ა-მ, შექმნეს მყარი კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის დაფარვის გზით, უკანონო ქონების ლეგალიზება. ზ. ჩ-ის როლი ორგანიზებულ ჯგუფში გამოიხატებოდა, მითითებული დანაშაულებრივი ჯგუფის ხელმძღვანელობაში. დანაშაულებრივი განზრახვის აღსრულების მიზნით, სახელმწიფოსაგან მიღებული მიზნობრივი კრედიტის ფარგლებში მიღებული თანხით შპს „დ...“ დამფუძნებელი და ფაქტობრივი ხელმძღვანელი – ზ. ჩ-ი ორგანიზებულ ჯგუფთან ერთად 2006-2008 წლებში ახორციელებდა სპირტის არალეგალურ წარმოებასა და რეალიზაციას. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2011 წლის 6 მაისის დადგენილებაში ასევე მითითებულია, რომ შპს „დ...“ ნაკისრი ვალდებულებების გათვალისწინებით, მიღებული მიზნობრივი კრედიტის ფარგლებში არ ჰქონდა კრედი-

ტით აღებული თანხის არადანიშნულებისამებრ გამოყენების უფლება, კერძოდ, გაცემული კრედიტი არ ითვალისწინებდა ნედლეულისაგან (სიმინდი, სორგო) სპირტის წარმოებას, მიუხედავად აღნიშნულისა, ზ. ჩ-ი შპს „ღ...“ მიერ სახელმწიფოსაგან ნაკისრი ვალდებულებების უხეში დარღვევით, არამიზნობრივად, პირადი გამორჩენის მიზნით, ორგანიზებულ ჯგუფთან ერთად „საფურაჟე სიმინდისაგან“ და „სორგოსაგან“ ხდიდა სპირტს და არალეგალურად ახორციელებდა მის რეალიზაციას, რითაც ორგანიზებული ჯგუფის წევრების მიერ უკანონოდ მიღებული იქნა განსაკუთრებით დიდი ოდენობის შემოსავალი. სპირტის არალეგალური წარმოების შედეგად, უკანონოდ მიღებული განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხებით, ორგანიზებული ჯგუფის წევრები ახორციელებდნენ სხვადასხვა უძრავი თუ მოძრავი ქონების შეძენასა და საწარმოო პროცესის განვითარება-გაფართოებას. ზ. ჩ-ის მიერ განხორციელებულ ქმედებებს მიენიჭა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებითა და 208-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული კვალიფიკაცია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 9 სექტემბრის განაჩენით ზ. ჩ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებითა და 208-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის პროკურორსა და ზ. ჩ-ს შორის 2012 წლის 7 მარტს მიღწეული საპროცესო შეთანხმების ოქმის თანახმად, მხარეები დაეთანხმნენ განაჩენის დადგენას არსებითი განხილვის გარეშე. განაჩენის დადგენის პირობად მიჩნეულ იქნა შემდეგი: 1) ზ. ჩ-ი ცნობილი იქნებოდა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებითა და 208-ე მუხლის მე-2 ნაწილით; 2) სასჯელის სახედ და ზომად საბოლოოდ განესაზღვრებოდა 1 წლით, 4 თვით თავისუფლების აღკვეთა; 1 წელი, 11 თვე და 26 დღე პირობითი მსჯავრი, 2 წლის, 11 თვის და 26 დღის გამოსაცდელი ვადით; 3) სახელმწიფოზე მიყენებულ ზიანს (იაფი კრედიტის ფარგლებში მიღებულ სესხს) ზ. ჩ-ი აანაზღაურებდა 2012 წლის 1 ივნისამდე; 4) საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე, მსჯავრდებული ვალდებული იყო მიენოღებინა სრულყოფილი ინფორმაცია მისი პიროვნების შესახებ და სრულად შეესრულებინა საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული პირობები. ამასთან ზ. ჩ-ს განემარტა, რომ საპროცესო შეთანხმების გაფორმება მას არ ათავისუფლებს სამოქალაქო ან სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან და საპროცესო შეთანხმების პირობე-

ბის დარღვევის შემთხვევაში, პროკურორი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე. მსჯავრდებულმა – ზ. ჩ-მა განმარტა, რომ მისთვის გასაგებია აღნიშნული შეთანხმების არსი და იგი თანახმაა მასში არსებული პირობების შესრულებაზე. 2012 წლის 7 მარტს მიღწეული საპროცესო შეთანხმების ოქმის შესაბამისად, საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის პროკურორის მიერ 2012 წლის 7 მარტის შუამდგომლობის საფუძველზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 9 მარტის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და მსჯავრდებულ ზ. ჩ-ს შორის და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 9 სექტემბრის განაჩენში შევიდა ცვლილება.

2012 წლის 24 მაისს და 2012 წლის 25 მაისს ნ. გ-ას მიერ საალსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანილ იქნა 1300000 ლარი. საგადახდო დავალებების გადახდის დანიშნულების გრაფაში მითითებულია – ზ. ჩ-ის (პ/ნ ...) მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმადაც, ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორს სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე. საპროცესო შეთანხმების დადებისას ბრალდებული პროკურორს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ პირობებთან ერთად შეიძლება შეუთანხმდეს თანამშრომლობაზე ან/და ზიანის ანაზღაურებაზე. ამავე კოდექსის 210-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ბრალდებულისათვის სასჯელის შემცირების მოთხოვნისას ან ბრალდების შემსუბუქების ან ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი ითვალისწინებს საჯარო ინტერესს, რომელსაც იგი სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტების, ჩადენილი დანაშაულისა და მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმის, დანაშაულის ხასიათის, ბრალეულობის ხარისხის, ბრალდებულის საზოგადოებრივი სამიშროების, პიროვნული მახასიათებლების, ნასამართლობის, გამოძიებასთან თანამშრომლობისა და დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით ბრალდებულის ქცევის შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს. იმავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, საპროცესო შეთანხმების შესახებ დგება ოქმი, რომელშიც ასახულია ბრალდებულსა და პროკურორს შორის მოლაპარაკების პროცესი

(საპროცესო შეთანხმების ოქმი). საპროცესო შეთანხმების ოქმის ასლი ბრალდებულსა და მის ადვოკატს გადაეცემა. ბრალდებულსა და მის ადვოკატს უფლება აქვთ, საპროცესო შეთანხმების ოქმზე გამოთქვან შენიშვნები, ისინი თან ერთვის ამ ოქმს. საპროცესო შეთანხმების ოქმს ხელს აწერენ პროკურორი, ბრალდებული და მისი ადვოკატი, აგრეთვე ბრალდებულის კანონიერი წარმომადგენელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. საპროცესო შეთანხმების დამტკიცების წესი მოცემულია ამავე კოდექსის 211-213-ე მუხლებში. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ მსჯავრდებულმა დაარღვია საპროცესო შეთანხმების პირობა, პროკურორი უფლებამოსილია დარღვევის გამოვლენიდან 1 თვის ვადაში ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში შეიტანოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე.

ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსი ცხადყოფს, რომ საპროცესო შეთანხმება ფორმდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს გააჩნია საპროცესო შეთანხმების გაფორმების კანონით გათვალისწინებული ინტერესი. მოცემულ შემთხვევაში ზ. ჩ-თან საპროცესო შეთანხმების გაფორმების სახელმწიფოს ინტერესს წარმოადგენდა მსჯავრდებულის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს „...“ დაკისრებული სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ნებაყოფლობით ანაზღაურება. ამდენად, ნ. გ-ას მიერ სწორედ პროკურორსა და ზ. ჩ-ს შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმების პირობის შესრულების მიზნით იქნა შეტანილი სადავო თანხა სააღსრულებო ბიუროს სადებოზიტო ანგარიშზე. 2012 წლის 7 მარტის საპროცესო შეთანხმების ოქმით გათვალისწინებული თანხის დადგენილ ვადაში – 2012 წლის 1 ივნისამდე აუნაზღაურებლობის შემთხვევაში სახეზე იქნებოდა საპროცესო შეთანხმების საფუძველზე მიღებული განაჩენის გაუქმების ფაქტობრივი საფუძველი.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ აღნიშნულ შედეგს არ ცვლის სისხლის სამართლის საქმეზე 2012 წლის 9 მარტის განაჩენში ასანაზღაურებელი ზიანის თანხის მიუთითებლობა, რამდენადაც ზ. ჩ-ის მიმართ ბრალდებულად ცნობის შესახებ გამოტანილი 2011 წლის 6 მაისის დადგენილების გამოცემისას უკვე არსებობდა ბრალდებულის ქმედებიდან გამომდინარე სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანისა და მისი ოდენობის დამადასტურებელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება. ამასთან, საკასაციო პალატის მიერ ზემოთ მითითებული მტკიცებულებების თანახმად

ზ. ჩ-ი წარმოადგენდა შპს „ლ...“ (უფლებამონაცვლე შპს „...“) 2006 წლის 30 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევაზე პასუხისმგებელ ერთ-ერთ სუბიექტს, რამდენადაც საქმეზე დადგენილი უდავო გარემოებებით დასტურდება, რომ ზ. ჩ-მა ორგანიზებულ ჯგუფთან ერთად, ჯერ შპს „ლ...“ და შემდგომ შპს „...“ მეშვეობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებითა და 2008-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილ განაჩენში მიყენებული ზიანის თანხის მსჯავრდებულისათვის დაკისრების თაობაზე მითითების განხორციელება გამოიწვევდა შპს „...“ და ფიზიკურ პირზე ზიანის ერთი და იმავე თანხის დაკისრებას, რა შემთხვევაშიც სახელმწიფოს შესაძლებლობა ექნებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე შპს „...“ და სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი 2012 წლის 9 მარტის განაჩენის საფუძველზე ზ. ჩ-ისგან ცალ-ცალკე მიეღო მისთვის მიყენებული ზიანის თანხა, რაც შექმნიდა სამოქალაქო კოდექსის მე-3 თავით გათვალისწინებულ პირობებს. ამდენად, საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს მოსარჩელის მოსაზრებას, რომ განაჩენში ასანაზღაურებელი ზიანის თანხის ოდენობის მიუთითებლობის გამო არ არსებობდა ზიანის თანხის გადახდის ვალდებულება.

მოსარჩელე არ უარყოფს, რომ სადავო თანხა წარმოადგენს იაფი კრედიტის ფარგლებში მიღებული სესხის ანაზღაურების მიზნით სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანილ თანხას, თუმცა პრეტენზიას აცხადებს ფორმალური საფუძველით, ვინაიდან სასამართლოს განაჩენში არ იქნა დადგენილი ზ. ჩ-ის მხრიდან რომელიმე სუბიექტის მიმართ ზიანის მიყენების ფაქტი და არ განისაზღვრა ზიანის ოდენობა, მოიხსნა ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის საჭიროებაც, რის გამოც მოსარჩელის მოსაზრებით სადეპოზიტო ანგარიშზე ნ. გ-ას მიერ განთავსებული თანხის სხვა სუბიექტზე გადაცემის სამართლებრივი საფუძველიც არ არსებობს.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ შპს „ლ...“ გაცემული იყო სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტი ზუსტად განსაზღვრული საჭიროებისათვის უცხოური საინვესტიციო პროგრამების რეალიზაციის გზით. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილებითა და სისხლის სამართლის საქმის წარმოების მასალებით დადგენილია სახელმწიფოსათვის ზიანის მიყენების ფაქტი, განსაზღვრულია ზიანის

ოდენობა და ზ. ჩ-ის მიერ აღიარებულია ზიანის თანხის ანაზღაურების ვალდებულება, რაც მხარის მიერ დადასტურებულია სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის შეტანით. მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არა თანხის შემტანი პირის ვინაობას, არამედ თანხის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში თანხის გადახდის დანიშნულებას, რამდენადაც სისხლის სამართლის საქმეზე საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას თავისუფლება აღკვეთილი მსჯავრდებული პირი, მისი ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ვერ იქნება გადასახადის გადამხდელი სუბიექტი. ამასთან, ზ. ჩ-ის მიერ სისხლის სამართლის საქმეზე აღიარებულია ორგანიზებულ ჯგუფში მონაწილეობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით, რასაც თანახმად განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება და სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტის არადანიშნულებისამებრ გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს მოსარჩელის მოსაზრებას სადავო თანხასთან მიმართებაში კრედიტორის არარსებობის თაობაზე და მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში, კრედიტორს წარმოადგენს სახელმწიფო, რომელსაც ზ. ჩ-ის მონაწილეობით შექმნილი ორგანიზებული ჯგუფის უკანონო მოქმედებით მიადგა მატერიალური ზიანი. სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურა მოქმედებენ სახელმწიფოს ინტერესებში, საჯარო დაწესებულებას თავის ინტერესი არ აქვს, ის იცავს სახელმწიფოს ინტერესს (იხ. სუს. 02.12.09წ. განჩინება საქმე №ბს-1058-1016(2კს-09). შესაბამისად, პროკურატურას მის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი გარემოებების საფუძველზე გააჩნდა ლეგიტიმური უფლებამოსილება ზ. ჩ-ის მიერ მიყენებული ზიანის უზრუნველსაყოფად სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული თანხის გადარიცხვა მოითხოვოს შესაბამისი მიზნობრივი დანიშნულებით.

ამდენად, ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ნ. გ-ას სარჩელის საფუძველზე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გამოტანის პროცესუალური შესაძლებლობა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურისა და აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ განსახორციელებელი მოქმედებები სახელმწიფო ბიუჯეტში თანხის გადარიცხვის თაობაზე, ეფუძნება საქართველოს მთავარ პროკურატურასა და მსჯავრდებულ პირს შორის მიღწეული საპროცესო შეთან-

ხმების პირობის შესრულებას და იგი ნ. გ-ას კანონიერი უფლების ან ინტერესისათვის ზიანის მიმყენებელი ვერ იქნება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. გ-ას სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავდროულად მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, იგი შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში, ნ. გ-ამ კასატორ სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს უნდა აუნაზღაუროს საკასაციო ინსტანციაში მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს მთავარი პროკურატურისა და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ნ. გ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. ნ. გ-ას დაეკისროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო ინსტანციის სასამართლოში 2017 წლის 23 ივნისის №07669 საგადახდო მოთხოვნით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ანაზღაურება;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სახელმწიფოს პასუხისმგებლობა საჯარო
მოსამსახურეთა მიერ მიყენებული ზიანისათვის**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-1143-1137(2კ-17)

2 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ნ-მა, ა. გ-ემ, ბ. კ-ემ, ი. მ-მა, ე. მ-ი-ჯ-მა, ა. მ-მა, კ. ჩ-ემ, გ. მ-მა, ვ. ქ-მა და ნ. ფ-ემ 2015 წლის 3 დეკემბერს სარჩელი აღძრეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ. მოსარჩელებმა მოპასუხეებისათვის უკანონო დაკავებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით კ. ჩ-ის, ი. მ-ის, ვ. ქ-ის, ა. გ-ის, ბ. კ-ის, გ. მ-ის სასარგებლოდ, თითოეულისათვის 3000 ლარის გადახდისა და მ. ნ-ის, ნ. ფ-ის, ე. მ-ი-ჯ-ისა და ა. მ-ის სასარგებლოდ თითოეულისათვის 1500 ლარის გადახდის დაკისრება მოითხოვეს.

მოსარჩელები აღნიშნავენ, რომ 2015 წლის 19 ივლისს, თბილისში საკრებულოს შენობის წინ ტარდებოდა აქცია, „არა პანორამას“ აქციის გამართვა განაპირობა 2015 წლის 16 ივლისს გავრცელებულმა ინფორმაციამ, რომლის თანახმადაც სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ „პანორამა თბილისის“ პროექტზე მშენებლობის ნებართვა გასცა. აქციის მონაწილეებს ეკავათ სხვადასხვა სახის პლაკატები, რომელიც გამოხატავდა პროტესტს დაგეგმილ მშენებლობასთან დაკავშირებით. აქციის ერთ-ერთ მონაწილეს (გ. მ-ს) სხვა პლაკატთან ერთად, ასევე ეკავა ფურცელი, რომელზე გამოსახული წარწერითაც პანორამა შედარებული იყო მამაკაცის სასქესო ორგანოს. სწორედ აღნიშნული წარწერის გამო პოლიციის თანამშრომლებმა მოახდინეს გ. მ-ის დაკავება. რაც აქციის სხვა მონაწილეებმა იმავე წარწერით დაწერილი ფურცლებით გააპროტესტეს. შედეგად, პოლიციამ დააკავა აქცი-

ის 10 მონაწილე. რვა დაკავებულის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი 166-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო 2 პირთან, მათ შორის, ი. მ-თან მიმართებით 166-ე მუხლთან ერთად სამართალდარღვევის ოქმი შედგა 173-ე მუხლის საფუძველზეც. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საჩივრის წარმომდგენი პირები ჩაითვალნენ სამართალდამრღვევებად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისთვის და შეეფარდათ ჯარიმა 100 ლარის ოდენობით. ი. მ-ის მიმართ დაწყებული საქმის წარმოება 173-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ნაწილში შეწყდა, სამართალდარღვევის ქმედების არარსებობის გამო. სამართალდარღვევის არარსებობის საფუძველით საქმის წარმოება შეწყდა მ. ნ-ის, ბ. კ-ისა და ა. გ-ის მიმართ. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ათივე მათგანი დაკავებულ იქნა ადმინისტრაციული წესით. მათგან 4 (ე. მ-ი-ჯ-ი, ნ. ფ-ე, მ. ნ-ი, ა. მ-ი) გათავისუფლდა დაკავებიდან დაახლოებით 3 საათის შემდგომ, ხოლო დანარჩენი დაკავებულები გადაყვანილ იქნენ დროებითი მოთავსების იზოლატორში. მათი გათავისუფლება მოხდა მეორე დღეს, 20 ივლისს სასამართლო პროცესის შემდგომ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით მოსარჩეელების – მ. ნ-ის, ა. გ-ის, ბ. კ-ის, ი. მ-ის, ე. მ-ი-ჯ-ის, ა. მ-ის, კ. ჩ-ის, გ. მ-ის, ვ. ქ-ისა და ნ. ფ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით მოსარჩეეებმა გაასაჩივრეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 13 თებერვლის განჩინებით ბ. კ-ის, ა. მ-ისა და გ. მ-ის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით მ. ნ-ისა და ა. გ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება მ. ნ-ისა და ა. გ-ის სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მ. ნ-ისა და ა. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს მ. ნ-ის სასარგებლოდ დაეკისრათ 500 ლარის გადახდა; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა

სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს ა. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრათ 1 000 ლარის გადახდა; ი. მ-ის, ე. მ-ი-ჯ-ის, კ. ჩ-ის, ნ. ფ-ის, ვ. ქ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება ი. მ-ის, ე. მ-ი-ჯ-ის, კ. ჩ-ის, ნ. ფ-ისა და ვ. ქ-ის სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე და 208-ე მუხლებზე, სასაქალაქო კოდექსის 317-ე და 1005-ე მუხლებზე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლზე, მე-5 მუხლის მე-5 პუნქტზე.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის დადგენა და საქმის წარმოების შეწყვეტა, თავისთავად გულისხმობს დაკავების არაკანონიერების დადასტურებას. საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ შეიძლება დაიწყოს, ხოლო დაწყებული საქმე უნდა შეწყდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო. ამავე კოდექსის 246-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული დაკავება შეუძლიათ შინაგან საქმეთა ორგანოებს – წვრილმანი ხულიგნობის შემთხვევებში. ხოლო 247-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირი, რომელმაც ჩაიდინა წვრილმანი ხულიგნობა, შეიძლება დაკავებულ იქნეს კანონით დადგენილ ვადაში მოსამართლის ან შინაგან საქმეთა ორგანოს უფროსის (უფროსის მოადგილის) მიერ საქმის განხილვამდე. აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ ადმინისტრაციული დაკავება მოცემულ შემთხვევაში შეიძლება განხორციელებულიყო თუ დადასტურდებოდა სამართალდარღვევის ჩადენა, კერძოდ, 166-ე მუხლით განსაზღვრული წვრილმანი ხულიგნობის ჩადენა. საქმის მასალების შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივლისის დადგენილებით დადასტურებულია, რომ ა. გ-ეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევა არ ჩაუდენია, ხოლო მ. ნ-ს საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა არ ჩაუდენია, ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მისი დაკავების საფუძველი არ არსებობდა.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ 244-ე მუხლით გათვალისწინებული ჩარევა თავისუფლების ძირითად უფლებაში ემსახურება ისეთი ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, როგორცაა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღკვეთა, საქმის დროული და სწორი განხილვა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე მიღებული დადგენილების აღსრულება. აღსანიშნავია ისიც, რომ პირის ადმინისტრაციულ დაკავებას კანონი მხოლოდ მას შემდეგ ითვალისწინებს, როცა ამოიწურება ზემოქმედების სხვა ზომები. ამდენად, პირის ადმინისტრაციული დაკავება არის ოქმის შემდგენისთვის მინიჭებული შესაძლებლობა, კანონით დადგენილ შემთხვევაში და წესით მოახდინოს პირის დაკავება სამართალდარღვევის აღსაკვეთად, სამართალდარღვევაზე რეაგირების მოსახდენად მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ზემოქმედების სხვა ზომები ამოწურულია.

პალატამ განმარტა, რომ ადმინისტრაციული დაკავება ემსახურება კონკრეტულ მიზნებს – მართლწესრიგის დაცვას, სამართალდარღვევის აღკვეთას, სამართალდამრღვევი პირის მიმართ შესაბამისი სანქციის შეფარდების შესაძლებლობის განხორციელებას. საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც აღჭურვილი არიან სამართალდარღვევის აღკვეთისთვის საჭირო ფართო უფლებამოსილებებით, განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მიუდგინენ პირის მიმართ ზემოქმედების ისეთი ზომების გამოყენებას, რომლებიც იწვევს პირისთვის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის შეზღუდვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჯარო წესრიგის დაცვა შეუძლებელი იქნება და მოხდება პირთა კანონით დაცული ინტერესების შელახვა. ამასთან, ადმინისტრაციული დაკავებისას არსებული ფაქტობრივი გარემოებები შესაძლებელია, რომ პოლიციის თანამშრომლებს უქმნიდეს დასაბუთებულ ეჭვს, რომ პირმა ჩაიდინა სამართალდარღვევა და აუცილებელია მისი დაკავება, მაგრამ საქმის განხილვისას და სასამართლო დადგენილებით უნდა დადგინდეს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას ადგილი არ ჰქონია. სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლით განსაზღვრული ზიანის ანაზღაურებისთვის პირის მარეაბილიტირებელ გარემოებად უპირობოდ უნდა იქნეს მიჩნეული მის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დადგენილების მიღება, ვინაიდან ამგვარი აქტი ადასტურებს, რომ გამართლებულ პირს სამართალდარღვევა არ ჩაუდენია, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს მის უფლებებში აღდგენას – მის რეაბილიტაციას. რაც შეეხება აღნიშნული მუხლის მეორე კომპონენტს – ქმედების უკანონობას, ქმედების უკანონო-

ბა არ უნდა შეფასდეს მხოლოდ კონკრეტული საპროცესო თუ მატერიალური ნორმის დარღვევის დადგენით, გამართლებულ პირს უნდა მიეცეს უფლებების აღდგენის ეფექტური შესაძლებლობა. პირის ადმინისტრაციული დაკავება ემსახურება სახელმწიფოს ლეგიტიმურ მიზანს – საზოგადოების, მისი კონკრეტული წევრის უსაფრთხოების დაცვას. ამასთან, უფლებამოსილი ორგანო წინასწარ ვერ განსაზღვრავს კონკრეტული საქმის შედეგს, ვინაიდან მტკიცებულებათა შეფასება შემაჯამებელი გადანყვეტილების გამოტანისთვის საკმარისობის კუთხით წარმოადგენს სასამართლოს კომპეტენციას, თუმცა, პირს, რომლის ქმედებაშიც სამართალდარღვევის ნიშნების არსებობა არ დადასტურდა, უნდა მიეცეს შესაბამისი კომპენსაცია სახელმწიფოს მხრიდან მისი უფლებებში გამართლებელი ან/და გადაჭარბებული ჩარევისთვის. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მარეაბილიტირებელი გარემოება და აქედან გამომდინარე, ქმედების უკანონობაც, რაც მოცემული მუხლის მიზნებისთვის არ უნდა იქნეს გაიგივებული მხარის მიერ დაკავების გასაჩივრების აუცილებლობასთან. პირის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შეწყვეტით დასტურდება, რომ პირს არ ჩაუდენია სამართალდარღვევა, რომლის აღკვეთის ან რომელზეც სათანადო რეაგირების მოხდენის მიზანსაც ემსახურება ადმინისტრაციული დაკავება. სწორედ ამიტომ, აღნიშნული გარემოებების არსებობა საკმარისია პირისთვის ზიანის ანაზღაურებისთვის და აუცილებელი არ არის, პირს გასაჩივრებული ჰქონდეს ადმინისტრაციული დაკავება ან დაკავება უკანონოდ იქნეს აღიარებული შესაბამისი ორგანოს მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირს არ ექნებოდა ზიანის ანაზღაურების რეალური შესაძლებლობა.

პალატა, ასევე, მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე, რომელმაც დაადგინა ფუნდამენტური განსხვავება კონვენციის მე-5 მუხლიდან გამომდინარე თავისუფლების აღკვეთასა და გადაადგილების თავისუფლებას შორის. თავისუფლების აღკვეთასა და პირის გადაადგილების თავისუფლების აღკვეთას შორის განსხვავება ინტენსიურობისა და ხარისხის საკითხი უფროა, ვიდრე მისი ბუნების ან არსის (იხ. „გუზარდი იტალიის წინააღმდეგ“ (1980). შეიძლება გაკეთდეს მცირე განზოგადება და ყოველი საქმისათვის დამახასიათებელი გარემოებები გამოკვლეულ იქნეს დეტალურად. ყველა კრიტერიუმი, როგორცაა ტიპი, ხანგრძლივობა, სადავო ღონისძიების განხორციელების ფორმა და მისი შედეგები, მთლიანობაში უნდა იქნეს განხილული. ამდენად, ადმინისტრაციულ დაკავებასა და ადმინისტრაციულ პატიმრობას შორის განსხვავება არის მის ინტენსივობასა და ხარის-

ხში, ამასთან, ადმინისტრაციული დაკავება არის უზრუნველყოფის ღონისძიება, ხოლო ადმინისტრაციული პატიმრობა წარმოადგენს ადმინისტრაციული სახდელის სახეს, თუმცა თავისი არსით, პირისთვის კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებების – თავისუფალი მიმოსვლის უფლების შეზღუდვა და დამდგარი ნეგატიური შედეგებით, რაც გამოიხატება კონკრეტულ დანესებულებაში გარკვეული დროით მოთავსებაში, პირის რეპუტაციაზე გავლენის მოხდენაში, უარყოფითი განცდების წარმოქმნაში, ისინი ერთმანეთს ჰგვანან. სწორედ ამიტომ, სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მითითება იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციული დაკავება არ ექცევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემადგენლობაში. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების წესს ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.

პალატამ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილზე მითითებით განმარტა, რომ კანონით ერთმნიშვნელოვნადაა დადგენილი მორალური ზიანის ანაზღაურება პატივის, ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი ხელშეუხებლობის ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისას, ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებისას. ამდენად, პირის კანონით დაცული სხვა უფლებების შეზღუდვა არ წარმოშობს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, რაც გამონეუულია მორალური ზიანის სპეციფიკით, რამეთუ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით განსაზღვრული სიკეთის ხელყოფისას პირი განსაკუთრებულად განიცდის სულიერ თუ ფიზიკურ ტანჯვას. საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების მიხედვით, ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყე-

ნება.

კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამ ნორმის შესაბამისად, მთავარი ღირებულება არის ადამიანი, როგორც თვითმყოფადი, თავისუფალი და სხვა ადამიანების თანასწორი სუბიექტი. ადამიანის ღირსების დაცვა არის ის, რაც უპირობოდ ეკუთვნის ყველა ადამიანს. ღირსება ადამიანს აქვს იქიდან გამომდინარე, რომ ის ადამიანია და ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ გააჩნია საზოგადოების შეხედულებას მასზე, ან მის სუბიექტურ თვითშეფასებას. ადამიანის ღირსების პატივისცემა გულისხმობს ყოველი ადამიანის პიროვნულ აღიარებას, მისი ჩამორთმევა და შეზღუდვა დაუშვებელია. მოსარჩელეთა ადმინისტრაციული დაკავებით მოხდა ზემოაღნიშნულ კონსტიტუციურ უფლებათა შელახვა, რაც წარმოადგენს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძველს პირის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის პირობებში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე. სასამართლომ ყურადღება მიაქცია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 246-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტს და მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული დაკავება განახორციელეს სწორედ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, შესაბამისად, დამდგარი ზიანი სწორედ მათი ქმედების პირდაპირი და გარდაუვალი შედეგია და ზიანის მიმყენებლებს წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, ე. ბ-ე და ი. კ-ე. სასამართლო მიუთითებს, რომ სამოქალაქო კოდექსი სახელმწიფო მოსამსახურეთათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებას ითვალისწინებს მხოლოდ მათი ბრალეულობის დადგენის შემთხვევაში, ამასთან უხეში გაუფრთხილებლობის ნორმატიული შინაარსი სამოქალაქო კოდექსით დადგენილი არ არის. სასამართლომ მიიჩნია, რომ უხეში გაუფრთხილებლობა წარმოადგენს შეფასებით კატეგორიას, რომელიც უნდა გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, პიროვნების, მისი სუბიექტური დამოკიდებულებისა და ობიექტური გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე. უხეში გაუფრთხილებლობა გამოიხატება იმ ნორმათა და მითითებათა გაუთვალისწინებლობასა და დარღვევაში, რომლებიც უნდა იცოდეს შესაბამისი ქმედების განმახორციელებელმა პირმა. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლო ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ სახეზეა პატრულ-ინსპექტორთა მიერ ადმინისტრაციული დაკავების განახორციელება, ხოლო მათთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლება-მოვალეობების განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომ-

დინარე, სავალდებულოა, რომ ისინი თითოეულ შემთხვევაში განსაკუთრებით ფრთხილად მოქმედებდნენ ისეთი ქმედითი მექანიზმების გამოყენებისას, რომლებიც მათ სპეციალურ უფლებამოსილებას მიეკუთვნება და იწვევს პირის კონსტიტუციით დაცული უფლებების შეზღუდვას, ადმინისტრაციული დაკავება უნდა იყოს უკიდურესი ზომა, რომლის გამოყენების გარეშეც შეუძლებელი იქნება კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვა და დაკისრებული უფლებამოსილების შესრულება, განსახილველ შემთხვევაში კი, დაკავების ოქმში მითითებული მოტივების, სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულ პირთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, სამართალდარღვევის საქმეთა შეწყვეტის გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ ე. ბ-ისა და ი. კ-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა აუცილებელი ყურადღებანიანობის მოთხოვნათა დარღვევას და მათ ვერ უზრუნველყვეს ბრალის არარსებობის დადასტურება, რაც მათთვის ზიანის ანაზღაურების სოლიდარულად დაკისრების საფუძველს წარმოადგენს.

სასამართლომ გაითვალისწინა, რომ მოსარჩელები, რამდენიმე საათის განმავლობაში იყვნენ დაკავებულნი, რა დროსაც შეიზღუდა მათი თავისუფალი მიმოსვლის უფლება, შეილახა პირის ღირსება და მიიჩნია, რომ მორალური ზიანის სახით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს მ. ნ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისრებოდათ 500 ლარის გადახდა. ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს ა. გ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისრებოდათ 1 000 ლარის გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ი. მ-მა, ე. მ-ი-ჯ-მა, კ. ჩ-ემ, ვ. ქ-მა და ნ. ფ-ემ.

კასატორმა – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელებისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნა, რომ სააპელაციო პალატის მხრიდან აპელანტების მ. ნ-ისა და ა. გ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილება არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თაობაზე იმ მოტივით, რომ ისინი უკანონოდ იქნენ ადმინისტრაციული წესით დაკავებული საპატრულო პოლიციის თანამშრომლების

მიერ, ვინაიდან მათ მიმართ სამართალდარღვევის საქმეზე საქმის წარმოება შეწყდა, სამართლებრივად დაუსაბუთებელია. ვინაიდან ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება არ განხორციელებულა, აღნიშნული ნათლად ადასტურებს, რომ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული პატიმრობა გააიგივა ადმინისტრაციულ დაკავებასთან. სამინისტრო სასამართლოს მსგავს მიდგომას არ ეთანხმება და მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული. აღნიშნული ორი ინსტიტუტი ცალსახად განსხვავდება ერთმანეთისაგან. კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 24-ე მუხლის შესაბამისად ადმინისტრაციული პატიმრობა არის ადმინისტრაციული სახდელის სახე ანუ სამართლებრივი შედეგი. რაც შეეხება ადმინისტრაციულ დაკავებას აღნიშნული წარმოადგენს უზრუნველყოფის ღონისძიებას, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად, როცა ამონურულია ზემოქმედების სხვა ზომები, პიროვნების დასადგენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შესადგენად, თუ ოქმის შედგენა აუცილებელია, მაგრამ მისი ადგილზე შედგენა შეუძლებელია, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის დროულად და სწორად განხილვისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების აღსრულების უზრუნველსაყოფად.

კასატორის მოსაზრებით, ადმინისტრაციული დაკავება თავისი არსით არის უზრუნველყოფის ღონისძიება და არა საბოლოო შედეგი. მოცემულ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული მუხლი – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს ადმინისტრაციული პატიმრობის შემთხვევაში რეაბილიტირების შესაძლებლობას და არა ადმინისტრაციული დაკავების დროს. ადმინისტრაციული დაკავება თავისი არსით იმდენად მცირე ჩარევას ადამიანის თავისუფალი გადაადგილების უფლებაში, რომ იგი კონსტიტუციის მე-18 მუხლით გათვალისწინებული დაპატიმრების რეგულაციის სფეროშიც არ ხვდება. კერძოდ, კონსტიტუციის მე-18 მუხლისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისად, დაკავების – დაპატიმრებად ანუ თავისუფლების შეზღუდვად მიჩნევისათვის ამოსავალ წერტილად კონკრეტული ვითარება უნდა იქცეს, როგორცაა გამოყენებული ზომის სახე, ხანგრძლივობა, შედეგები და საშუალება. დაკავება არ არის პატიმრობა და არ შეიძლება იქნეს ანალოგიის საქმით გამოყენებული, ვინაიდან ადმინისტრაციული დაკავება თავისი მიზნისა და ამოცანის, განხორციელებული ჩარევის სამართლებრივი შედეგისა და მისი ინ-

ტენსივობის თვალსაზრის, იმდენად მცირეა, რომ კონსტიტუცია სასამართლოს გადანყვეტილების გარეშე უშვებს. ვინაიდან ადმინისტრაციული დაკავების ვადა არ აღემატება 12 საათს, ნაკლები ინტენსივობით ხასიათდება იგი, ვერ იქნება მიჩნეული კონსტიტუციის მე-18 მუხლით გათვალისწინებული თავისუფლების შეზღუდვის იმგვარ ფორმად, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 პუნქტის დეფინიციის გამოყენების საშუალებას მოგვცემდა. „თუ პირს თავისუფლება ხანგრძლივი დროით (72 საათის ფარგლებში) ეზღუდება, თავისუფლების შეზღუდვის სწორედ ამგვარ შემთხვევაზე ვრცელდება მე-18 მუხლის მოთხოვნა და ავტომატურად სამოქალაქო კოდექსის დანაწესი. ადმინისტრაციული დაკავება ეს არის უზრუნველყოფის ღონისძიება, ანუ პირის დაკავება მისი ბრალეულად ცნობის გარეშე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციით, პოლიციელის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული დაკავება არის ნაკლები ინტენსივობის ჩარევა უფლებაში და აღნიშნული ანალოგიის სახით ვერ გვაძლევს ადმინისტრაციული პატიმრობის შემადგენლობას. ადმინისტრაციული დაკავება წარმოადგენს დანაშაულის პრევენციის, მისი დროული აღკვეთისა და გამოვლენის, მასზე რეაგირების მექანიზმს, რისი მთავარი მიზანიც არის საბოლოო ჯამში მართლმსაჯულების განხორციელება. ადმინისტრაციული დაკავებისათვის „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად არსებობს პოლიციელის გადანყვეტილების კონტროლის ტესტი, ე.წ. „საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის“. „პოლიციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის ტერმინთა განმარტების თანახმად: „საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის – ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ დამკვირვებელს გარემოებათა გათვალისწინებით დასკვნის გასაკეთებლად“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკანონმდებლო რეგულაციები იძლევა იმის საშუალებას, რომ ვარაუდი იქცეს საფუძველად, თუმცა არ გულისხმობს ვარაუდის ჭეშმარიტებას. მსგავსი მიდგომა აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმეში ფოქსი, ქემბელი და ჰართლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (სერია A №128, გვ.16, პუნქტი 32), სადაც აღნიშნავს, რომ იმ ეჭვის საფუძველიანობა, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს დაკავება, წარმოადგენს არსებით ნაწილს უკანონო დაკავებისა და პატიმრობის წინააღმდეგ არსებული გარანტიისა, რომელიც გათვალისწინებულია კონვენციის მე-5 მუხლის 1(c) პუნქტით. „საფუძველიანი ეჭვის ქონა გულისხმობს წინასწარ ისეთი ფაქტების ან ინფორმაციის არსებობას, რომელიც დაარწმუნებდა ობიექტურ მეთ-

ვალყურეს იმაში, რომ შესაბამის პირს შეეძლო ჩაედინა დანაშაუ-
ლი. თუმცა ეჭვის გამომწვევ ფაქტებს არ უნდა ჰქონდეს ისეთივე
ხარისხი, როგორც იმ ფაქტებს, რომლებიც აუცილებელია სისხლის-
სამართლებრივი გამოძიების უფრო გვიან სტადიაზე მსჯავრდე-
ბის, ან თუნდაც ბრალის წაყენების გასამართლებლად.

კასატორის მოსაზრებით, აღნიშნული განმარტება ანალოგიით
უნდა მიუსადაგოთ ადმინისტრაციული დაკავებისა და ადმინისტრა-
ციული სამართალდარღვევათა საქმეებს. ნათელია, რომ სამარ-
თალდარღვევის საქმეზე დამდგარი შედეგი, ვერ აბათილებს იმ
სტანდარტს, რომელიც კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა ევ-
როპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასა-
მართლოს პრეცედენტული სამართლით არის დადგენილი დაკავე-
ბის შემთხვევაში და ავტომატურად გამორიცხავს ადმინისტრაცი-
ული დაკავების სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის დეფინიცი-
ის ქვეშ მოქცევას. ასევე აღსანიშნავია, რომ „ადამიანის უფლება-
თა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“
მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების ანალიზი-
სას, ცალსახად იკვეთება, რომ ყველას აქვს თავისუფლებისა და
ხელშეუხებლობის უფლება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პი-
რის დაკავება ან დაპატიმრება ხდება კანონით გათვალისწინებულ
ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად და იმავდრო-
ულად პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება ხდება კანონ-
მდებლობით დადგენილი სამართალდარღვევის ეჭვის არსებობი-
სას. ხსენებული ნორმის დისპოზიციას თუ ჩავუღრმავებთ, პი-
რის დაკავება შესაძლოა მოხდეს „ეჭვის“ საფუძველზეც, ეს დათ-
ქმა კი აშკარას ხდის კონკრეტულ პირთა მიმართ თბილისის საქა-
ლაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების არამარ-
თებულობას, ვინაიდან ეჭვის არსებობა, არ გულისხმობს ფაქტის
დადასტურებას და მტკიცებულებათა გამოკვლევა სასამართლოს
კომპეტენციაა და ნებისმიერ პირს, რომლის მიმართაც არსებობს
საფუძველი, რომ მან ჩაიდინა სამართალდარღვევა, თუმცა შემ-
დგომ სასამართლოს მიერ მის მიმართ საქმის წარმოება შეწყდა, არ
იძლევა საფუძველს იმისა, რომ მოითხოვოს სახელმწიფო ორგანო-
თა მხრიდან ზიანის ანაზღაურება.

სასამართლო გადაწყვეტილებაში განხორციელებული მიდგო-
მის სასამართლო პრაქტიკად დადგენა, ერთობ ზიანის მომტანი იქ-
ნება საჯარო ინტერესებისათვის. ადმინისტრაციულ საქმეთა პა-
ლატა, როგორც საჯარო და კერძო ინტერესების და უფლებების
ბალანსის დამცველი სასამართლო, ვალდებულია გაითვალისწინოს
თუ რა უარყოფითი შედეგის მოტანა შეუძლია მოცემულ მიდგო-
მას. პოლიციელის საქმიანობასთან დაკავშირებით საინტერესოა სა-

კონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება (იზორია და სხვები პარლამენტის წინააღმდეგ), სადაც საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, რომ: „შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირი – პოლიციელი გადაწყვეტილებას შექმნილი ვითარებისა და ფაქტობრივი გარემოებების შეფასების საფუძველზე იღებს. შესაძლო დანაშაულთან დაკავშირებული გარემოებების შეფასებას, პოლიციელს საკუთარი ინტუიცია, გამოცდილება და სამართლებრივი ნორმები კარნახობს. ეს გადაწყვეტილება პოლიციელის ინდივიდუალურ გამოცდილებას, მის ცოდნას ეფუძნება. შესაბამისად, სავარაუდო დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული ეჭვის წარმოშობა დაკავშირებულია ობიექტური გარემოებების სუბიექტურ შეფასებასთან. ამავდროულად, როგორც პირის თავისუფლებაში ჩარევა ეფუძნებოდა მხოლოდ სუბიექტურ განცდას, წინათგონობას ან ინტუიციას. პირის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული ეჭვის წარმოქმნა ისეთ ფაქტს, გარემოებას ან მათ ერთობლიობას უნდა ემყარებოდეს, რომელიც ობიექტურ დამკვირვებელს ეჭვის წარმოქმნის საფუძველიანობაში დაარწმუნებს“. აღნიშნული ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ დაკავების უკანონობის მიბმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმესთან ერთი, რომ პოლიციელისათვის აწესებს ფაქტობრივად საქმის გადაწყვეტისათვის სამოსამართლო სტანდარტს და მეორე, პოლიციელის საქმიანობა ხდება არაეფექტური. ამგვარი პრაქტიკით პოლიციელი ყოველ ჯერზე ვალდებული იქნება განსაზღვროს თუ რა შედეგი დადგება სასამართლოს მიერ სამართალდარღვევის საქმეზე და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას დაკავების თაობაზე, ეს კი დაკავებას, როგორც უზრუნველყოფის საშუალებას გამოუსადეგარს ხდის. ასევე ეწინააღმდეგება სამართალდარღვევის საქმეზე არსებულ საპროცესო შეჯიბრებითობის პრინციპს. მსგავსი მიდგომა ნორმას აქცევს არაეფექტურს, რაც ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესებს.

კასატორი არ ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ დაკავების ინსტიტუტი და დაკავების თაობაზე ქმედება სასამართლო კონტროლს მიღმა დარჩეს. სასამართლომ დაკავების კანონიერება არ უნდა მიაბას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეს და დაკავების კანონიერებაზე უნდა იმსჯელოს დამოუკიდებლად, თანახმად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 251-ე და 244-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძველების შესაბამისად. დამატებით პრაქტიკული თვალსაზრისით საინტერესოა ფაქტი, როდესაც პოლიცია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტზე რეაგირებს. ნათელია, რომ მოცემულ

შემთხვევაში სასამართლო მას სამართალდამრღვევად ვერ ცნობს და შეწყდება სამართალდარღვევის საქმე, თუმცა ეს ავტომატურად, ბუნებრივია, ვერ აქცევს დაკავებას უკანონოდ, ვინაიდან ნამდვილად არსებობდა ის ნიშნები, რომელიც პოლიციელს სამართალდარღვევის ეჭვს უჩენდა. შეუძლებელია პოლიციელს დამოუკიდებლად მოეპოვებინა ინფორმაცია კონკრეტული პირის მიმართ, ხომ არ იყო ექიმის რეცეპტი გაცემული. აღნიშნული მაგალითი ცხადყოფს, რომ შესაძლოა დაკავება იყოს კანონიერი, მაგრამ სამართალდარღვევის საქმეზე საქმის წარმოება შეწყდეს. დაკავების საფუძვლების ანალიზისას ნათელია, რომ იმისათვის, რათა იმოქმედოს პოლიციელმა, სახეზე უნდა იყოს „საფრთხე“. საფრთხის ცნებას კი განსაზღვრავს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით „საფრთხე არის ვითარება, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მოვლენათა მოსალოდნელი განვითარების შეუფერხებელი მსვლელობის შემთხვევაში დიდი ალბათობით ზიანი მიადგება პოლიციის მიერ დასაცავ სიკეთეს“. მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, თუ რა არის ის სტანდარტი, რომლის არსებობის შემთხვევაშიც პოლიციელმა უნდა ივარაუდოს, რომ არსებობს საფრთხე. ეს არის საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის. თვითონ საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, არის ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ დამკვირვებელს გარემოებათა გათვალისწინებით დასკვნის გასაკეთებლად.

კასატორის მოსაზრებით, კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა ზემოაღნიშნული სტანდარტი, რაზეც მეტყველებს დაკავების ოქმში ასახული ინფორმაცია, კერძოდ: დაკავებული პირები აშკარად არღვევდნენ საზოგადოებრივ წესრიგს, ისინი საპატრულო პოლიციის მიმართ განაგრძობდნენ უხეშ დამოკიდებულებას და არ ემორჩილებოდნენ კანონიერ მოთხოვნას, გარკვეულ სიტყვიერ წინააღმდეგობას უწევდნენ სამართალდამცავებს, უცენზურო ქმედებებით შეურაცხყოფდნენ საზოგადოების წევრთა ღირსებასა და პატივს. მათი მხრიდან ასეთმა მოქმედებებმა, საპატრულო პოლიციის თანამშრომლები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ეფიქრათ, საფრთხის შესახებ და ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად საჭირო იყო მიეღოთ შესაბამისი ზომები, რის შედეგადაც მოხდა ხსენებულ სუბიექტთა დაკავება. პირის ადმინისტრაციული დაკავება ემსახურება სახელმწიფოს ლეგიტიმურ მიზანს, საზოგადოებისა და მასში არსებულ პირთა უსაფრთხოების დაცვას, რათა თავიდან იქნეს აცილებული არაკანონიერი ქმედებანი და მოქალაქეს ჰქონდეს გაცდა სამართლებრივ სახელმწიფოში ცხოვრების. ვერც ერთი უფ-

ლებამოსილი ორგანო წინასწარ ვერ განსაზღვრავს კონკრეტული საქმის საბოლოო შედეგს, ვინაიდან აღნიშნული სცილდება მისი კომპეტენციის ფარგლებს და ამის პრიორიტეტი აქვს მხოლოდ სასამართლოს, კერძოდ, მტკიცებულებათა შეფასება საბოლოო გადაწყვეტილების გამოსატანად სასამართლოს უფლებამოსილებაა და ნებისმიერი პირის ქმედებაში სამართალდარღვევათა ნიშნების არარსებობა თავის თავში არ გულისხმობს დაკავების არაკანონიერების დადასტურებას, ვინაიდან სამინისტროს თანამშრომლებს მართებთ რეაგირების მოხდენა არაკანონიერ მოქმედებათა მიმართ, რათა თავიდან იქნეს აცილებული სამართლებრივად მნიშვნელოვანი სიკეთის ხელყოფა, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში წარმოადგენს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ პოლიციელთა მხრიდან ყოველი ქმედება სრულდებოდა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, ა. გ. ისა და მ. ნ-ის დაკავება ემსახურებოდა კანონიერების პრინციპის განუხრელ აღსრულებას, რათა აპრიორი პოლიციელის საქმიანობისა, რასაც წარმოადგენს საზოგადოებრივი უსაფრთხოება ყოფილიყო დაცული და გარანტირებული. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა საქმეში (№ბს-648-623(2კ-13) 10.04.2014წ.) განმარტავს, რომ „მორალური ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყოველგვარი მორალური ზიანი (სულიერი ტანჯვა), თუნდაც ექვს არ იწვევდეს მისი ანაზღაურება, არამედ მხოლოდ ისეთი რომლის ანაზღაურებასაც პირდაპირ ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა“. ჰარმონიზაციის პრინციპზე დაყრდნობით, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატას მართებდა გათვალისწინებინა არსებული კანონმდებლობის სწორი ინტერპრეტაცია და კონკრეტულ პირთა მიმართ ზიანის ანაზღაურება არ დაეკისრებინა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისათვის, მაშინ, როცა ადგილი არ აქვს კანონდარღვევას სამართალდამცავთა მხრიდან და დაკავება ემსახურებოდა ლეგიტიმური მიზნის აღსრულებას. მნიშვნელოვანია ასევე ხაზგასმა გაკეთდეს თანაზომიერების პრინციპზე, რომლითაც ხელმძღვანელობს სახელმწიფო მოსამსახურე. კონკრეტულ პირთა მიმართ თითოეული შემზღუდველი ღონისძიება უნდა იყოს თანაზომიერი ქმედებისა და ემსახურებოდეს სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციურ პრინციპს, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის უფლების შეზღუდვა იმდენად არის დასაშვები, რამ-

დენადაც ის საჯარო ინტერესების დაცვისათვის გარდაუვალი საშუალებაა. თანაზომიერების პრინციპი მოიცავს შემდეგი სახის ელემენტებს, კერძოდ: მიზეზშედევობრივ კავშირს ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, შესაფერისობის დადგენას, აუცილებლობასა და პროპორციულობის განსაზღვრას. მოცემულ შემთხვევაში სამინისტრო მიიჩნევს, რომ პირთა დაკავება მოხდა თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით და პრიორიტეტი მიენიჭა საზოგადოებაში არსებულ სუბიექტთა უსაფრთხოებისა და ნესრიგის დაცვას. ამის დასტურს წარმოადგენს თავად მოსარჩელე მხარის მიერ ადმინისტრაციული დაკავების არ გასაჩივრება, თანახმად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 251-ე მუხლის, რომლის დისპოზიციამაც იმპერატიული დათქმა კეთდება იმ პირთა ინტერესების დაცვაზე, ვინც მიიჩნევს, რომ მისი დაკავება მოხდა კანონის ნორმათა დარღვევით, ხოლო სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ხსენებული უგულებელყოფა და სამინისტროსათვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დაკისრება ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული, ვინაიდან თუ არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და უშუალოდ დამდგარ შედეგს შორის, გაურკვეველი და დაუსაბუთებელია, რის საფუძველზე იქნა გამოტანილი მითითებული გადაწყვეტილება.

კასატორი ასევე მიუთითებს საერთაშორისო სტანდარტებზე, სადაც პირდაპირი დათქმა კეთდება პირთა უფლებებზე და დგინდება ის ჩარჩო, რაც ნებისმიერ სუბიექტს აქვს განსაზღვრული საკუთარი უფლებამოსილების ფარგლების გამოყენების ნაწილში, კერძოდ, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“ მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების ანალიზისას, ცალსახად იკვეთება, რომ ყველას აქვს თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირის დაკავება ან დაპატიმრება ხდება კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად და იმავდროულად პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება ხდება კანონმდებლობით დადგენილი სამართალდარღვევის ეჭვის არსებობისას. პირის დაკავება შესაძლოა მოხდეს „ეჭვის“ საფუძველზეც, ეს დათქმა კი აშკარას ხდის კონკრეტულ პირთა მიმართ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების არამართებულობას, ვინაიდან ეჭვის არსებობა, არ გულისხმობს ფაქტის დადასტურებას და მტკიცებულებათა გამოკვლევა სასამართლოს კომპეტენციაა და ნებისმიერ პირს, რომლის მიმართაც არსებობს საფუძველი, რომ მან ჩაიდინა სამართალდარღვევა, თუმცა შემდგომ სასამართლოს მიერ მის მიმართ შეწყდება საქმისწარმოება, არ აძლევს საფუძველს იმისა,

რომ მოითხოვოს სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან ზიანის ანაზღაურება, მაშინ როცა მათ ქმედებებში აშკარად ვლინდება კანონდარღვევა და სამართალდამცავებს ღონისძიება მოცემულ შემთხვევაში არც განზრახვის და არც უხეში გაუფრთხილებლობით არ განუხორციელებიათ, არამედ მათი მოქმედება განპირობებული იყო საზოგადოებრივი ინტერესით, რათა დაცული ყოფილიყო მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები. ამავე კონვენციის მე-10 მუხლის მეორე ნაწილში პირდაპირაა მითითებული, რომ გამოხატვის თავისუფლება შესაძლოა შეიზღუდოს, ვინაიდან მისი თანმდევი ელემენტებია ვალდებულება და პასუხისმგებლობა, რაც თავის მხრივ, ექვემდებარება წესებს, პირობებს, შეზღუდვებსა და სანქციებს, რომელიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უნესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად. ცხადია, პოლიციის მიერ კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებულ იქნა სანქციები, რათა განუხრელად შესრულებულიყო, ის ვალდებულება, რაც პოლიციელს აკისრია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

კასატორებმა – ი. მ-მა, ე. მ-ი-ჯ-მა, კ. ჩ-ემ, ვ. ქ-მა და ნ. ფ-ემ იმავე სამართლებრივ საფუძვლებზე მითითებით, რომლებზეც მიუთითებდნენ სააპელაციო საჩივარში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და მათი სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 თებერვლის განჩინებით ი. მ-ის, ე. მ-ი-ჯ-ის, კ. ჩ-ის, ვ. ქ-ისა და ნ. ფ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; ი. მ-ის, ე. მ-ი-ჯ-ის, კ. ჩ-ის, ვ. ქ-ისა და ნ. ფ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს

შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა პირველყოვლისა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 თებერვლის განჩინებით მოსარჩელების – ი. მ-ის, ე. მ-ი-ჯ-ის, კ. ჩ-ის, ვ. ქ-ისა და ნ. ფ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად. შესაბამისად, მათი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში კანონიერ ძალაშია შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება. ამდენად, მოცემულ საქმეზე საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი მ. ნ-ისა და ა. გ-ის სასარჩელო მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების, მოპასუხეებისათვის მ. ნ-ის სასარგებლოდ 500 ლარის გადახდისა და ა. გ-ის სასარგებლოდ 1 000 ლარის გადახდის დაკისრების ნაწილში.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა განსახილველ საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე მის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

ა. გ-ე და მ. ნ-ი სარჩელით ითხოვნენ მოპასუხებისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისათვის მათ მიმართ 2015 წლის 19 ივლისს შედგენილი №... და №... დაკავების ოქმებით გათვალისწინებული ღონისძიების გამოყენების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით ა. გ-ის სასარგებლოდ – 3000 ლარისა და მ. ნ-ის სასარგებლოდ – 1500 ლარის გადახდის დაკისრებას. ოქმებში აღწერილი გარემოებების თანახმად: ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის 2015 წლის 19 ივლისს 18:40 სთ. დააკავეს ა. გ-ე იმ მოტივით, რომ თბილისში, თავისუფლების მოედანზე საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის წინ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე საუბრობდა ხმამაღლა და იქცეოდა აგრესიულად. საპატრულო პოლიციის კანონიერი არაერთგზის მოთხოვნისა რომ დამშვიდებულიყო, შეენწყვიტა თავისი აგრესიული ქმედება და დაეცვა საზოგადოებრივი წესრიგი იგი კვლავ განაგრძობდა ხმამაღლა ყვირილს, გამოხატავდა აშკარა უპატივცემულობას და ბოროტად არ ემორჩილებოდა საპატრულო პოლიციის მოთხოვნას შეენწყვიტა აღნიშნული ქმედება პოლიციის მიმართ. ასევე ხელს

უშლიდა პოლიციელებს სხვა სამართალდამრღვევათა დაკავებაში. ა. გ-ის მიმართ 2015 წლის 20 ივლისს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №... ოქმი; ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის 2015 წლის 19 ივლისს 17:55 სთ. დააკავეს მ. ნ-იმ მოტივით, რომ თბილისში, თავისუფლების მოედანზე საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ მან ჩაიდინა წვრილმანი ხულიგნობა, ე.ი. ქმედება, რითაც უხეშად დაირღვა საზოგადოებრივი წესრიგი და საზოგადოებრივი სიმშვიდე, კერძოდ უცენზურო სიტყვებით, ხმამაღლა იგინებოდა. მ. ნ-ის მიმართ 2015 წლის 20 ივლისს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №... ოქმი.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ა. გ-ისა და მ. ნ-ის სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ფაქტობრივი საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივლისის დადგენილებით (საქმე №4/4710-15) ა. გ-ის მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით აღძრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყდა. ამასთან, მ. ნ-ის მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით აღძრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყდა, რის გამოც სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მიმართ განხორციელდა ადმინისტრაციული წესით უკანონოდ დაკავება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით გათვალისწინებული კანონის საფუძველზე და კანონით განსაზღვრული წესით თავისუფლების შეზღუდვას და დაცულ სფეროში ჩარევას ჰქონდა თუ არა ადგილი, აღნიშნულის შეფასების საშუალებას არ იძლევა მოცემულ საქმეზე აღძრული სასარჩელო მოთხოვნა. რამდენადაც, საქართველოს კონსტიტუ-

ციის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადანყვეტილების გარეშე, ხოლო მე-3 ნაწილის მიხედვით, ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადანყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს. ამავე ნორმის მე-7 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევა ისჯება კანონით. უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

ამასთან, სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურების უფლება აღიარებული და გარანტირებულია, როგორც საქართველოს კონსტიტუციით, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით – „თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება“, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა ამ მუხლში ჩამოთვლილი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ყველას, ვინც ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით არის დაკავების ან დაპატიმრების მსხვერპლი, აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩევეების მიმართ განხორციელებული შეზღუდვა შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „ც“ ქვეპუნქტს, რამდენადაც იმის დადგენისას „შეზღუდა თუ არა თავისუფლება“ რომელიმე ადამიანს მე-5 მუხლის პირველი ნაწილის მნიშვნელობით, ამოსავალ წერტილად კონკრეტული ვითარება უნდა იქცეს, ასევე გასათვალისწინებელია მთელი რიგი კრიტერიუ-

მები, როგორცაა გამოყენებული ზომის სახე, ხანგრძლივობა, შედეგები და საშუალება. მე-5 მუხლის ინტერპრეტაცია არ უნდა მოხდეს იმგვარად, რომ პოლიციისთვის საკუთარი მოვალეობების შესრულება, როგორცაა წესრიგისა და მოსახლეობის დაცვა, შეუძლებელი გახდეს იმ პირობით, რომ გაითვალისწინებენ მე-5 მუხლის ფუძემდებელ პრინციპებს, რომელიც ადამიანს თვითნებობისგან იცავს. ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებისას, პოლიცია დისკრეციის მაღალი ხარისხით უნდა სარგებლობდეს. მსგავსი გადაწყვეტილებების მიღება ხშირად რთულია და პოლიცია, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის მიუწვდომელ ინფორმაციასა და დაზვერვის მასალებს ფლობს, ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილებების მიღებისას, როგორც წესი უკეთეს მდგომარეობაშია. ამასთან, სასამართლო არ თვლის, რომ თავისუფლების შეზღუდვის ცალკეული ფაქტი, რომელთა ხანგრძლივობა ვითარებიდან გამომდინარე ხელისუფლების ნებაზე არაა დამოკიდებული და სერიოზული დაზიანებებისა და რეალური საფრთხის ასაცილებლად საჭირო, მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის მნიშვნელობით „თავისუფლების შეზღუდვად“ შეფასდეს (იხ. 15.03.12წ. №39692/09, 40713/09, 41008/09 საჩივრებზე დიდი პალატის გადაწყვეტილება „ოსტინი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ §556, 57, 59).

ქართულ კანონმდებლობაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლების რესტიტუციის შესაძლებლობას იძლევა „პოლიციის შესახებ“ კანონის 59-ე მუხლის მე-5 ქვეპუნქტის მითითება, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციელის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის პასუხისმგებლობის საკითხი წესრიგდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავით დადგენილი ნორმებით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. 208-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, შესაბამისად, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლო-

ბის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული.

მოსარჩელები მიუთითებენ მათთვის არაქონებრივი ზიანის მიყენების ფაქტზე და სადავოდ ხდიან მათ მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პირველი მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ამოცანების შესასრულებლად, „პოლიციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკმარისი საფუძვლიანი ვარაუდის საფუძველზე გამოყენებული, ამავე კოდექსით დადგენილი რეპრესიული ღონისძიებით გამოწვეული შეზღუდვის – ადმინისტრაციული დაკავების შესაბამისობას კანონმდებლობასთან. სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად მითითებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი. სააპელაციო სასამართლოს მიერ სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი გახდა სწორედ სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რასაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს. რამდენადაც, მითითებული ნორმის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საკმარისია, დადგინდეს ქმედების უკანონობა და სახეზე იყოს პირის მარეაბილიტირებელი გარემოება. სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილი რეაბილიტირებული პირისათვის თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად ზიანის ანაზღაურებისათვის ითვალისწინებს კონკრეტული შემთხვევების ჩამონათვალს, მათ შორის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის მხოლოდ „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ძირითადი ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელების – გამასწორებელი სამუშაოს და ადმინისტრაციული პატიმრობის დაკისრების წესს ადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 31-ე და 32-ე მუხლები. აღნიშნული მუხლებით გამასწორებელ სამუშაოს და ადმინისტრაციულ პატიმრობას შეუფარდებს შესაბამისი რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მოსამართლე, რასაც მოსარჩელების – მ. ნ-ისა და ა. გ-ის მიმართ არ ქონია ადგილი, რადგან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივლისის დადგენილებით მათ მიმართ აღძრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყდა. შესაბამისად, სააპელაციო სასა-

მართლომ სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძვლად არასწორად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილზე. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლით არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.

მოცემულ შემთხვევაში არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველს წარმოადგენს მოსარჩელეთა მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიების გამოყენება – ადმინისტრაციული დაკავება, რომლის ხანგრძლივობამ ა. გ-ის მიმართ დაახლოებით 16 საათი და მ. ნ-ის მიმართ დაახლოებით 3 საათი გასტანა, რაც არ აღემატებოდა ამავე კოდექსის 247-ე მუხლით გათვალისწინებულ ვადას. ასევე, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მოსარჩელეთა ადმინისტრაციული დაკავების დღე – 2015 წლის 19 ივლისი ემთხვეოდა არასამუშაო დროს – კვირა დღეს. სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის ადმინისტრაციულმა დაკავებამ არ უნდა გასტანოს თორმეტ საათზე მეტ ხანს. გამონაკლის შემთხვევებში, განსაკუთრებული აუცილებლობის გამო, საქართველოს საკანონმდებლო აქტებით შეიძლება დაწესდეს ადმინისტრაციული დაკავების სხვა ვადები. ამავე ნორმის მე-2 ნაწილით, პირი, რომელმაც ჩაიდინა წვრილმანი ხულიგნობა, შეიძლება დაკავებულ იქნეს კანონით დადგენილ ვადაში მოსამართლის ან შინაგან საქმეთა ორგანოს უფროსის (უფროსის მოადგილის) მიერ საქმის განხილვამდე, ხოლო მე-3 ნაწილის მიხედვით, პირი, რომლის დაკავების ვადა ემთხვევა არასამუშაო დროს, შეიძლება დაკავებულ იქნეს და მოთავსდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი დაკავების საკანში საქმის განმხილველი ორგანოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზიანის ანაზღაურების საფუძვლის არსებობისათვის მნიშვნელობა არ აქვს დაკავებულ პირთა მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის არსებობას, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო მოსამსახურის – პოლიციელის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის ფაქტის არსებობა, რაც უნდა

შეფასდეს პოლიციელის უფლებამოსილების განმსაზღვრელი კანონმდებლობით დადგენილი წესით. საქართველოს პოლიციის საქმიანობის ძირითად პრინციპებს, პოლიციის ორგანიზაციული მოწყობის სამართლებრივ საფუძვლებს, პოლიციის ფუნქციებს, საპოლიციო ღონისძიებებსა და პოლიციის მიერ საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების სამართლებრივ ფორმებს, პოლიციაში სამსახურის გავლის წესს, პოლიციელის სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიებს, პოლიციის საქმიანობის კონტროლს განსაზღვრავს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი.

„პოლიციის შესახებ“ კანონის მეორე თავით გათვალისწინებული პოლიციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები: პოლიციის საქმიანობის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის პრინციპი, კანონიერების პრინციპი, თანაზომიერების პრინციპი, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პრინციპი. მოცემულ შემთხვევაში დასტურდება, რომ აღნიშნული პრინციპების დაცვით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 246-ე მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის – პოლიციელის მიერ „პოლიციის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული ფუნქციის შესრულების მიზნით, ამავე კანონის მე-13, მე-17 და მე-18 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საპოლიციო ღონისძიების გამოყენების – მოსარჩელეთა მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული დაკავების გამოყენების შესახებ, რაც განხორციელდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლით გათვალისწინებული დაკავებისა და დაკავების ოქმის შედგენის პროცედურის დაცვით.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ პოლიციელის საქმიანობის კონტროლის წესი დადგენილია „პოლიციის შესახებ“ კანონის IX თავით. აღნიშნული კანონის 56-ე მუხლი ითვალისწინებს პოლიციელის ქმედების გასაჩივრების პროცედურას, რომლის პირველი ქვეპუნქტით პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ პოლიციელის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და თავისუფლებები, უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს ეს ქმედება ზემდგომ თანამდებობის პირთან, პროკურატურაში ან სასამართლოში. იმავე მუხლის მე-3 ქვეპუნქტით საპოლიციო ღონისძიება, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან სისხლის სამართლის ნორმების საფუძველზე ხორციელდება, საჩივრდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისად, სამართალდარღვევათა კოდექსის 251-ე მუხლი ითვა-

ლისწინებს ადმინისტრაციული დაკავების, პირადი გასინჯვის, ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევის გასაჩივრების შესაძლებლობას დაინტერესებული პირის მიერ ზემდგომ ორგანოებში (თანამდებობის პირთან) ან პროკურატურაში.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და „პოლიციის შესახებ“ კანონით დადგენილი წესით, ზემდგომ ორგანოებში (თანამდებობის პირთან) ან პროკურორთან, სადავოდ არ გაუხდიათ, არ გაუსაჩივრებიათ უფლებამოსილი პირების მიერ 2015 წლის 19 ივლისს შედგენილი დაკავების ოქმები, კერძოდ: ა. გ-ის ადმინისტრაციული დაკავების №... ოქმი, მ. ნ-ის ადმინისტრაციული დაკავების №... ოქმი. ამდენად, კანონმდებლობით დადგენილი წესით სადავოდ არ არის გამხდარი მოსარჩელეთა ადმინისტრაციული წესით დაკავების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან. შესაბამისად, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოთა უფლებამოსილი პირების მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით მოსარჩელეების – ა. გ-ისა და მ. ნ-ის ადმინისტრაციული დაკავების ლეგიტიმურობა არ გამხდარა სადავო, რის გამოც არ არსებობს პოლიციელის მიერ განხორციელებული რეპრესიული ღონისძიების – მოსარჩელეთა ადმინისტრაციული დაკავების კანონშეუსაბამოდ მიჩნევის საფუძველი, რამდენადაც მოსარჩელეების მიერ არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილი პირების მხრიდან მოსარჩელეთა ადმინისტრაციული წესით დაკავებისას დაცული არ იყო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურა და 247-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული დაკავების ვადა.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი პირადი არაქონებრივი უფლებების მატერიალური სახით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების რეალიზების საშუალებას იძლევა მხოლოდ ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანის შემთხვევაში. ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს, ანუ უნდა არსებობდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებასა (მოქმედება ან უმოქმედობა) და დამდგარ შედეგს (ზიანი) შორის პირდაპირი და უშუალო მიზეზობრივი კავშირი. ამასთანავე, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, რომელმაც პირისათვის ზიანის მიყენება გამოიწვია, უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებიდან და არსებობდეს ბრალეული, განზრახი ან უხე-

ში გაუფრთხილებელი ბრალის სახით, რაც გამოიხატება ადმინისტრაციული ორგანოს მიზანმიმართულ უმოქმედობაში, ან უხეშ გაუფრთხილებლობაში, ანუ ადმინისტრაციული ორგანო შეგნებულად უნდა უშვებდეს პირისათვის ზიანის მიმყენებელი გარემოების დადგომას ან/და არ ახორციელებდეს მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს ზიანის თავიდან აცილების მიზნით. ამდენად, მორალური ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყოველგვარი მორალური ზიანი (სულიერი ტანჯვა), თუნდაც ეჭვს არ იწვევდეს მისი ანაზღაურება, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის ანაზღაურებასაც პირდაპირ ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა. ამასთან, ზიანი ანაზღაურდება რეალურად არსებული, დამდგარი საზიანო შედეგისათვის, აუცილებელია პირდაპირი ზიანის არსებობის კონკრეტულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობის დადგენა ანუ ქმედება უშუალო წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს დამდგარი შედეგისათვის (სუს. საქმე №ბს-648-623(2კ-13), 10.04.2014წ. გადაწყვეტილება).

საკასაციო პალატა მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმ გარემოებაზე მითითებას, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და „პოლიციის შესახებ“ კანონით დადგენილია სახელმწიფო მოსამსახურის – პოლიციელის მიერ მოვალეობის დარღვევის შესახებ ფაქტის დადგენის შესაძლებლობა, ქმედების გასაჩივრების წესი და პროცედურა. აღნიშნული წესით პოლიციელის მიერ განხორციელებული ქმედებისა და მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა საფუძვლად დაედოს ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებას. საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტზე, რომელსაც აქვს არა მარტო საპროცესო სამართლებრივი, არამედ მატერია-

ლურ სამართლებრივი მნიშვნელობაც, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულება შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც ოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით სრულად, გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში (სასკ. მუხლი 17.1). მითითებული პრინციპის შესაბამისად, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლები). ამასთან, სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტის საფუძველზე. ფაქტის დადასტურებას აქვს არა მარტო საპროცესო, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა. მოცემულ შემთხვევაში ა. გ-ისა და მ. ნ-ის სასარჩელო მოთხოვნაზე საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მტკიცებულება არის მოსარჩელეთა მიმართ განხორციელებული პოლიციური ღონისძიების – ადმინისტრაციული დაკავების კანონით დადგენილი წესით გასაჩივრების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელზეც შესაძლებელი იყო ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების შემოწმება და იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, რომელიც საფუძველად უნდა დაედოს დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებას. რამდენადაც, როგორც ზემოთ აღინიშნა სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით საჯარო მოსამსახურეთა მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის მკვალიფიცირებელია საჯარო მოსამსახურის (პოლიციელის) მიერ სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის ფაქტის დადგენა, რომლის ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნით აღძრულ სარჩელზე დადგენის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობა არ გააჩნია სასამართლოს. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არ დასტურდება მოპასუხეთა მიერ განხორციელებულ ქმედებასა (ადმინისტრაციული დაკავება) და დამდგარ შედეგს (მორალური ზიანი) შორის პირდაპირი, უშუალო მიზეზობრივი კავშირი, აგრეთვე არ დასტურდება ბრალეული, განზრახი ან უხეში გაუფრთხილებელი ბრალის სახით არსებობა. ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, არ არსებობს მოსარჩეულების – ა. გ-ისა და მ. ნ-ის სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ე შ ი ტ ა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივრი დაკმაყოფილდეს;

2. მ. ნ-ისა და ა. გ-ის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. მ. ნ-ისა და ა. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. მ. ნ-სა და ა. გ-ეს სოლიდარულად დაეკისროთ საკასაციო ინსტანციის სასამართლოში გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი №300773150;

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.